პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76
} მდივანის 10—58
ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- გაიმართა კომინტერნის ალმასკომის სხდომა.
- იტალიის სენატმა მიიღო კანონი თავდაცვის შესახებ.
- იაპონიამ ჩინეთს პროტესტი განუცხადა ჩინეთში ახალი რკინისგზის გაყვანის გამო.
- პარიზში გაიმართა საპროტესტო მიტინგი ბალკანეთზე წარმოებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ.
- საფრანგეთის სენატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია პუანკარეს მომხრე პოლ დუმერი.
- კუნძულ იავაზე გრძელდება აჯანყებულთა ბრძოლა.
- ალბანეთში დაიწყო აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ.

სამშაბათი, 23 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 268 (1723)

ღალატი გრძელდება

როგორც ვიცით, მემაღაროეთა მასსებმა ხმების დიდი უმრავლესობით უარყვეს მთავრობის წინადადებები, რომელნიც შეიცავდენ მათი სრული კაპიტულიაციის მოთხოვნას. უარყვეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მიღება მემაღაროებს ურჩიეს მემაღაროეთა ფედერაციის ალმასკომმა და სადელეგატო კონფერენციამ.

გაფიცულებმა ამით ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავისი უმაგალითო გმირობა. მათი მდგომარეობა სულ უფრო აუტანელი ხდება. სიმშილი და სიცივე მათ ამოწყვეტით ემუქრება. სახელმწიფო აპარატმა უკიდურესობამდე გააძლიერა მათ წინააღმდეგ რეპრესიები. მებრძოლთა ნაწილი სულიერად დაეცა და მუშაობას დაუბრუნდა. გაფიცულებს დახმარებას არავინ უწევს, გარდა საბჭოთა კავშირის მუშებისა. პირიქით, როგორც ინგლისის ისე საერთაშორისო რეფორმიზმის მეთაურები ყოველ ზომას ხმარობენ გაფიცულ მემაღაროეებისათვის სახელის გასატეხად. ამასთან ხაზგასასმელი ის არის, რომ თვით მემაღაროეთა უშუალო ბელადებმაც ზურგში ლახვარი ჩასცეს მათ. ამ ბელადების მერყეობა დიდიხანია დაიწყო და ამანაც დეზორგანიზატორული გავლენა მოახდინა გაფიცვის მსვლელობაზე. ეს მერყეობა ბოლოს აშკარა ღალატად იქცა, რაც მთავრობის წინადადებათა მიღებაში გამოიხატა. მეთაურებმა მასსებს ურჩიეს გაფიცვაზე უარის თქმა და მთავრობის და მრეწველთა წინაშე სამოწყალოთ წამოჩოქება, იმის მაგივრად, რომ მათ გაფიცულებში ბრძოლის ნებისყოფა განემტკიცებიათ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიუხედავათ ასეთი ყოველმხრივი უმძიმესი მდგომარეობისა გაფიცულთა მასსებმა უკუაგდეს მთავრობის წინადადებები. მათ დაამტკიცეს, რომ მზად არიან შემდეგშიაც იბრძოლონ, სანამ არ მიაღწევენ სრულ გამარჯვებას თუ არა, ცოტად თუ ბევრად საპატიო პირობებზე შეთანხმებას. კენჭის ყრის ასეთი შედეგების შემდეგ, როგორ უნდა მოქცეულიყვენ მემაღაროეთა ხელმძღვანელები? ბრძოლის გაგრძელება, ძალღონის უკანასკნელი მოკრეფა —აი რა პასუხი უნდა გაეცათ მათ, თუ ისინი ოდნავ მაინც არიან მუშათა ნამდვილი წარმომადგენლები. სადელეგატო კონფერენციამ, რომლის უმრავლესობა მასებიდან დაშორებულ, გაბიუროკრატებულ მოხელეებისაგან შესდგება, ამის ნაცვლად დაადგინა ურჩიოს მემაღაროეთა ადგილობრივ ორგანიზაციებს დასდვან მრეწველებთან რაიონული შეთანხმებანი. ღალატი ამაზე შორს ვერ წავა. თავისი ასეთი გადაწყვეტილებით სადელეგატო კონფერენცია ეუბნება მუშებს: ბრძოლა საბოლოოდ წაგებულია, მისი გაგრძელება უაზრობაა და სცემს მათ სულიერად, დეზორგანიზაცია შეაქვს მის ჯერ კიდევ მტკიცე რიგებში. თუ როგორი კაპიტულიანტური იყო სადელეგატო კონფერენციის განწყობილება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მან უარყო წინადადება საერთო შეთანხმებათა საკითხის გამო მუშებ შორის რეფერენდუმის მოხდენაზე,—ვაი თუ მემაღაროებმა ასეთ შეთანხმებათა წინააღმდეგ გაილაშქრონო. კონფერენციის უმრავლესობის მისწრაფება იყო, რომ ბრძოლა რაც შეიძლება და რა პირობებშიაც იქნება მალე გაათავდეს.

ასეთი ღალატის შემდეგ, წინამძღოლების მიერ ბრძოლის ველის მიტოვების შემდეგ მეტად ძნელია გაფიცვის ცოტად თუ ბევრად მწყობრად გაგრძელება მასსების მიერ. არის მეტად სერიოზული საფრთხე, რომ გაფიცულთა ფრონტი დაირღვევა. ამას ნიშნავს რაიონულ შეთანხმებათა სისტემაზე დათანხმება, თუ ეს მართლა მოხდა. დაქუცმაცებული მუშათა რიგები მრეწველთა იერიშებს ვერ აიტანენ და იძულებული გახდებიან მძიმე პირობებზე განაახლონ მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ სადელეგატო კონფერენციის მიერ მოწონებული მემაღაროეთა ფედერაციის ალმასკომის პროექტი რაიონულ შეთანხმებათა საერთო პრინციპების შესახებ მთელ რიგ საკითხებში სთმობს პოზიციებს. სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ იქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სადელეგატო კონფერენცია თანხმდება სამუშაო დღის გაგრძელებაზე. ხელფასიც შემცირებულია გაფიცვამდე არსებულ ხელფასის დონესთან შედარებით. სიმტკიცე არ სჩანს გაფიცულთა უკან მიღების საკითხშიც: რაიონული ფედერაციები უნდა ეცადონ, რათა გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა არ შეიქნეს სამსახურში უკან დაბრუნებაზე უარის თქმის მიზეზით. მარტო „მეცადინეობა", რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის.

რომ მემაღაროეთა ალმასკომის პირობებზე დასთანხმდენ მრეწველები ესეც გაფიცულთა უდიდესი დამარცხება იქნება. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ კაპიტალისტები ამით დაკმაყოფილდენ. ისინი გაცილებით უფრო შორს წავლენ და უფრო მძიმე პირობებს მოახვევენ მუშებს.

ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ წაგებული. ლიდერები ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში შედრკენ, მათ გასცეს მასსები. უკანასკნელი სიტყვა მასსებს ეკუთვნით. დასთანხმდებიან ისინი რაიონულ შეთანხმებებზე, რა ხასიათს მიიღებს მრეწველებთან მოლაპარაკება, ამას ამ დღეებში დავინახავთ. 26 ამა თვისათვის მოწვეულია სადელეგატო კონფერენციის სხდომა, სადაც მოისმენენ მოხსენებებს რაიონულ მოლაპარაკების შესახებ.

ვიმეორებთ, უაღრესად მძიმეა მემაღაროეთა მასსების მდგომარეობა. ისინი თითქმის ყველასაგან მიტოვებული და გარიყული არიან. მაგრამ ამავე დროს არც ბურჟუაზიის მდგომარეობაა ჩინებული. მემაღაროეთა გრანდიოზულმა გაფიცვამ ინგლისის კაპიტალიზმს ულრმესი ჭრილობები მიაყენა. ხუთი მილიარდის ზარალი, მრეწველობის ჩაშლა, გარეშე ბაზრების დაკარგვა — ასეთია საერთო შედეგი. გაფიცვის კიდევ რამოდენიმე ხნით გაგრძელება, კიდევ გემძლეობის გამოჩენა და ინგლისის კაპიტალიზმს სასიკვდილო ლახვარი ჩაეცემა.

მოახერხებენ ამას გაფიცულთა მასსები, რომლებსაც მეთაურებმა უღალატეს და რომელნიც ყოველ მხრივ შევიწროებას განიცდიან? უვარგის მეთაურების მაგივრად ახლები უნდა გაჩნდენ. საერთაშორისო პროლეტარიატმა ამ გადამწყვეტ მომენტში უნდა მიაწოდოს ინგლისელ მემაღაროეთ რეალური დახმარება. ინგლისის დანარჩენი პროლეტარული მასსები უნდა მიაშველონ მათ. მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლებათ გაფიცულთ შერყეული ფრონტის გამოსწორება და ბრძოლის გაგრძელება.

კომინტერნის ალმასკომის პლენუმის გახსნის გამო

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ხვალ სამშაბათს დაიწყებს კომუნისტურ ინტერნაციონალის ალმასკომის მე-7-ე გაფართოვებული პლენუმი. გაფართოებული პლენუმი იკრიბება საერთაშორისო ბოლშევიკურ მოძრაობის და კომინტერნის შინაურ ცხოვრების ისტორიის დამახასიათებელ მომენტში.

კომინტერნის ალმასკომის პლენუმი მუშაობას იწყებს იმის შემდეგ, რაც საკავშირო კომპარტიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა გაერთიანებულ ოპოზიციაზედ, იმის შემდეგ, რაც რუსეთის მუშა-კომუნისტებმა უკუაგდეს ოპოზიციონერთა ცდა გაეხრწნათ პარტია, იმის შემდეგ, რაც საკავშირო კომპარტიის მე-15-ე სრულიად საკავშირო კონფერენციაზე ოპოზიციამ არაჩვეულებრივი იდეური გაკოტრება განიცადა.

ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომინტერნისათვის. რევოლიუციის ყოველი ჯურის მტრები ტყუილად კი არ უკავშირებდენ ერთი მეორეს საკავშირო კომპარტიისა და კომინტერნის მდგომარეობას. საკავშირო კომპარტიის, გახრწნისა და გათიშვის შედეგათ ჩვენი მტრები მოელოდენ კომუნისტური ინტერნაციონალის რიგების გახრწნას და დაშლას. „საკავშირო კომპარტიის აღსასრულს" დეე მოჰყვეს „კომინტერნის აღსასრული", ევედრებოდა თავის ღმერთებს საერთაშორისო ბურჟუაზია და მისი „სოციალისტური" ამალა.

ბურჟუაზია მოსტყუვდა. „გახრწნის" მაგივრად ჩვენ ვხედავთ საკავშირო კომპარტიის ლენინის რიგების არაჩვეულებრივ შემჭიდროებას და მათ გაერთიანებას ლენინურ ცეკას გარშემო. მაგრამ საკავშირო კომპარტიის განმტკიცება არ შეიძლება არ გახდეს არსებულ პირობებში ბოლშევიკური მთლიანობის განმტკიცების პირველ ხარისხოვან ფაქტორად საერთაშორისო მასშტაბით.

ერთი წუთითაც არ შეიძლება დავიწყება იმ უდავო, თუმცა ოპოზიციის ბელადებისათვის არა ხელსაყრელ ფაქტის, რომ უმთავრესი იდეური საქონლის მიმწოდებელი ყოველგვარ კორშების, სუვორინების, რუტ - ფიშერის და ურბანსებისათვის იყო სწორედ საკავშირო კომპარტიის ოპოზიცია.

აქედან, საბჭოთა კავშირიდან უბერავდა „ულტრა მემარცხენე" ქარი ევროპაში. აქედან მიდიოდა მენშევიკური ლეგენდები საკავშირო კომპარტიის გადაგვარების", ტერმიდორიის შესახებ, საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის „გაკულაკების" შესახებ. კომინტერნის სახელმძღვანელო ხაზის „კრიტიკის" სტერეოტიპი იყო სწორედ ის კრიტიკა, რომელსაც იძლეოდა ოპოზიციური ბლოკი ტროცკის ხელმძღვანელობით. აშკარაა, რომ ეხლა საკავშირო კომპარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის წარმომადგენელთა პოლიტიკურ გაკოტრების შემდეგ იდეურად განიარაღებული დარჩენ კომინტერნის გარშემო და კომინტერნის შიგნით არსებული ყველა ფრაქციული ჯგუფები.

ამით უფრო ადვილი ხდება „ულტრა მემარცხენე" ოპოზიციონური რევიზიონიზმის დაძლევა კომინტერნში.

— ვინც „დაიღალა", ვისაც „ღლის" ინტერნაციონალურ კომუნისტების ყოველდღიური მოუსვენარი მუშაობა, ვისაც სწყურია რაღაც ზე-ბუნებრივი „ულტრა-მემარცხენე" ენტუზიაზმი, ვისაც „სულს უხუთავს" საერთაშორისო პროლეტარული დისციპლინის მუხრუჭი, ვისაც „ვიწროდ ეჩვენება" ლენინური თეორიის ფარგლები, ვისაც „მოეწყინა" ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, ის მხოლოდ ხელს უშლის კომუნისტურ ინტერნაციონალს თავის რევოლიუციონურ მუშაობაში. „უკლონისტური" ბოგემის ასეთ წარმომადგენლებს ვერ ვაჰყვებიან ჭეშმარიტი ინტერნაციონალური ბოლშევიკები. სოციალ-დემოკრატიიდან გადმობირებულ ყოველ უბრალო მუშას უეჭველად უფრო მეტი ფასი აქვს საერთაშორისო კომუნიზმისათვის, ვინემ რომელიმე ულტრა-მემარცხენე „ბელადს", რომელიც სოციალ-დემოკრატიის ბანაკში გადადის. კომინტერნისათვის საჭიროა ბოლშევიკური მთლიანობა, რაც არ უნდა დაგვიჯდეს. კომინტერნისათვის საჭიროა მისი ხელმძღვანელობითი როლის განმტკიცება, კომინტერნისათვის საჭიროა ყველა თავისი სექციების გამოცოცხლება და ახალ კადრების მიზიდვა სახელმძღვანელო მუშაობაში.

კომპარტიებმა, რომლებმაც დაუზოგავი ბრძოლა უნდა გაუწიონ ანტი-ბოლშევიკურ გადახრებს, ამავე დროს ენერგიული მუშაობა უნდა გასწიონ თავიანთი საქმიანობის გამოსაცოცხლებლად, მათ ბოლშევიკური გამობრძმედა უნდა მისცენ თავიანთ წევრების ფართო მასას და კიდევ მეტი ენერგიით უნდა აწარმოონ მუშაობა მასსებთან. უნდა გვახსოვდეს, რომ მუშათა მასების დაპყრობის პრობლემა წინანდებურად ძირითად პრობლემად რჩება თანამედროვე ისტორიულ ხანაში. მასსებისათვის ბრძოლა და კომპარტიის შემკრებლობითი ძალის განმტკიცება პრაქტიკულად ნიშნავს გაცხოველებულ მუშაობას ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებში და მედგარ, დაუღალავ ბრძოლას მასების საარსებო მოთხოვნილებებისათვის. მასსების ბრძოლა ნიშნავს ამ მასსების წართმევას სოციალ-დემოკრატიისათვის. ეს იმდენად უფრო ადვილი გახდება, რამდენადაც წარმატებით, სწორად, დაუღალავად, დაბეჯითებით ჩვენ დავიწყებთ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის მხილებას, რამდენადაც ჩვენ, ავამაღლებთ ჩვენი იდეური ბრძოლის ხარისხს, რამდენადაც თავის დროზე გამოვეხმაურებით ოპორტიუნისტული შემოქმედების ყველა პროდუქტებს, დაწყებული მისტერ მორგანის რეფორმისტულ დამქაშობის უხეშ ნაცოდვილევიდან, გათავებული ოტო ბაუერის და მისი კომპანიის მოქარგულ და შელამაზებული მუშაობით.

საერთაშორისო კაპიტალიზმის ობიექტიური პირობები მრავალ შესაძლებლობას იძლევა კომუნისტური პარტიების რევოლიუციონური ენერგიის გამოყენებისათვის. მიუხედავად ნაწილობრივ სტაბილიზაციისა, ანუ, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, სწორედ მიტომ, რომ ამ სტაბილიზაციის შინაარსი წინააღმდეგობით არის სავსე, კომუნიზმი სულ უფრო და უფრო მეტ მრისხანე მოვლენად ხდება საერთაშორისო ბურჟუაზიის თვალში. ბურჟუაზიამ სამუდამოდ დაჰკარგა სულის სიმშვიდე. რეაქციონურ მელას ჯონსონ ხიქსის პირით მან ფიცი დასდო „თავისი სიცოცხლის დარჩენილი დღეები" შესწიროს სასტიკ ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლას, რომელიც კაპიტალს განზრახული აქვს აწარმოოს „სირიოზულად და ხანგრძლივად", კომუნისტებმა უნდა დაუპირდაპირონ პროლეტარიატის ძალთა გეგმაშეწონილი ორგანიზაცია, უნდა მოამზადონ ის მომავალი იერიშებისათვის და დასდვან მთელი თავისი ძალები ისტორიის სასწორზე იმისათვის, რომ გაიმარჯვოს განვითარების რევოლიუციონურმა პერსპექტივამ. ამ პერსპექტივას აძლიერებს ეხლა მემაღაროების გმირული, თავგანწირული ბრძოლა. ჩინეთის რევოლიუცია. აჯანყებები ჰოლანდიის ახალშენებში. ტერორით და პროლეტარიატზე მკაცრი ძალდატანებით, გაერთიანებული იერიშებით მის მონაპოვრებზე ცდილობს ბურჟუაზია განამტკიცოს თავისი სისხლიანი ექსპლოატატორული რეჟიმის სტაბილიზაცია. მუშათა კლასის გადაუდებელი ამოცანაა ფართო მთლიანი ფრონტის შექმნა და განმტკიცება პროლეტარული თავდაცვისა და რევოლიუციონური იერიშებისათვის, ყველა ძალების გაერთიანება ბრძოლაში, მჭიდრო კავშირი რევოლიუციონურ ხალხებთან საბჭოთა კავშირის გარშემო დარაზმვა და გაძლიერება თავისი ავანგარდების, რომელნიც იბრძვიან კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მოსკოვი, 22 ნოემბერი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისიების გაუქმების შესახებ უკვე გამოტანილია მთელი რიგი დადგენილებებისა საკონტროლო და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მიერ.

ამნაირად კომისიები უქმდებიან.

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია საქართველოში დღემდე მიმდინარეობდა იმავე წესით და მიმართულებით, იმავე დადებითი და უარყოფითი მხარეებით, როგორც ეს იყო დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში: ყველგან არსებობდენ კომისიები სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებებთან, საერთო შედეგებთან და მიღწევებთან ერთად იყო ნაკლულოვანებანი, პარტიის დირექტივების დამახინჯება, გადახრები და სხვა (მაგალითად: ცალკე შემთხვევები „ხარჯების შემცირების" მუშების მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე, რაიცა სასტიკათ დაგმობილი იქნა პარტიის მიერ).

ავათ იყო თუ კარგათ, არსებულმა კომისიებმა დაწესებულებებთან ერთად ჩვენშიაც შესრულეს და გააკეთეს ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა პირველ ხანებში; გვაქვს მიღწევები, შევისწავლეთ ნაკლულოვანებანი და შეცდომები, დავრწმუნდით ხელ-ახლა, რომ აჩქარება, და წამ და უწუმ ერთსა და იმავეზე ჩიჩინი საქმის ასრულებას ხელს უშლის, ზიანს აყენებს.

კომისიების საშუალებით, იმ კომისიების, რომლებიც ჩვენში უსათუოდ (უმეტეს შემთხვევაში) დაწესებულებებისათვის სამუშაო აპარატს წარმოადგენდა და არა „დამოუკიდებელ ორგანოს", ჩვენ განვლეთ დასახელებული ყოველდღიური, სისტემატიური მუშაობის პირველი საფეხური და ეხლა გადავდივართ მეორე საფეხურზე, კამპანიის მეორე ხანაში. მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელ კომისიების გაუქმების შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა მომჭირნეობის რეჟიმის სწორათ და ნაყოფიერად გატარებისათვის სავსებით **ეკისრება სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.** ამიერიდან ეს უკანასკნელნი არიან სრული პასუხისმგებელნი პარტიის და ხელისუფლების წინაშე მიცემული დირექტივების სწორათ და ნაყოფიერათ გატარების საქმეში. პარტიის ნათელი, სწორი და გასაგები დირექტივების შესასწავლათ და შესათვისებლათ ყველას საკმაო დრო ჰქონდა. ყველა იცნობს იმ უარყოფითი მხარეებსაც, რომლებიც განვლილი მუშაობის პროცესში იქნა აღმოჩენილი და ამიერიდან მათი თავიდან აცილება ყველასათვის ადვილი და შესაძლებელი იქნება. თავს ვეღარავინ გაიმართლებს შეცდომების დაშვებასა და უსაქმურობაში, ვინაიდან ჩატარებული მუშაობის როგორც ნაკლულოვანებებს, ისე დადებითი მხარეებზე უკვე მითითებულია პარტიისა და ხელისუფლების მიერ. ამის შემდეგ კიდევ მასლაათი, ყურის მოყრუება, ლოდინი რომ ვილაცა კიდევ მოვა, ახალ დირექტივებზე დამიწყებს ლაპარაკსო და სხვა, უნდა ჩაითვალოს პარტიის დირექტივის აშკარა დარღვევათ, რასაც პარტია არავის აპატიებს.

მომჭირნეობის რეჟიმის გატარების ფრონტზედ საჭიროა აღფრთოვანება და შეჯიბრება. თვითეულმა დაწესებულებამ და წარმოებამ თვითონ, პრესის საშუალებით, მოხსენებებით, ანგარიშის ჩაბარებით და სხვ. უნდა აცნობოს მუშათა კლასს მიღწეული შედეგების შესახებ. თვით მუშათა კლასი და პროფკავშირები ფართეთ უნდა იქნან ჩაბმული საერთო მუშაობაში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის და მათი ადგილობრივი ორგანოების მოვალეობა იქნება თვალ-ყური ადევნონ პარტიის დირექტივების გატარებას. რევიზიებისა და გამოკვლევების საშუალებით იგი სისტემატიურათ შეამოწმებს თუ ვის, როგორ და რამდენი წვლილი შეუტანია ამ დიდი საკითხის გადაჭრის საქმეში, ე. ი. მ.-გ. ინსპექცია და საკ. კომისია გამოვა წამქეზებელის და შემმოწმებელის როლში თავისი პირდაპირი ფუნქციებისა და დავალებათა შესრულებასთან ერთად.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის როგორც აქამდის მომავალშიაც უნდა მიმდინარეობდეს ისევ ორი ძირითადი ხაზით: მმართველობისა და წარმოების რაციონალიზაციის და უყაირათობასა და დაუზოგველობასთან სასტიკი ბრძოლის ხაზით (იხ. საკავშირო ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელი რეზოლიუცია მომჭირნეობის შესახებ). ბოლო უნდა მოეღოს ზედმეტ და უნაყოფო ხარჯებს. უამისოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება შეუძლებელია. უნდა ვსძლიოთ ჩვენს ქვეყანაში არა სოციალისტური ელემენტები მეურნეობაში, უნდა დავამყაროთ სოციალიზმი, უნდა დავიცვათ ოქტომბერი, ასეთია პარტიის, საბჭოთა ხელისუფლებისა და მთელი მუშათა კლასის ნებისყოფა.

რწმენა, ენერგია და დაუღალავი მუშაობა თავდებია საბოლოო გამარჯვების. ამ შეგნებით უნდა იხელმძღვანელონ საწარმო და სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ორგანოებმა.

ა. დოლიძე.

საბჭოთა პრესა

პარტიული აღწერა

პარტორგანიზაციები ახლა სამზადისს აწარმოებენ პარტაღწერისათვის, რომელიც ჩატარებული იქნება ა. წ. დეკემბერში. უკანასკნელ წლებში პარტია ძალიან გაიზარდა რიცხვობრივად. ამასთან დაკავშირებით საგრძნობლად შეიცვალა მისი სოციალური შემადგენლობა. მიმდინარე პარტიულ სტატისტიკას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია პარტიის ეხლანდელი მდგომარეობის სრული და უტყუარი სურათის მოცემა. ამისათვის საჭიროა საყოველთაო პარტაღწერის მოხდენა. ამ საკითხს ეხება „ბედნოტა", რომელიც სწერს:

„აღწერა გვიჩვენებს თუ რას წარმოადგენს პარტიის ძირითადი კადრი—ფაბრიკების, ქარხნების, ტრანსპორტის მუშები, მათი კავშირი სოფელთან; ის დაგვანახებს, თუ მშრომელთა რომელი ფენებიდან ხდება პარტიულ რიგების შევსება უკანასკნელ წლებში; თუ რას წარმოადგენს პარტია თავისი მასსაში არა მარტო თავისი სოციალური შემადგენლობით, არამედ კომუნისტების ძირითადი მუშაობის ხასიათით, მათი საწარმოო სტაჟის და ხელფასის მიხედვით.

აღწერა შესაძლებლობას მოგვცემს სისწორით გამოვარკვიოთ სასოფლო ორგანიზაციების შემადგენლობა, შევისწავლოთ კომუნისტების ცალკე ჯგუფების შეფარდება მასში: გლეხების, რომლებიც მხოლოდ მიწადმოქმედებას მისდევენ; გლეხების, რომელნიც თავის მეურნეობას ათავსებენ ადმინისტრატიულ ორგანოებში სამსახურთან, საზოგადოებრივ მუშაობასთან შინა-მრეწველურ და სხვა ხელობასთან: გლეხების, რომელთაც უშუალო კავშირი გასწყვიტეს მიწასთან, მოჯამაგირეთა და იმ მუშების, რომელნიც რევოლიუციის განმავლობაში მოწყდენ წარმოებას და სოფლად მოეწყვენ.

მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგების შედარება პარტაღწერის მასალებთან საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ კომუნისტების ხვედრითი წონა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, კომუნისტური გავლენის ხარისხი უპარტიოთა შორის.

მაგრამ აღწერა განსაკუთრებით ძვირფას და აუცილებელ მასალას მოგვცემს პარტიის შემდგომი პრაქტიკულ მუშაობისათვის მისი ზრდის მოსაწესრიგებლად".

ამნაირად, პარტაღწერის მნიშვნელობა მეტად დიდია. მისი უნაკლოდ ჩატარებისათვის ამ თავითვე უნდა იქნეს ყოველი ზომა მიღებული. პირველ ყოვლისა აქ ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო ძალების შერჩევას, რომელთაც დაეკისრებათ აღწერის უშუალოდ ჩატარება. ამასთან პარტიის თვითეული წევრი დაინტერესებული უნდა იყოს დროზე გატარდეს აღწერაში, ვინაიდან ამასთან დაკავშირებულია ახალი პარტბილეთის მიღება.

ხიკსი მოითხოვს საგანგებო წესების გაგრძელებას

მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ წამოაყენა თავისი პირობები

ჩინეთის რეაქციონერები გაერთიანდენ კანტონელების წინააღმდეგ

იაპონიაში აღელვებული არიან ინგლისის მიერ სინგაპურაში საზღვაო ბაზის მოწყობის გამო

ინგლისის მუშების ბრძოლა

მემაღაროეთა პირობები

ლონდონი, 21 ნოემბერი. ინგლისის სამთა-მადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციამ 20 ნოემბრის სხდომაზე ერთხმად მოიწონა ალმასკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი იმ საერთო პრინციპებისა, რომელთა საფუძველზე რაიონულ ფედერაციებმა უნდა დასდონ რაიონული შეთანხმებები მაღაროს მეპატრონეებთან. ეს საერთო პრინციპები შემდეგია:

პირველი —უნდა შენარჩუნებულ იქნას 1914 წლის ხელფასზე ძირითადი განაკვეთის პროცენტული დამატების გამონაგარიშების წესი, რომელიც გათვალისწინებულია 1924 წლის შეთანხმებაში (ე. ი. პროცენტულ დამატების მინიმუმი გამონაგარიშებული უნდა იქნეს ამა თუ იმ რაიონის მაღაროების შემოსავლის მიხედვით). **მეორე** —ნახშირის მაღაროების წმინდა შემოსავალი განაწილებულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასსა და მოგებას შორის პროპორციით 87 პროც. სამუშაო ხელფასზე და 13 პროც. მაღაროს მეპატრონეთა მოგებაზე. (ასეთივე პროპორცია დაწესებულ იქნა 1924 წლის შეთანხმებით, რომელიც გაფიცვამდე ძალაში იყო) **მესამე** —1914 წლის განაკვეთების პროცენტულ ზედნართის მინიმუმი არ უნდა იქნეს 20 პროცენტზე ნაკლები (გაფიცვამდე არსებული შეთანხმება აწესებდა 33 ერთ მესამედ პროც. მინიმუმს, მთავრობის წინადადებით კი გულისხმობენ მინიმუმის 20 პროცენტის რაოდენობით). **მეოთხე** — საარსებო მინიმუმი, გამონაგარიშებული არა პროცენტებში, არამედ ფულის კონკრეტულ თანხით, სამუშაო ხელფასის მხრივ უმდაბლეს კატეგორიის მუშების მიმართ, დატოვებულ უნდა იქნეს გაფიცვამდე არსებულ რაოდენობით. **მეხუთე** — რაიონული შეთანხმებები შეიძლება გაუქმებულ იქნას თვითეულ მხარეს მიერ მეორე მხარეს ერთი თვით ადრე გაფრთხილების გზით. **მეექვსე** —რაიონულ ფედერაციებმა უნდა ეცადონ, რათა უზრუნველყონ სამუშაოზე დაბრუნება ყველა მემაღაროების იმავე წესით, როგორც ეს შემოღებული იყო 1921 წლის შეთანხმებით. რომელიც გულისხმობდა, რომ გაფიცვაში აქტიურ მონაწილეობის მიღება არ უნდა იწვევდეს სამსახურიდან მოხსნას. ამ საერთო პრინციპების პროექტის მიღების შემდეგ კონფერენციის სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 26 ნოემბერს. ამ სხდომაზე მოსმენილ იქნება რაიონის მოხსენებები მოლაპარაკების შესახებ. (ადს)

სამთო დეპარტამენტის განმარტება

ლონდონი, 22 ნოემბ. სრულიად ინგლისის ფედერაციის ალმასკომმა შეკითხვა გაუგზავნა სამთო დეპარტამენტს, ნიშნავს თუ არა მთავრობის წინადადებანი იმას, რომ ნაციონალურმა საარბიტრაჟო კომისიამ უნდა დააწესოს სამუშაო ხელფასის 1924 წლის ტარიფთან საპროცენტო მომატების მინიმუმათ 20 პროცენტი, თუ ამა თუ იმ რაიონში მაღაროს მეპატრონენი შემოიღებენ მომატებას უფრო ნაკლები რაოდენობით.

სამთო დეპარტამენტმა ამის შესახებ განმარტება მისცა, სადაც ნათქვამია, რომ საარბიტრაჟო კომისიას უფლება აქვს დაამტკიცოს ნაკლები რაოდენობის მომატება, თუ 20 პროცენტიანი მომატება საზარალო იქნება ამა თუ იმ რაიონის მაღაროს მეპატრონითათვის.

ჩინელ მშრომელთა დახმარება

ლონდონი, 21 ნოემბერი. ინგლისის სამთა-მადნო მუშათა ფედერაციამ გუანდუნიდან ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშათა დამხმარე კომიტეტისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „ინგლისის მემაღაროების გმირობა და სიმტკიცე ჩინეთის დაჩაგრულ მასებში გულწრფელ აღფრთოვანებას და სიმპატიებს იწვევს. **კანტონის მოსახლეობას შორის კომიტეტმა შეკრიბა 8.285 დოლარი, რაც უკვე გადმოვაგზავნეთ. ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ შევქმნათ დასავლეთის გაყვლეფილ მუშათა და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი ჩვენი საერთო მტრის დასამხობად".** (ადს)

მემაღაროეთა დასახმარებლათ

მოსკოვი, 22 ნოემბერი. მელითონეთა, ტრანსპორტელთა და მემაღაროეთა პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტები თავიანთ მოწოდებაში მემაღაროეთა, მელითონეთა და ტრანსპორტელთა ყველა ორგანიზაციების. მიმართ, აღნიშნავენ, რომ იწყება ინგლისელ მემაღაროეთა ლოკაუტის მეტად კრიტიკული პერიოდი. ამას შედეგად უნდა მოჰყვეს ან სრული დამარცხება ან კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით გაგრძელება და დიდ ბრიტანეთის მემაღაროეთა ფედერაციის მთლიანობის შენარჩუნება. მემაღაროეთა გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო პროლეტარიატი მათ დაუყოვნებლივ აღმოუჩენს ყოველმხრივ დახმარებას.

საერთაშორისო პროლეტარიატი, ნათქვამია მოწოდებაში, ვერ დაუშვებს და არც უნდა დაუშვას საბოლოო განადგურება გმირულ მასსების, რომელნიც თავგანწირულნი იბრძვიან. მემაღაროეთა შემდეგ დადგება მელითონეთა რიგი, რომლის წინააღმდეგ შეტევას დაიწყებს ახალი ევროპიული ლითონის ტრესტი. მელითონეთა შემდეგ რიგი ტრანსპორტელებზე მიდგება.

მელითონენო დაეხმარეთ მემაღაროებს. ტრანსპორტელებო, ხელი შეუშალეთ ინგლისში ნახშირის გაგზავნას. (ადს)

„მიუდგომელი" სასამართლო

ლონდონი, 22 ნოემბ. ინგლისში საგანგებო მდგომარეობის შემოღების დღიდან ე. ი. 20 ოქტომბრიდან აღძრულია საქმე სასამართლოში 2.453 კაცის წინააღმდეგ მემაღაროეთა გაფიცვასთან დაკავშირებით. საერთო კანონმდებლობის საფუძველზე, დღიდან გაფიცვის გამოცხადებისა 1-ლ სექტემბრამდე სასამართლოში აღძრულია საქმე გაფიცვასთან დაკავშირებით 1.989 კაცის წინააღმდეგ.

საგანგებო წესები რჩება

ლონდონი, 21 ნოემბ. ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ხიკსმა დაათვალიერა პოლიციის სპეციალური რაზმები, რომელნიც ინგლისის მთავრობამ გამოიწვია რეგულიარული პოლიციის დასახმარებლად საყოველთაო გაფიცვის დროს.** პოლიციის რაზმების დათვალიერების შემდეგ ხიკსმა განაცხადა: „**არ იფიქროთ, რომ ინგლისმა განვლო საგანგებო წესების დრო.** გაფიცვა, რომლითაც სურდათ ინგლისის ცხოვრების ჩაკვლა, მარცხით დამთავრდა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ—რაკი ერთხელ ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა — **ეს ცდა ერთხელ კიდევ განმეორებული იქნება".** (ადს).

მოსყიდული შტრეიკბრეხერები

ლონდონი, 21 ნოემბ. რეიტერის სააგენტო იტყობინება:

ნოტინჰემშირში მემაღაროეთა წარმომადგენლებმა (იგულისხმებიან ნოტინჰემშირის მემაღაროეთა ფედერაციის ზოგიერთი მემარჯვენე თანამდებობის პირნი, რომელნიც გამოეთიშენ ფედერაციას და სეპარატიულ მოლაპარაკებას ეწევიან მაღაროს მეპატრონეებთან) 5 წლის ვადით შეთანხმება დასდეს მაღაროს მეპატრონეებთან. შეთანხმება ითვალისწინებს 7-ნახევ. საათის სამუშაო დღეს და სამუშაო ხელფასის მომწესრიგებელ პალატის დაარსებას, რომელშიაც შევლენ თანასწორი რაოდენობით, როგორც მემაღაროების, ისე მწარმოებლების წარმომადგენლები; პალატის თავმჯდომარე იქნება დამოუკიდებელი პიროვნება. პალატა პერიოდულად დააწესებს სამუშაო ხელფასის განაკვეთებს მაღაროების შემოსავლიანობის გამორკვევის მიხედვით. ხელფასს საფუძვლად დაედება გარკვეული პროცენტული შეფარდება წმინდა შემოსავლიდან ხელფასისათვის გადადებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც მაღაროების მეპატრონეთა მოგებას შეადგენს. შეთანხმების ძალით სამუშაო ხელფასის მინიმალურ განაკვეთი დღეში დაახლოებით 3 მან. 70 კაპეიკს უდრის. (ადს).

იაპონია-ინგლისის ურთიერთობა

ტოკიო, 21 ნოემბ. პარტია კენსეკაის ორგანო „ხოცი" სწერს:

„საზღვაო ბაზის მოწყობა სინგაპურში მოწმობს ინგლისის მტრულ დამოკიდებულებას იაპონიისადმი. თუ სინგაპური გამაგრებულ იქნა, ინგლისი საყოველთაო მშვიდობიანობას კიდევ უფრო მეტად დაარღვევს, ვინემ ომის წინანდელმა გერმანიამ დაარღვია".

პარტია სეიუკაის ორგანო „ციუს" უწოდებს ინგლისს საერთაშორისო სამართლიანობის მოღალატეს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **საზღვაო ბაზის მოწყობა სინგაპურში სერიოზულ საკითხს წარმოადგენს არა მარტო აღმოსავლეთისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.**

პანაზიურ ოლქების ფედერაციამ გაუგზავნა საიმპერიო კონფერენციას ლონდონში დეპეშა, რომელშიაც დაბეჯითებით მოითხოვს, რათა კონფერენციამ აღიაროს აზიის მცხოვრებთა რასიული თანასწორობა და კეთილდღეობის უფლება და გადასინჯოს სინგაპურის საზღვაო ბაზის მოწყობის საკითხი საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვის მიზნით. (ადს).

ფაშიზმის თარეში

183 ხმით

რომი, 21 ნოემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ **სენატმა 183 ხმით, 49 წინააღმდეგ მიიღო მთავრობის პროექტი სახელმწიფოს დაცვის ღონისძიებების შესახებ.** (ადს)

წესრიგის „დასაცავად"

რომი, 21 ნოემბერი. გამოცემულია შინაგან საქმეთა სამინისტროს დეკრეტი, სახელმწიფოში წესრიგის დასაცავად პოლიტიკური მეთვალყურეობის სპეციალური სამმართველოს დაარსების შესახებ. თვითეულ პროვინციაში არსდება პოლიტიკური დაზვერვის მმართველობა, რომელიც პრეფექტს ემორჩილება და რომელიც ხელმძღვანელობს აგრეთვე ადგილობრივ მხედრობის და ფაშისტურ მილიციის პოლიტიკურ დაზვერვის განყოფილებას. (ადს)

ლუი ფრანკონი

ვარშავა, 21 ნოემბერი. უცხოეთის საქმეების გარშემო სეიმის კომისიის სხდომაზე, პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრმა **პრაგერმა** პროტესტი განაცხადა იტალიის ფაშისტურ დეპუტატის **ლუი ფრანკონის** ვარშავაში ყოფნის წინააღმდეგ. მან ხაზი გაუსვა, რომ ფაშისტურ ფორმაში გამოწყობილ ფრანკონის მიღება პილსუდსკის მიერ პროვოკაციას წარმოადგენს მუშების მიმართ. (ადს).

ჩინეთის რეაქციონერები

იაპონიის პროტესტი

ხარბინი, 21 ნოემბ. იაპონიის გენერალურმა კონსულმა მუკდენში ჩან-ძოლინს გადასცა საპროტესტო ნოტა, ხაშლუნ-გირინის რკინისგზის გაყვანის წინააღმდეგ. **ნოტა მოითხოვს გზის ასაგებ სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.** გზას აშენებენ ჩინელები. ამ გზის გაყვანაში მთავარი ხელმძღვანელები და აქციონერები არიან ჩან-ძო-ლინის შტაბის წარმომადგენლები.

იაპონიის პროტესტი იმით არის გამოწვეული, რომ გზის გაყვანა ზარალს მიაყენებს სამხრეთ-მანჯურიის იაპონიის რკინისგზას. (ადს).

რეაქციის გაერთიანება

ლონდონი, 22 ნოემბ. შანხაიდან მიღებული ცნობით, **ჩინეთის ჩრდილოეთის და ცენტრალური სამხედრო ბელადების კონფერენცია ტიან-ცზინში დამთავრდა მეტად ფართო სამხედრო კომბინაციის შექმნით.** შეერთებულ არმიას მიზნად აქვს შეაჩეროს კანტონის არმიის წინსვლა. ამ არმიაში არის 500.000 კაცი.

ხმელეთის ჯარების ოპერაციებთან ერთად მოქმედებას დაიწყებს ფლოტი მდ. იან-ცზიზე. (ადს).

აჯანყება კუნძულ იავაზე

კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 22 ნოემბერი. კუნძულ იავაზე აჯანყების გამო, კომინტერნის ალმასკომმა ყველა ქვეყნის მუშებსა და დაჩაგრულ ხალხთა მიმართა შემდეგი მოწოდებით:

„ინდონეზიის ერები აჯანყდნენ არაადამიანური და აუტანელ პირობების წინააღმდეგ. **კბილებამდე შეიარაღებული ჰოლანდიის იმპერიალიზმი სცდილობს სისხლში ჩაახრჩოს ეს რევოლიუციონური ბრძოლა,** მიუხედავათ იმისა, რომ განმანთავისუფლებელი ბრძოლა ინდონეზიაში სარგებლობს გულწრფელი და ცხოველი სიმპატიებით მთელი ქვეყნის მუშებისა და დაჩაგრულ ერების მხრივ. კომუნისტური ინტერნაციონალი გულწრფელად ესალმება რევოლიუციონურ ბრძოლას ინდონეზიაში და მას ყოველმხრივ უჭერს მხარს.

ყველა ქვეყნის მუშებო!

ნუ დაუშვებთ, რომ ბრძოლა ინდონეზიის თავისუფლებისათვის ჩაღრჩობილ იქნას, სისხლში. დაეხმარეთ, რაც შეიძლება ჩქარა. მოაწყვეთ, მასსიური მიტინგები ინდონეზიის აჯანყებულ მასსებისათვის თანაგრძნობის გამოსახატავად და იმპერიალისტური ტერორის საწინააღმდეგო პროტესტის გამოსაცხადებლად. მოაწყვეთ დემონსტრაციები ჰოლანდიის საელჩოთა და საკონსულოების წინ, მოითხოვეთ ინდონეზიის ხალხთა განთავისუფლება და კოლონიებიდან იმპერიალისტების შეიარაღებულ სამხედრო ძალების გაყვანა.

ყველა ქვეყნების დაჩაგრულო ერებო!

ინდონეზიის აჯანყებულები თქვენი ავანგარდია, მათ ასულდგმულებთ მისწრაფება თავისუფლებისაკენ, რომელიც თქვენ ყველას გაერთიანებს. მიიღეთ ზომები, რომ მძიმე ბრძოლაში დაეხმაროთ მათ. **ძირს იმპერიალისტური ტერორი! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშებისა და დაჩაგრულ ერების ერთიან ფრონტს იმპერიალისტების წინააღმდეგ".** (ადს)

რამ გამოიწვია აჯანყება

ამსტერდამი, 20 ნოემბერი. იავაზე მომხდარ აჯანყების გამო კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ **ჰოლანდიის ინდოეთის ადგილობრივი მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში იმყოფება.** ადგილობრივ მუშათა ექსპლოატაცია უსასტიკეს პირობებში სწარმოებს. საკმაოა ითქვას, რომ ჰოლანდიის ინდოეთში დღემდე არსებობს შავ მუშათა (კულიების) სამუშაოზე მიღების შემდეგი სისტემა; მუშებს იძულებულ ხდიან დასდონ ისეთი ხელშეკრულება და იკისრონ ისეთი ვალდებულებანი, რომელთა შესრულება აღემატება მათ ძალ-ღონეს. **ეს ხელშეკრულება შავ მუშებს ხდის მონებად, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა წერა - კითხვის უცოდინარია და არ შეუძლიათ კარგად გაეცნონ იმ პირობებს, რომლებზედაც ისინი აწერენ ხელს.** ამასთანავე, ჰოლანდიის ინდოეთის ცალკე ნაწილებში დღემდე არის ძალაში კანონი, რომელიც პლანტატორებს ანიჭებს უფლებას, რომ საკუთარი შეხედულებებისამებრ დასაჯოს ფიზიკურად შავი მუშები. ამ ნიადაგზე უკანასკნელ ხანებში **ხშირია მუშების ცემაწამების შემთხვევები.**

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თვითმოქმედებას, იგი უაღრესად შევიწროებულია. **კომუნისტური პარტია და სახალხო რევოლიუციონური ორგანიზაცია „სარეკატ რაიატი" უკვე დიდი ხანია არალეგალურ ორგანიზაციებად არის გამოცხადებული.** მაგრამ ჰოლანდიის ხელისუფლების წარმომადგენლები ამით არ კმაყოფილდებიან და ზომებს იღებენ, რომ სისხლში ჩაახრჩონ ეროვნულ მოძრაობა ჰოლანდიის ინდოეთში. პრესამდე მხოლოდ უმცირესი ნაწილი აღწევს იმ ცნობებისა, რომელნიც ეროვნულ მოძრაობასთან ბრძოლას შეეხებიან. ცნობილია აგრეთვე, რომ პოლიციამ განავითარა პროვოკაციის ფართო სისტემა, რომლის მეოხებითაც იგი იბრძვის არალეგალურ ორგანიზაციებს. ამას წინად პროვოკაციის მეოხებით იქნა დარბეული კომუნისტური ორგანიზაცია სურაბაიაში (იავას აღმოსავლეთი მხარე). დაპატიმრებულთა და გადასახლებულთა რიცხვი აუარებელია. კომუნისტური პარტიისა და „სარეკატ-რაიატი"-ს გარდა ჰოლანდის ინდოეთში კიდევ არის ორი არალეგალური მუსულმანური რადიკალური ორგანიზაციები, რომელთა შორის ამას წინად ხელოვნურად გამოიწვიეს კონფლიქტი. არსებობს აგრეთვე ეგრედ წოდებულ „განმანათლებელ კავშირთა" მოძრაობა, რომელსაც მეთაურობს რადიკალური ადგილობრივი ინტელიგენცია და რომელსაც მიზნად აქვს გაართიანოს ყველა „ცოცხალი ძალები". მთავრობა ყოველი ძალღონით ცდილობს შექმნას ისეთი ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც მას დაუჭერს მხარს. მაგრამ ეს მისი ცდა ამაოდ რჩება. (ადს)

პუანკარე და ერიო

პარიზი, 21 ნოემბ. ჰავასის სააგენტო იუწყება პუანკარესა და ერიოს გამოსვლის შესახებ ტარბეში პროფესიონალური სკოლის გახსნის დროს.

აღნიშნა რა პარტიების ბრძოლაში ჩამოვარდნილი დროებითი შერიგება, პუანკარემ სთქვა:

„ფინანსიური საშიშროება უკუგდებულია, მაგრამ ჯერ არ გამქრალა სავსებით. ისევე მწვავე საფრთხე არა მარტო მთელი ერის მომავალს, არა მარტო მის ფინანსებს, ვალიუტას და მატერიალურ კეთილდღეობას, არამედ ქვეყნის მორალურ ძლიერებას. მის ინტელექტუალურ ექსპანსიობის უნარიანობას და მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც კი. ასეთ საფრთხესთან დაპირისპირების დროს, დაჩრდილულ უნდა იქნას ყველა მოსაზრებები, გარდა ერის ინტერესებისა, და საკმაო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოგვიხდება არსებული ნაციონალური მთლიანობის იდეის დაცვა და პარტიის ინტერესების დამორჩილება ერის ინტერესებისათვის".

შემდეგ გამოვიდა **ერიო,** რომელმაც განაცხადა:

„პოლიტიკა არ უნდა მიდიოდეს უდიდესი მორალური კანონების გაქელვის გზით. ჩვენი საერთო დედა - საფრანგეთი ავად არის. მე გამოვეხმაურე ამ ავათმყოფ დედის ძახილს და არც ვნანობ კიდეც ამას. მე შევასრულე ჩემი მოვალეობა, და ლოიალურადაც შევასრულე". (ადს).

საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 22 ნოემბ. „დეილი მეილი"-ს ცნობით, საიმპერიო კონფერენციის მიერ მიღებული კომისიის მოხსენება ამყარებს ურთიერთობის შემდეგ ფორმებს:

იმპერია შესდგება თავისუფალ და ერთგვარად თვითმართველ დომინიონებისაგან. გენერალურ - გუბერნატორები მეფის გვირგვინის წარმომადგენლები არიან და არა ინგლისის მთავრობისა. დომინიონების მთავრობათა ოფიციალური ურთიერთობა ბრიტანეთის მთავრობასთან სწარმოებს უშუალოდ და არა გენერალ - გუბერნატორების საშუალებით. დომინიონების მთავრობებს უფლება აქვთ მისცენ რჩევა სამეფო გვირგვინის წარმომადგენლებს ყველა იმ საკითხებში, რომელნიც მათ საკუთარ საქმეებს ეხებიან. ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც სარგებლობენ ოკეანის იქითა მხარის დომინიონები.

დაწესებულია მეფის შემდეგი ტიტულები: „მეფე გეორგ V—წყალობითა ღვთისითა მეფე დიდ-ბრიტანეთისა, ირლანდიისა ოკეანეს იქითა მხარის ბრიტანეთის დომინიონებისა, მეფე — სარწმუნოების დამცველი და ინდოეთის იმპერატორი".

დომინიონებს უფლება აქვთ დასდონ ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოებთან; ხელშეკრულებათა დადების დროს დომინიონები ხელს აწერენ მეფის სახელით, როგორც მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლები. დომინიონებმა მეფის მთავრობასაგან უნდა მიიღონ თანხმობა იმ შემთხვევაში, როცა მათ სურთ გადადგან ისეთი ნაბიჯები, რომელთაც შედეგად მისდევთ აქტიური ვალდებულებანი.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ საიმპერიო კონფერენცია მომხრეა იმისა, რომ პირდაპირი და პირადი კონტაქტი არსებობდეს ინგლისის სამეფო მთავრობასა და დომინიონებს შორის. ამის მიხედვით შეცვლილია გენერალ - გუბერნატორების ფუნქციები: გენერალ - გუბერნატორები რჩებიან სამეფო გვირგვინის წარმომადგენლებად, მაგრამ ისინი კარგავენ ყოველგვარ პასუხისმგებლობას, როგორც მეფის აგენტები ოკეანეს იქითა მხარეში.

„დეილი მეილი"-ს დიპლომატიური კორესპონდენტი ამბობს, რომ **საიმპერიო ურთიერთობათა საკითხის გადაწყვეტა მოხსენების თანახმად ნიშნავს იმას, რომ ბოლო ეღება ინგლისის ყოველგვარ ფორმალურ კონტროლს დომინიონებზე. დომინიონები ხდებიან თვითმმართველ მონარქიებად;** ამასთანავე მეფე არის კავშირი ინგლისისა, ირლანდიისა, კანადისა, ავსტრალიისა, ახალი - ზელანდიისა, სამხრეთ - აფრიკისა და ნიუფაუნდლენდის შორის. მეფე, გარდა ამისა, არის ინდოეთის იმპერატორი. (ადს).

ლონდონი, 22 ნოემბერი. ხვალ შესდგება საიმპერიო კონფერენციის უკანასკნელი სხდომა. რომელზეც გამოქვეყნდება მისი მუშაობის სრული ანგარიში. უკანასკნელ სხდომაზე მოწონებულ იქნა კომისიის მოხსენება საჰაერო მიმოსვლის შესახებ. განზრახულია ჰიდროპლანების მოძრაობის გახშირება აფრიკაში და მიმოსვლის დაწესება ავსტრალიისა და სინგაპურს შორის. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება ალბანეთში

ბერლინი, 22 ნოემბერი. სკუტარიდან მიღებული ცნობებით, ჩრდილოეთ ალბანეთში, სადაც დამხობილია ადგილობრივი ხელისუფლება, აჯანყებულან კათოლიკური ტომები. აჯანყებულები მიიწევენ ტირანისაკენ, მოელიან მთავრობის დამხობას. (ადს).

გარიბალდი - ცანიბონის შეთქმულების მონაწილე

ბერლინი, 22 ნოემბერი. დამტკიცებულია, რომ გარიბალდი ნამდვილად ღებულობდა მონაწილეობას ცანიბონის შეთქმულებაში მუსოლინის წინაალმდეგ.

მღვდლები ერთი მეორის დაერიენ

ბერლინი, 22 ნოემბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობებით, პოლონეთის ნაციონალური ეკლესიის მომხრეთა მოხსენებაზე კათოლიკურმა მღვდლებმა მოაწყვეს დემონსტრაცია. დაჭრილია რამდენიმე სამღვდელო პირი. (ადს).

ჩან-ძო-ლინი მიიწევს შანხაისკე

ბერლინი, 22 ნოემბერი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, ჩან-ძო-ლინმა გაგზავნა შანხაისკენ 180 კაცისაგან შემდგარი არმია იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალოს კანტონელებს ამ ქალაქის აღებაში. (ადს).

არხანგელსკიდან ოდესაში

ოდესა, 22 ნოემბერი. 4 თვის შემდეგ ოდესაში მოვიდა 7 ივლისს არხანგელსკიდან გამოსული გემთა ქარავანი. ქარავანში სულ შედის 32 გემი. ამათში 10 საბუქსირო ტიპის ყინულის მჭრელი გემია. (ადს).

აჯანყება იავაში

ბერლინი, 22 ნოემბერი. ჰააგიდან მიღებული ცნობებით, გრძელდება აჯანყება კუნძულ იავაზე, მაგრამ მთავრობამ უკვე გაიმაგრა ზურგი და გახდა არსებული მდგომარეობის ბატონ-პატრონი. (ადს).

დობზსი ანგორაში

ლონდონი, 22 ნოემბერი. ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ირაქში გენრი დობზსი ჩავიდა ანგორაში ოსმალეთის მთავრობის მიწვევით.

ამჟამად ანგორაშივე იმყოფება ინგლისის ახალი ელჩი ოსმალეთში ჯორჯ კლერკი ამ ორი ინგლისელი დიპლომატის შეხვედრა ანგორაში, როგორც ამბობენ შემთხვევითი მოვლენაა.

პოლ დუმერი

პარიზი, 21 ნოემბ. სენატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია პოლ დუმერი (ყოფილი ფინანსთა მინისტრი, პუანკარეს მომხრე) (ადს).

საგანგებო წესები

ბერლინი, 21 ნოემბ. ლონდონიდან მიღებული ცნობით, რესპუბლიკანელების თავდასხმის გამო პოლიციის ყაზარმებზე, ირლანდიის მთავრობამ საგანგებო წესები გამოაცხადა. (ადს).

აჯანყება ალბანეთში

პარიზი, 21 ნოემბ. გაზეთ „ვრემია"-ს ცნობით ბელგრადიდან, ოთხი ტომი აჯანყდა ალბანეთის მთავრობის წინაალმდეგ. (ადს).

საფრანგეთის ბანკი

ბერლინი, 21 ნოემბ. ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ლუშერმა საფარში განაცხადა, რომ თეორეტიულად სავსებით შესაძლებელია ფრანკის პარიტეტის გათანასწორება ოქროსთან. (ადს).

სპარტაკის კონფერენცია

ბერლინი, 21 ნოემბ. კვირას გეტინგენში მოხდა ახალი სპარტაკის პარტიის კონფერენცია, რომელიც შესდგება კომუნისტების და სხვა ულტრა-მემარჯვენე პარტიებიდან გამორიცხული წევრებისაგან. (ადს).

ნობელის პრემია

ლონდონი, 21 ნოემბ. ბერნარ შოუმ გადასწყვიტა, „დროებით" მიიღოს მისთვის მისჯილი ნობელის პრემია 6.500 გირ. სტერლინგი, რომ ამით გაადვილდეს ფულის გადაცემა იმ ფონდში, რომელიც ხელს უწყობს ინგლის-შვეციის ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარებას. (ადს).

კომინტერნის ალმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 22 ნოემბ. 22 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე კრემლის სასახლის ანდრეევის დიდ დარბაზში გაიხსნა კომინტერნის ალმასკომის მე-7 გაფართოებული პლენუმი.

პლენუმი გაიხსნა ამხ. ბუხარინის სიტყვით, რომელსაც მხურვალე ოვაციებით მიეგებენ. შემდეგ პლენუმმა მოისმინა მოძმე კომპარტიებისა და გომინდანის წარმომადგენლების მისალმებანი (ადს).

ოქტომბრის 10 წლის დღესასწაულისათვის

მოსკოვი, 22 ნოემბერი. დღეს შესდგა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი, ოქტომბრის ათი წლისათვის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიის სხდომა ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით.

კომისიამ თავის შემადგენლობიდან გამოყო სამდივნო და პასუხისმგებელ მდივნათ დანიშნა ამხ. ვლადიმირსკი. ამასთანავე კომისიამ გამოყო ცალკე-ქვე-კომისიები: ლიტერატურული, სანაპაზებს, საორგანიზაციო, საერთაშორისო და ამნისტიების საქმეზე.

კომისიამ დაადგინა მიმართოს წინადადებით მოკავშირე რესპუბლიკათა ცაკებს, რომ ანალოგიური კომისიები მოეწყონ აგრეთვე ადგილებშედაც.

კომისიის დადგენილებით დღესასწაულის ადგილებზე ჩასატარებელი ხარჯები დაფარულ უნდა იქნეს ადგილობრივ გაღებული თანხებიდან. (ადს).

სესხის ობლიგაცია სას.-სამ. გადასახადის გადასახდელად

მოსკოვი, 22 ნოემბ. ფინსახკომმა ადგილებს დაუგზავნა მიწერილობა, რომ სას.-სამ. გადასახადის ანგარიშში მიიღონ საგლეხო მომგებიანი სესხის ობლიგაციები, მათზე აღნიშნული ღირებულების ფასში. (ადს).

კონფლიქტის ლიკვიდაცია

მოსკოვი, 22 ნოემბ. ყველა სადაო საკითხების მოგვარების შემდეგ, ხელი მოაწერეს კოლექტიურ ხელშეკრულებას კავშირთგაბმულობის მუშაკთა ცეკასა და ჩრდილოეთის სატელეგრაფო საზოგადოებას შორის.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა ხაზებზე და სადგურებზე კავშირის მუშაკთა შრომის პირობების მოგვარება. (ადს).

„მოლოგოჟელდორ"-ის კონცესიის დავალიანება

მოსკოვი, 22 ნოემბ. „მოლოგოჟელდორ"-ის კონცესიის წარმომადგენელმა გადასცა აღმშენებელთა კავშირის ცეკას, რომ კონცესიის დავალიანება მუშებისათვის ხელფასის მიცემის შესახებ უკვე დაფარულია 20 ნოემბრისათვის. (ადს).

„მოსკოვის აგენტები"

პარიზი, 22 ნოემბერი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, კონსერვატიული პარტია მოითხოვს „მოსკოვის ყველა აგენტების" გაძევებას ინგლისიდან. (ადს).

ჩემბერლენისა, ბრიანისა და მუსოლინის შეხვედრა

პარიზი, 22 ნოემბერი, ლონდონიდან იუწყებიან მუსოლინის, ჩემბერლენის და ბრიანის მომავალ შეხვედრის შესახებ ჟენევაში. შესაძლებელია შეხვედრა მოხდეს არა ჟენევაში, არამედ ლოკარნოში, საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ჩემბერლენი ჟენევაში გაემგზავრება პარიზში გავლით, სადაც დარჩება 8 დღეს. (ადს).

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 21 ნოემბ. სათემო არჩევნების შედეგები საქსონიაში მოწმობენ კომუნისტების დიდ გამარჯვებას. მთელ რიგ თემებში, სადაც სჭარბობს მუშათა მოსახლეობა, კომუნისტები გადაიქცნენ უძლიერეს ფრაქციებად სათემო საბჭოებში. ლეიპციგსა და ხემნიცში სათემო საბჭოების უმეტესობას შეადგენენ კომუნისტები და სოციალ - დემოკრატები. დრეზდენში სოციალ - დემოკრატებსა და კომუნისტებს იმდენივე მანდატი აქვთ, რამდენიც ყველა სხვა პარტიებს. წინა ლანდტაგის ბურჟუაზიულმა პარტიებმა ყველგან განიცადეს უსასტიკესი დამარცხება. კომუნისტ - სოციალ - დემოკრატების შემადგენლობა სათემო საბჭოებში, ლეიპციგსა და ხემნიცს გარდა სჭარბობს, აგრეთვე, ვურცენსა, ხარტესა, ვალპჰეიმესა, ლეისნიგსა, პენიგსა, არნსდორფსა, ვოლკენბერგსა, ჰეპერსდორფსა და სხვ. ადგილებში. (ადს).

ეკონომიური კონფერენცია

ბერლინი, 21 ნოემბ. „ფორვერტსი"-ს ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება: „უდიდესი სისწრაფით შედგენილი საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის პროგრამა მოწმობს, რომ კონფერენციის უმთავრესი ყურადღება მიქცეული იქნება მრეწველობის კარტელებში გაერთიანებაზე საერთაშორისო მასშტაბით. მუშათა კლასის წარმომადგენლების მოთხოვნილებებს პროგრამა სრულიად უყურადღებოდ სტოვებს.

მომზადებულმა კომისიამ კატეგორიული უარი სთქვა, რომ პროგრამაში შეტანა უმუშევრობის საკითხი, და აგრეთვე საერთაშორისო კარტელების მოქმედებაზე კონტროლის დაწესების საკითხი.

ეს, გაზეთის აზრით წინასწარ განსაზღვრავს კონფერენციის მუშაობის შედეგებს. დაწესება იმისა, რომ ყოველ ქვეყნიდან დელეგატების მაქსიმალური რიცხვი უნდა იყოს ხუთი კაცი, ნიშნავს, რომ ის ქვეყნები, რომლებშიაც მუშათა მოძრაობა სუსტია, თავის დელეგაციების შემადგენლობაში არ შეიყვანენ წარმომადგენლებს მუშებისაგან.

ვინაიდან მუშათა წარმომადგენლებს კონფერენციაზე არ ექნებათ საშუალება, რომ მასზე მოახდინონ ზეგავლენა, ამიტომ ისინი იძულებული იქნებიან დაკმაყოფილდენ მხოლოდ სათათბირო როლით და არავითარ შემთხვევაში არ იკისრებენ პასუხისმგებლობას კონფერენციის დადგენილების მიმართ. (ადს).

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე

ხარბინი, 21 ნოემბ. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მმართველმა ემშანოვმა დაამთავრა საინსპექციო მოგზაურობა ხაზზე. ყველა მნიშვნელოვან სადგურებზე ემშანოვს მიესალმენ მრავალრიცხოვანი დელეგატები ჩინეთის კომერციულ საზოგადოებათაგან და ჩინეთის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები.

კომერციულ საზოგადოებათა დელეგატებმა მადლობა გამოუცხადეს ემშანოვს იმის გამო, რომ მისი პოლიტიკა ხელს უწყობს ვაჭრობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარებას". (ადს).

ინგლისი და ჩინეთი

ლონდონი, 21 ნოემბ. საგარეო საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ ცნობას, რომ ინგლისის ახალი ელჩი ჩინეთში ლემპსენი არ ჩააბარებს თავის რწმუნების სიგელს პეკინის მთავრობას იმ დრომდე, სანამ ჩინეთში „არ იქნება ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც იცნობს ინგლისის მთავრობა". სარწმუნო წრეებში აღნიშნავენ, რომ პეკინის მთავრობის ეს ოფიციალური არ ცნობა ჩინეთის „ცენტრალურ მთავრობად" ნიშნავს ინგლისის პოლიტიკის გადაჭრით შეცვლას ჩინეთის მიმართ და წარმოადგენს კანტონის მთავრობის ცნობის წინასწარ მზადებას. (ადს).

ეპტონ სინკლერი

უპასუხებს რუმინეთის დედოფალს

ნიუ-იორკი, 19 ნოემ. რუმინეთის დედოფალმა მარიამმა ამერიკაში ყოფნის დროს გამოსთქვა ამერიკელ სოციალისტებთან გაცნობის სურვილი. დედოფლის ამ სურვილის შესასრულებლად დეპეშა გაეგზავნა ცნობილ მწერალს ეპტონ სინკლერს და მის მეუღლეს. ამ დეპეშით მათ იწვევდენ ნიუ-იორკში დედოფლის წინაშე „წარსადგომად".

რემედასის ალმასკომმა მიიღო ეპტონ სინკლერის მიერ ამ მიწვევაზე გაგზავნილი საპასუხო დეპეშის ასლი:

„ჩვენ, — ნათქვამია სინკლერების მიერ გაგზავნილ პასუხში,—მივიღეთ თქვენი დეპეშა ნიუ - იორკში მიწვევის შესახებ და ღრმად ვაფასებთ თქვენი „უდიდებულესობის" „დემოკრატიზმს", რომელიც გამოიხატა ამერიკელ სოციალისტებთან გაცნობის სურვილში.

სამწუხაროდ, ჩვენ ნიუ-იორკისაგან 3.000 კილომეტრის მანძილით ვართ დაშორებული და არ გვაქვს იმდენი ფული, რომ შევიძინოთ რკინის გზის ბილეთი. მაგრამ თქვენთან შეხვედრის გარეშეც, ჩვენ შეგვძლებთ უამბოთ ამერიკის ხალხს ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ რუმინეთის მთავრობაზე, რომელიც ყველაზე საძაგელ და ყველაზე სისხლისმსმელი მთავრობათაგანია ევროპაში.

ამ მოკლე ხანში, ჩვენ, ალბად გაიგებთ, რომ თქვენი „უდიდებულესობა" ჩამობრძანდა ამერიკაში მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისესხოს დოლარები, რომლებიც ესოდენ საჭიროა საბჭოთა კავშირის მუშების წინაალმდეგ გასალაშქრებლად.

ნუ თუ თქვენ სერიოზულად გქონდათ იმის იმედი, რომ ჩვენ მხარს დაუჭერდით ამ საქმეს, ანდა თქვენ ალბად, ანგარიში აგერიათ, როცა ადგენდით „ცნობილ" პიროვნებათა მისაწვევ სიას.

ეპტონ სინკლერ, მერი კრეგ-სინკლერ."

ამერიკის პოზიცია

ნიუ - იორკი, 22 ნოემბერი. ხმები დადის, რომ რუმინეთის დედოფალს მარიამს, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს ამერიკელ კაპიტალისტებისათვის შეუძლევია კონცესიები ბესარაბიაში, რომ ამ გზით დაეყოლებია შეერთ. შტატები ბესარაბიის ანექსიის ცნობაზე. რუმინეთის წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ამერიკის ელჩს რუმინეთში — **კოლბერტსონს** რუმინეთის გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში თითქოს გამოუთქვამს აზრი ბესარაბიის ანექსიის სასარგებლოდ. წინააღმდეგ ამისა, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს შეერთებული შტატების კორესპონდენტს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, რომ ამერიკა ბესარაბიის საკითხში განაგრძობს ნეიტრალიტეტის დაცვას და წინადადება მიუცია კოლბერტსონისათვის მოერიდოს ამ საკითხში ჩარევას. (ადს)

თეთრი ტერორი

ბალკანეთში

პარიზი, 22 ნოემბ. პარიზში შესდგა საპროტესტო მიტინგი ბალკანეთზე გამეფებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ. მიტინგზე გამოვიდნენ კომუნისტები რენო, პორი, ვილიორი და სოციალისტები ჟურომსკი და პოლ ლუი. ორატორები აღნიშნავდენ, რომ მხოლოდ ბალკანეთის ქვეყნების რევოლიუციონურ მუშურ-გლეხურ ფედერაციას შეუძლია უზრუნველყოს მაკედონიის განთავისუფლება. (ადს).

პილსუდსკი და სეიმი

ვარშავა, 22 ნოემბ. სეიმის წრეებში მიღებულია ცნობები, რომ პილსუდსკის წინადადების თანახმად მინისტრები არ გამოვლენ ახსნა - განმარტებით და პასუხით იმ შეკითხვებზე, რომლებიც ჯერ კიდევ სეიმის წინა სესიაზე იქნა შეტანილი. სეიმში მთავრობის პოლიტიკას ათასებენ, როგორც უკანასკნელს მისწრაფებას გამოიყენოს ყოველგვარი შემთხვევა სეიმთან ახალი კონფლიქტის შესაქმნელად. (ადს).

ჩინეთ-ბელგიის

ინცინდენტი

პარიზი, 22 ნოემბ. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის ელჩმა გადასცა ვანდერველდეს ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩინეთის მთავრობა უარს აცხადებს კონფლიქტის გადაცემაზე საერთაშორისო ტრიბუნალისათვის. ბელგიის მთავრობა სთხოვს ჰააგას მიუთითოს იმ საშუალებებზე, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება ბელგიის უფლებები და აღნიშნავს, რომ ის არ არის წინააღმდეგი ხელშეკრულების მეგობრულად განხილვისა. (ადს).

გაფიცვა ავსტრალიაში

ლონდონი, 21 ნოემბ. მელბურნის (ავსტრალიის) ნავთსადგურის მტვირთველებმა უარი განაცხადეს ზედმეტ საათებში მუშაობაზე და გაიფიცნენ. მათ შეუერთდენ გემზე მომუშავენი.

გაფიცვამ სერიოზული გავლენა მოახდინა ხორბლის გაზიდვაზე. (ადს).

უცხოეთი

შეერთებული შტატები

სამეურნეო მდგომარეობა

შეერთებული შტატების სამეურნეო მდგომარეობაში, როგორც ჩანს, გარდატეხა იწყება. ამ გარდატეხის ნიშნები შემდეგია: მრეწველობაში, მცირეოდენის გამოკლებით, შემჩნეულია ერთგვარი სტაბილიზაცია, უფრო სწორათ რომ ვთქვათ, ზრდის შეჩერება. ამავე დროს მოსახლეობის გლეხური ნაწილის, ე. ი. ფერმერების სყიდვითი უნარიანობა ეცემა.

გავეცნოთ ციფრებს.

რკინისა და ფოლადის პროდუქცია მიმდინარე წლის ზაფხულში 18 პროცენტით მეტი იყო 1925 წლის პროდუქციასთან შედარებით და 70 პროც. მეტი 1924 წ. აგვისტოსთან შედარებით. აგვისტოში ნედლი-ფოლადის (გადაუმუშავებელი) წარმოება 17 პროც. სჭარბობდა 1925 წ. აგვისტოს წარმოებას და 10 პროც. 1926 წ. ივლისისას. ამავე დროს ფოლადისა და რკინის მომხმარებელი წარმოებები მხოლოდ 85,8 პროც. იყო დატვირთული.

მიუხედავად ნედლი ფოლადის წარმოების ზრდისა, ფოლადისა და რკინის დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია აგვისტოში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 1926 წ. წინა თვეებში. მარტო ფოლადის ტრესტის დაკვეთები შემცირდა 60.000 ტონით (ტონა—62 ფუთია) წინა 8 თვეებთან შედარებით. შესრულებულ დაკვეთების რიცხვი 8 პროც. ნაკლები იყო, ვიდრე 1924 წ. აგვისტოში.

საავტომობილო და სააღმშენებლო მრეწველობამ შეამცირა დაკვეთები ფოლადზე. მაგრამ ამ დანაკლისს ფოლადის მრეწველობა ინაზღაურებს ფოლადის მიწოდების გადიდებით რკინის გზებისათვის, რომლებმაც გადასწყვიტეს თავისი დიდი მოგება მოახმარონ ახალი ხაზების გაყვანას და ძველის გაუმჯობესებას. ამრიგად, ჯერ ხნობით. ფოლადის მრეწველობა უზრუნველყოფილია დაკვეთებით.

საინტერესოა ერთი გარემოება. „ფოლადისა და რკინის ინსტიტუტის" გამოანგარიშებით, ფოლადის ტრესტის წილი ფოლადის საერთო წარმოებაში ეცემა. 1901 წ. ეს წილი შეადგენდა 50,1 პროც., 1924 წ.—40,2 პროც., 1926 წ.—მხოლოდ 38,4 პროც. ფოლადის მთელი წარმოებისას.

სააღმშენებლო მრეწველობამ აგვისტოში მიიღო დაკვეთები, რომელთა ღირებულება 2 პროც., მოცულობა კი 17 პროც. ნაკლებია, ვიდრე 1925 წ. აგვისტოს დაკვეთები. მოთხოვნილება ახალ ბინებზე და სავაჭრო შენობებზე უკანასკნელ ხანებში შემცირდა. სააღმშენებლო ციებ-ცხელება, რომელმაც გამოიწვია სააღმშენებლო მრეწველობის აყვავება—უკვე უკან არის.

საავტომობილო მრეწველობა კვლავინდებურად მაღალ დონეზეა.

ერთგვარი დეპრესია არის შემჩნეული ნახშირის მრეწველობაში. აგვისტოში (ივლისთან შედარებით) ანტრაციტის ამოღება 8,7 პროც. შემცირდა. რომ ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვა არა, შეერთებული შტატების ნახშირის მრეწველობაში დიდი კრიზისი დაიწყებოდა.

რამდენიმეთ გაუმჯობესდა მდგომარეობა საფეიქრო მრეწველობაში. აგვისტოში საფეიქრო ფაბრიკებმა ბამბის მოხმარება გაადიდეს 87,4 პროც. მატყლის, აბრეშუმის და სხვ. მასალების მოხმარება გაიზარდა 3—4 პროც.

უკანასკნელი წლების სამეურნეო განვითარებამ ხელი შეუწყო ხელფასის ნაწილობრივ გადიდებას. შრომის სამინისტროს ცნობით, ეს ზრდა 12 თვის განმავლობაში (1925 წ. აგვისტო—1926 წ. აგვისტო) გამოიხატება 2,6 პროც. მრეწველობის 54 დარგიდან, ხელფასის ეს გადიდება არ გავრცელებულა 11 დარგზე. ყველაზე მეტად გაიზარდა ხელფასი საავტომობილო მრეწველობაში (8,8 პროც.). გაიზარდა, რასაკვირველია, საარსებო მინიმუმიც.

მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რაოდენობა საერთოდ 1 პროც. გაიზარდა. მრეწველობის 16 დარგში (54-დან) მუშების რიცხვი შემცირდა. მუშების რიცხვი გაიზარდა უმთავრესად საფეიქრო და ლითონის მრეწველობაში.

სულ სხვანაირი მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში. ბამბის ფასების კატასტროფიულმა დაცემამ და აგრეთვე ფასების დაკლებამ ხილზე და ხორბალზე (დიდი მოსავალის გამო) საშინელ გაჭირვებაში ჩააგდო ფერმერები. განსაკუთრებით მძიმეა ფერმერების მდგომარეობა სამხრეთ შტატებში.

1925 წ. აგვისტოდან 1926 წ. აგვისტომდე ფერმერების სყიდვითი უნარიანობა 93 პრც. 82 პროცენტამდე შემცირდა. ამჟამად ფერმერების სყიდვითი უნარიანობა გაცილებით სუსტია, ვიდრე ოდესმე უკანასკნელი 26 თვის განმავლობაში.

ბამბის ფასების დაცემა გამოწვეულია ბამბის ნათესების სივრცის არაჩვეულებრივათ გადიდებით. ფერმერების მდგომარეობას აუარესებს კიდევ ის გარემოება, რომ შეერთებულ შტატებში დარჩენილია ბამბის ძველი მარაგი—6 მილიონი შეკვრა (შეკვრა იწონის 218 კილოგრამს).

მიუხედავათ იმისა, რომ მრეწველობის ზრდა შეჩერებულია, კაპიტალისტების მოგება გაიზარდა. ასე მაგალითად, 1926 წ. დივიდენდები გაიზარდა 6 პროცენტით 1925 წ. შედარებით და 20 პროც. 1924 წ. შედარებით.

ამრიგად შეერთებული შტატების სამეურნეო მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი მომენტებით:

1) შეჩერებულია მრეწველობის ზრდა.

2) მუშების სყიდვითი უნარიანობის უმნიშვნელოდ (1—1½ პროც. გადიდება).

3) სოფლის მეურნეობა კატასტროფიულ მდგომარეობაშია.

4) კაპიტალისტების მოგება იზრდება.

ორი უკანასკნელი მომენტი იმის მაჩვენებელია, რომ შეერთებულ შტატებში ახლო ხანში მოსალოდნელია სოციალური ბრძოლის გამწვავება.

ა. ხ.

კომინტერნის ალმასკომის სხდომა

მოსკოვი, 22 ნოემბერი. კრემლის დიდი სასახლის ანდრეევის დარბაზში გაიმართა კომინტერნის ალმასკომის სხდომა. სხდომა მთლიანად მოუნდა კომინტერნის ალმასკომის მომავალ მე-7 გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებულ საკითხების გარჩევას. კომინტერნის ალმასკომმა გადასწყვიტა გაფართოებული პლენუმის სხდომებზე თავმჯდომარეობა დაავალოს ამხ. ბუხარინს. გაფართოებული პლენუმის დღის წესრიგის პირველი საკითხის — ბუხარინის თეზისები საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ — განხილვის შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. თეზისების პროექტის სარედაქციოდ მოწვეულია ცალკე კომისია.

სტალინმა განავითარა თავის მოხსენების ძირითადი დედა აზრი შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ საკავშირო კომ. პარტიაში (ბ), რომელ მოხსენებითაც ის გამოვა გაფართოებულ პლენუმზე. კომინტერნის ალმასკომმა მოიწონა სტალინის მოხსენების გეგმა. პეპერმა აცნობა კომინტერნის ალმასკომს, რომ თეზისები ინგლისის საკითხის გარშემო საბოლოო რედაქციით წარედგინება პლენუმს მისი მუშაობის დასრულების შემდეგ, ერკოლიმ აცნობა სხდომას, რომ თეზისები პროფესიონალური მოძრაობის საკითხებზე უშუალოდ წარედგინება პლენუმს. ამხ. პეტროვმა აცნობა სხდომას ჩინეთის და კოლონიალური კომისიების მუშაობა. კომინტერნის ალმასკომმა მოიწონა კუუსინენის მოხსენება შინაური მდგომარეობისა და კომინტერნის სექციების ამოცანების შესახებ. კომინტერნის ალმასკომმა დაადგინა ყველა ქვეყნის მშრომელთ მიმართოს მოწოდებით ინდონეზიაში რევოლიუციონური მოძრაობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. კომინტერნის ალმასკომის გაფართოებული პლენუმი გადაწყდა გაიხსნას 22 ნოემბერს. (ადს)

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სახკომსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 22 ნოემბერი. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით, 1927 წლის 1-ლ იანვრიდან შეწყდება განცხადებების მიღება მოსახლეობის პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ სამოქალაქო ომის ხანაში წითელ-არმიის საჭიროებისათვის რეკვიზიციით წაღებულ ქონებაზე. პრეტენზიები, რომლებიც ამ დრომდე არ იქნება წარმოდგენილი, ჩაითვლება გაუქმებულად. (ადს).

ძერჟინსკის მოედანი

მოსკოვი, 22 ნოემბერი. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ლუბიანსკის მოედანს უწოდოს ძერჟინსკის მოედანი.

პროფ. კურდიუმოვის გარდაცვალება

ლენინგრადი, 27 ნოემბერი. გარდაიცვალა გამოჩენილი სპეციალისტი ლითონის შესწავლის დარგში, — სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთამადნო ლაბორატორიის გამგე პროფ. კურდიუმოვი. (ადს)

„ვოლხოვსტროი"

მოსკოვი, 22 ნოემბერი. 20 ნოემბერს „ვოლხოვსტროი"-ს შემნელებელ ქვე - სადგურზე ხელმეორედ გაშვებულ იქნა დენი 120.000 ვოლტის ძაბვით ტრანსფორმატორის გასაშრობათ. 22 ნოემბერს მთავარი შემნელებელ და აგრეთვე ვიბორგის ქვე-სადგურები სავსებით მზად იქნებიან ვოლხოვიდან ელექტრონის ენერგიის მისაღებათ.

უკრაინა

მენაღაროეთა სასარგებლოთ

კიევი, 22 ნოემბ. პროფკავშირთა საოლქო საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა ცნობა მემაღაროების მიერ ინგლისის მთავრობის პირობების უარყოფისა და გაფიცულთა გმირული ბრძოლის განგრძობის შესახებ, მიმართა კიევის ყველა პროფკავშირებს მოწოდებით გაფიცულთათვის დახმარების ყოველმხრივ გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. (ადს).

მერეფა - ხერსონი

ხარკოვი, 22 ნოემბ. გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო აპირებს უკრაინაში მერეფა-ხერსონის რკ. გზის დამთავრებას. მოძრაობა მერეფა-დნეპროპეტროვსკის ხაზზე გაიხსნება ა. წ. დეკემბრის დასაწყისში. მერეფა - ხერსონის რკ. გზის საერთო სიგრძე 534 ვერსს უდრის.

მიმდინარე წელს დაიწყება აგრეთვე რკ. გზების აგება ხაზებზე ნოვო-ბელიცა-ჩერნიგოვ, ახტირკა - გადიაჩ, გრიშინო-როვენო. ამ გზების ასაგებათ გაღებულია 4 მილ. მანეთი. (ადს).

უდიდესი შენობა

ხარკოვი, 22 ნოემბერი. ხარკოვში მიმდინარე სრულიად უკრაინის ცაკის სესიის, უკრაინის მთავრობის, უკრაინის კომ. პარტ. ცეკას წევრთა, და პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანადასწრებით საზეიმოდ საძირკველი ჩაუყარეს უკრაინის სახელმწიფო მრეწველობის 14 სართულიან სახლს. მთელი ეს სახლი, 63.000 კვ. მეტრის საერთო მოედნით, რომელშიც შეიძლება დაეტიოს 30.000 კაცზე მეტი, იქნება ერთი ყველაზე უდიდესი შენობათაგანი მთელ საბჭოთა კავშირში და დაჯდება 9 მილიონი მანეთი. (ადს).

ახალი დანიშვნები

ამხ. ტროცკის განთავისუფლება

მოსკოვი, 22 ნოემბ. ამხ. ტროცკი განთავისუფლდა საკავშირო ს. მ. უ. ს. სამეცნიერო - ტეხნიკური სამმართველოს კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობიდან და მის მაგიერ დაინიშნა ამხ. სვერდლოვი.

ამხ. ბუდუ მდივანის დანიშვნა

მოსკოვი, 22 ნოემბ. საკავშირო სახკომსაბჭომ გაანთავისუფლა ამხ. ბ. მდივანი სრულუფლებიან წარმომადგენლის მოვალეობიდან საფრანგეთში და დანიშნა იგი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლათ სპარსეთში. (ადს).

ტაჯიკთა რესპუბლიკა

დიუშამბე, 22 ნოემბ. 25 ნოემბრისათვის მოწვეულია სრულიად ტაჯიკთა საბჭოების დამფუძნებელი ყრილობა, რომელზედაც პირველად იყრიან თავს შამირისა და ყოფ. მთლიან ბუხარის სადეხნოების წარმომადგენლები. ყრილობის დღის წესრიგში დასმულია: ცენტრის წარმომადგენელთა მოხსენება, ტაჯიკის რესპუბლიკის რევკომის საანგარიშო მოხსენება, ტაჯიკის რესპ. ეკონომიური მშენებლობა და მისი ამოცანები სახალხო განათლება—განსახკომის მოხსენება, ჯანსახკომის საანგარიშო მოხსენება, შუა აზიის სამხედრო მშენებლობა, დელეგატების არჩევა ტაჯიკის რესპუბლიკის ცაკში, სრულიად უზბეკთა საბჭოების ყრილობაზე და სხვ. ტაჯიკთა საბჭოების დამფუძნებელ ყრილობაზე მიწვეულია საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი.

აფგანელი ელჩები ამხ. კალინინთან

მოსკოვი, 22 ნოემბერი. 22 ნოემბერს, კრემლის დიდ სასახლეში, საკავშირო ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა მიიღო აფგანისტანის ელჩი მუხამედ—ხაშიმ-ხანი, რომელმაც გადასცა მას თავისი გაწვევის სიგელი, და ახალ სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნული, დამოუკიდებელ აფგანისტანის სრულუფლებიანი მინისტრი მირზა-მუხმედ-ხანი, რომელმაც გადასცა კალინინს თავის რწმუნების სიგელი.

ამხ. კალინინმა და აფგანისტანის ელჩებმა აღნიშნეს ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთ მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცება, და, აგრეთვე, ის, რომ ხელის მოწერა სამეგობრო ხელშეკრულებაზე ურთიერთ თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც აკავშირებს საბჭოთა კავშირისა და აფგანისტანის ერებს, ამტკიცებს მათ მისწრაფებას მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ.

მიღებას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. ენუქიძე, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი, გარ. საქ. სახ. კომისარის მოადგილე ამხ. კარახანი, შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. ცუკერმანი, აფგანეთის მისიის პირველი მდივანი აბდულ-ხიდი-ხან, სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ალი-აკბარ-ხან და მისიის მეორე მდივანი—სეიდ-აბდულლა-ხან.

სიტყვების შემდეგ ელჩებს კერძო საუბარი ჰქონდათ ამხ. კალინინთან. (ადს).

ყაზბეგის მწვერვალზე

განმეორებული იქნება მაიკელსონის ცდა

ლენინგრადი, 27 ნოემბერი. ჩამოვიდა ინჟენერი არლგფოლდი, იმ მიზნით, რომ სამეცნიერო აკადემიას და სხვა მეცნიერულ დაწესებულებებს წარუდგინეს განსახილველად მაიკელსონის ცნობილი ცდის განმეორების პროექტი. ამერიკელი მეცნიერის ცდა, რომელსაც მიზნად ქონდა მსოფლიო ეთერის არსებობის დამტკიცება, როგორც ცნობილია, უშედეგოდ დამთავრდა უდიდესი ცდა, პროექტის თანახმად უნდა მოხდეს ყაზბეგის მწვერვალის. უმაღლეს წვერზე. (ადს)

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ფეხბურთელთა რაზმი

ბაქო, 22 ნოემბერი. დღეს სომხეთიდან ჩამოვიდნენ ფეხბურთელთა და ბასკეტბოლთა რაზმები შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. მოელიან ქართველ ფეხბურთელთა რაზმსაც. პირველი მატჩი დაიწყება 26 ნოემბერს. (ადს).

შეკვეთები ნავთსინდიკატს

ბაქო, 22 ნოემბ. ნავთსინდიკატის თავმჯდომარის ამხ. სერებროვსკის მიერ პარიზიდან მიღებულია დეპეშა, რომ მან მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ინგლისისათვის 25.000 ტონა მანქანის ზეთის და 5.000 ტონა მაღალი ღირსების მანქანის ზეთის მიწოდების შესახებ. მიღებულია აგრეთვე ცნობა, რომ გაყიდულია ბელგიაში 8.000 ტონა გაზოლინი და 6.000 ტონა ბენზინი. საფრანგეთის საზღვაო სამინისტრომ შეიძინა 8.000 ტონა საექსპორტო მაზუთი და 4.000 ტონა გაზოლინი.

ნავთის პროდუქტების ექსპორტის გასაუმჯობესებლად რკ.-გზის ტრანსპორტის ცენტრ. სამმართველომ გამოგზავნა ბაქო-ბათომს შორის სამუშაოთ 200 ცისტერნა მაზუთისათვის.

დახმარება გაფიცულებს

ბაქო, 22 ნოემბ. აზერბეიჯანის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ გადაუგზავნა საკავშირო პროფსაბჭოს ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთათვის 25.000 მანეთი.

მემაღაროეთა დახმარების კამპანიის დაწყებიდან 22 ოქტომბრამდე სულ გადაგზავნილია 220.000 მანეთი.

ნავთის ახალი ქარხანა

ბაქო, 22 ნოემბ. აზნავთი შეუდგა ახალი ნავთის გადასამუშავებელი ქარხნის აგებას. ქარხანა გაიხსნება ბიბი-ეიბათის საწარმოსთან და დღე-ღამეში გადაამუშავებს 80.000 ფუთ ნავთს. აქედან 8.000 ფუთ ბენზინს და 24.000 ფუთ წმინდა ნავთს.

შეჯიბრება ფეხბურთში აზერბეიჯანი-სპარსეთი

ბაქო, 22 ნოემბ. ბაქოს ქალაქის სტადიონზე მოხდა აზერბეიჯანისა და სპარსეთის ნაკრები გუნდების შეჯიბრი, რომელიც დასრულდა 4:3 აზერბეიჯანის ნაკრები გუნდის სასარგებლოდ. შემდეგი შეჯიბრი დანიშნულია 22 ნოემბრისათვის.

წალკის „სასწაულმოქმედთა" საქმე

20 ნოემბრის საღამოს სხდომა

ბრალდებულთა დაკითხვა

ბრალდებული კურდოვი

ბარმაკსიზი, 22 ნოემბერი. საღამოს სხდომა გაიხსნა საღამოს 7 საათზე. პროკურორმა **ჯანჯღავამ** აღძრა შუამდგომლობა ბრალდებული **კურდოვის** დამატებითი დაკითხვის შესახებ. შეკითხვაზე, —ფიქრობდა თუ არა კურდოვი, 1921 წელში შესულიყო კომპარტიაში, კურდოვმა უპასუხა, რომ ამის შესახებ შეიტანა განცხადება, მაგრამ არ მიიღეს. შეკითხვაზე,—იცნობს თუ არა იგი პარტიის პროგრამას და იცოდა თუ არა, რომ კომუნისტებს არ სწამთ ღმერთი. კურდოვი უპასუხებს, რომ იცოდა. ეს მხილება დამსწრე ხალხზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

შემდეგ დაკითხეს ბრალდებულ **ფულოვს, ნალბანდოვს, კალაიჯევს, კოლესოვს, კონოხოვს და პოპოვს**. ყველა ამათ ეხლა აღარ სწამთ „წმინდა" ნეშთი და აღარ „ეცემიან ქადაგად". ყველა ბრალდებულ გლეხთა დაკითხვა დამთავრდა დღეს. პროკურორის შუამდგომლობით სასამართლომ დაადგინა, რომ შემდეგ დაკითხულ იქნას ერთი მთავარი ბრალდებულთაგანი — თეკლე **სპიროვის** ქალი, რომელიც ეწეოდა ავადმყოფობის სიმულიაციას.

21 ნოემბრის დილის სხდომა

ბრალდებული სპიროვა

კვირას, დილის 10 საათზე სხდომა გაიხსნა სპიროვას ქალის დაკითხვით. სპიროვა ახალგაზრდა ქალია. აი, რა უამბო მან სასამართლოს: იგი იყო რეხის სამლოცველოში, სადაც, ვითომდა განიკურნა ფეხების რევმატიზმისაგან, „დაეცა ქადაგად" და სამი დღის განმავლობაში ცეკვავდა. სამლოცველოს შემოსავალმა აცდუნა ის და გადასწყვიტა ასეთივე სამლოცველო გაეხსნა თავისთვის ბეშტაშენში. სპიროვის ქალი „ქადაგად ეცემოდა" ყველგან, სადაც შეხვდებოდა, ყვიროდა; შემდეგ მას ძმამ უთხრა, რომ არ მოსწონს მისი „ქადაგად დაცემა", და თუ მაინც და მაინც სურს „ქადაგობა", ბარემ სახლში „დაეცეს". ბრალდებულს არ სწამს „წმინდა ნეშთი" და დაპატიმრების შემდეგ არც ერთხელ აღარ დაცემულა ქადაგად.

შემდეგ სასამართლომ დაკითხა მღვდლები. დარბაზში დიდი მოძრაობაა.

ბრალდებული პარასკევოვი

პირველად დაკითხეს **კონსტანტინე პარასკევოვს**—ბლაღოჩინ გრიგორიადისის თანაშემწეს. იგი უმტკიცებს სასამართლოს, რომ ის ებრძოდა „ქადაგად დაცემულებს", აგდებდა მათ ეკლესიიდან, უწოდებდა „შაიკას" და „სამოთხის ფრინველებს". შემდეგ იგი ამბობს, რომ მასთან მივიდა კესოვი და სთხოვა დახმარებოდა [illegible]სი ძმის ნეშთის ამოთხრის ნებართვის მიღებაში. მან კესოვს დაუწერა წერილი და გაგზავნა ბლაღოჩინ გრიგორიადისთან, რომ ამ უკანასკნელს მიეცა რჩევა კესოვისთვის.

გრიგორიადისი შეპირდა კესოვს დახმარებას. მაგრამ ვინაიდან ნებართვა ნეშთის ამოსაღებად ვერ მიიღო, კესოვმა „ქადაგად დაცემულებთან" ერთად თავის ნებით ამოსთხარა ძმის ნეშთი და მიიტანა სახლში, რის შემდეგ მიიწვია გრიგორიადისი და კონსტანტინე პარასკევოვი. მღვდლები გამოცხადდენ და შეასრულეს წირვა, რისთვისაც მღვდელმა კონსტანტინემ მიიღო 5 მან. და გრიგორიადისმა 7 მან.

პარასკევოვს არ სწამს წალკის „წმინდა ნეშთები". პარასკევოვსა და კურდოვის პირისპირ წაყენება და მათ ჩვენებათა დაპირისპირება სავსებით ააშკარავებს მღვდლების ყველა საიდუმლოებას. კურდოვი ამბობს, რომ ყოველივე ის, რასაც აკეთებდენ „ქადაგად დაცემულები" ხდებოდა ადგილობრივი სამღვდელოებისა და კერძოდ პარასკევოვის ლოცვა-კურთხევით. „ნეშთებს" ამზადებდა კურდოვი პარასკევოვის წინადადებით. სამლოცველოს გახსნა კი ხდებოდა მღვდელ **კარიბოვის** რჩევით. ყველა ისინი ამ საშუალებით დიდ მოგებას იღებდენ. პარასკევოვი იძულებული გახდა აღიარებინა, რომ **წალკის „სასწაულები" წმინდა წყლის აფიორაა და მეტი არაფერი.**

შემდეგ დაკითხულმა მღვდელმა **სიმონოვმა** გულახდილად აღიარა სასამართლოს წინაშე ყველა თავისი „შეცდომები". თავისი სიტყვის დასკვნითი ნაწილში სიმონოვმა განაცხადა, რომ იგი მომავალში იბრძოლებს ამგვარ მოქმედებათა წინაალმდეგ.

ბრალდებული გრიგორიადისი

ბლაღოჩინ **გრიგორიადისის** გამოსვლა იწვევს სიცილს. იგი ამბობს, რომ წალკის ნეშთი — ნამდვილი აფიორაა. ამაში იგი დარწმუნდა სასამართლოს პროცესის დროს. ის არ უარყოფს, რომ კესოვის ბინაზე პარასკევოვთან ერთად შეასრულა წირვა, რისთვისაც მიიღო 7 მანეთი.

დარჩიას ჩვენება

შემდეგ დაკითხეს მღვდელ - მონაზონი დარჩია. იგი აცხადებს, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია რეხის სამლოცველოს გახსნაში და არავითარი დამოკიდებულება არ ქონია მასთან. მაგრამ სასამართლოს შეკითხვების შემდეგ აღიარა, რომ მან სამჯერ შეასრულა მღვდელთ - მსახურება საბაძის სამლოცველოში. შეკითხვაზე — სწამს თუ არა მას ღმერთი, დარჩია უპასუხებს ციტატებით ჰეგელიდან და კანტიდან.

კარიბოვის ჩვენება

მღვდელი კარიბოვი ყველაფერს აღიარებს. ნეშთი არ სწამს და იძლევა ჩვენებას, რომელიც კურდოვის საქმიანობის გამომჟღავნებას წარმოადგენს. ჩვენების დროს ხალხში განუწყვეტელი სიცილია. ადგილობრივ სამღვდელოებას საბოლოოდ გაუტყდა სახელი გლეხთა მასების თვალში.

ბრალდებულთა დაკითხვა დამთავრდა.

მოწმეთა დაკითხვა

შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეთა დაკითხვას. მხარეთა შუამდგომლობით დაკითხულ იქნა მხოლოდ 7 მოწმე. მოწმეთა ჩვენებიდან ყურადღების ღირსია მღვდელ ივანე **პარასკევოვის** ჩვენება, რომელმაც დაადასტურა, რომ მღვდლებმა გრიგორიადისმა და პარასკევოვმა პარაკლისი გადაიხადეს კესოვის ბაღში „ნეშთზე". რითაც, ივანე პარასკევოვის ღრმა რწმენით, სახელი გაუტეხეს სამღვდელოებას და ყველა იმ სასწაულებისათვის ისინი სასჯელის ღირსნი არიან. დამცველთა მხრივ წამოყენებულ მოწმეებს ბრალდებულთა სასარგებლო ჩვენება არ მიუციათ.

ბრალდებულ მღვდელთა დაკითხვამ გამოააშკარავა, რომ ისინი განვითარების მეტად დაბალ დონეზე იმყოფებიან. მოწმეთა დაკითხვა დამთავრდა.

ექსპერტებს მიეცა 19 კითხვა.

ხვალ დილით, ექსპერტების დასკვნის შემდეგ დაიწყება მხარეთა კამათი. განაჩენი გამოტანილ იქნება 23 ნოემბერს დილით. (ადს)

22 ნოემბრის დილის სხდომა

ბარმაკსიზი, 22 ნოემბერი. 22 ნოემბრის დილის სხდომა იხსნება დილის 10 საათზე. დარბაზი სავსეა გლეხებით.

ექსპერტებმა ექიმმა **შენგელაიამ** და ალექსანდრე **დევიძემ** სასამართლოს აცნობეს ექსპერტიზის დასკვნები. მათი აზრით, თომა საბაძე ეპილეპტიკია, დანარჩენ ბრალდებულები,—ეფემია საბაძისა, სპიროვისა, ფულოვისა და დემურჩიევის გარდა, რომელნიც ისტერიით არიან დაავადმყოფებულნი, —ყველა ჯანსაღები არიან.

შემდეგ იწყება მხარეთა კამათი. სიტყვა ეძლევა პროკურორ **ჯანჯღავას**. თავის სიტყვაში ჯანჯღავა შეეხო რელიგიის საკითხებს და შემდეგ დაახასიათა ბრალდებულები.

თავისი სიტყვის დასკვნაში პროკურორი მოითხოვს სისხლის სამართლის კოდექსის მე-123 მუხლის სასჯელს ყველა ბრალდებულთადმი და სისხლის სამართლის მე-21 მუხლის სასჯელს (გადასახლება მაზრის ფარგლებიდან) შემდეგი მღვდლების მიმართ: გრიგორიადისი, კონსტანტინე პარასკევოვი, დარჩია, სიმონოვი, კასიმოვი, კურდოვი, პოპოვი და თომა საბაძე.

შემდეგი სიტყვა ეძლევა მეორე პროკურორს **კატანოვს**, რომელიც მხარს უჭერს პირველი პროკურორის მიერ წარმოდგენილ სასჯელს.

შემდეგ ლაპარაკობს საზოგადოებრივი ბრალმდებელი **ხოჯამიროვი**, რომელიც ეთანხმება ბრალმდებელთა ყველა საბუთებს სარწმუნოებრივი საკითხების შესახებ და ახასიათებს ბრალდებულებს; იგი მოითხოვს სასტიკ სასჯელს და ბრალდებულების გადასახლებას წალკის რაიონის ფარგლებიდან.

საზოგადოებრივი ბრალმდებელის სიტყვის შემდეგ სიტყვა მიეცა დამცველს ტერ-გრიგორიანს, რომელიც სავსებით დაეთანხმა წარმოდგ. ბრალდებებს. მაგრამ ბრალდებ. უკულტურობისა და შეუგნებლობის გამო სთხოვს სასამართლოს პატიებას. ბრალდებულ მღვდელთა რიცხვიდან დამცველი გამოჰყოფს მღვდელ სიმონოვს და კარიბოვს, რომლებმაც მისი სიტყვით გულახდილათ აღიარეს ყველაფერი.

დილის სხდომა დაიხურა 5 საათზე.

განაჩენი გამოცხადდება ხვალ დილის 3 საათზე. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

შევისწავლოთ პარტკონფერენციის გადაწყვეტილებები

გუშინ საღამოს, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართა ლენინის რაიონის უჯრედების ჯგუფური კრება. კრებას დაესწრო 600 კაცი უჯრედებიდან № 3, 4, 6, 7, 8, 9, 11, 12, 13, 16, 17, 19, 20, 23, 24, 25, 26 და 28.

კრებამ მოისმინა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„კრება მთლიანად და სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს და საჭიროდ სთვლის აღიაროს, რომ

1) საკავშირო კომ. პარტ. (ბ) მე-15 კონფერენცია მთელი პარტიისა და როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე წარსდგა ლენინური პარტიის მონოლიტობისა, მთლიანობისა და ერთიანობის სრულ გამომხატველად.

2) საკ. კომ. პარტიამ (ბ) ღირსეული პასუხი გასცა ოპოზიციურ ბლოკს ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის და სხ. მეთაურობით და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ერთგულია ბელადისა და ოქტომბრის ანდერძის.

3) მე-15 კონფერენციამ დაგმო ოპოზიციური ბლოკის ცდომები შინაურ და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რწმენის დაკარგვა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებაში, ლენინური გზისათვის უღირსი ოპოზიციური ბლოკის პორაჟენცული სულისკვეთება და მთელი ქვეყნის წინაშე კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება ლენინიზმისადმი.

4) საკ. კომპარტია (ბ) მუდამ ებრძოდა და მომავალშიც შეებრძოლება კიდეც ლენინიზმის ყოველგვარ გადამახინჯებას. საკავშირო კომპარტია (ბ) არ დაუშვებს, რომ საბჭოთა და პარტიული პოლიტიკის საგარეო და შინაური კარდინალური საკითხები მახინჯდებოდეს ტროცკიზმის ზეგავლენით. კონფერენციამ თავისი მუშაობითა და ერთსულოვანი გადაწყვეტილებებით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო ტროცკის მიერ გაერთიანებული ბლოკის ყველა ცდებს.

5) ოპოზიციური ბლოკის შეხედულება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხებზე—არის სოციალ-დემოკრატიული გადახრა. მე-15 პარტკონფერენციამ ლენინური სიმტკიცითა და რწმენით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენ ვაშენებთ და ავაშენებთ კიდეც სოციალიზმს. და, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის დახმარებით გაიმარჯვებს სოციალიზმი მთელს მსოფლიოში.

6) კრება კმაყოფილებით აღნიშნავს ოპოზიციური ბლოკის ამა წლის 16 ოქტომბრის და, აგრეთვე, ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელთა განცხადებას, რომლითაც ისინი გმობენ ფრაქციულ ბრძოლას. იმის გამო, რომ ოპოზიცია არ სთმობს თავის პრინციპიალურ შეხედულებებს, პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განაგრძოს შემდეგში დაუნდობელი იდეური ბრძოლა ოპოზიციის შემცდარ შეხედულებათა და სოციალ-დემოკრატიულ გადახრათა წინაალმდეგ, მათ სრულ დაძლევამდე.

7) საერთო კრება მთლიანად და სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს და საჭიროდ სთვლის კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას, ამასთან თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში სავალდებულოდ სთვლის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესწავლას, რითაც ის განამტკიცებს პარტიის მთლიანობას და დაიცავს მას სოციალ - დემოკრატიულ გადახრისაგან, რომლის მატარებელიც არის ოპოზიციური ბლოკი.

ბრძოლა ნაციონალისტურ და სოც.-დემოკრ. გადახრასთან

გუშინწინ შესდგა ქართულ სამხედრო სკოლის და ზოგ ქართულ ნაწილების კომუნისტების საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. კახიანის მოხსენება მეხუთმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ.

მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება ამხ. კახიანისა მე-15 პარტკონფერენციის შედეგებზე, კრება ერთხმად უერთდება კონფერენციის დადგენილებებს. კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციონური ბლოკი, რომელსაც ასულდგმულებდა ტროცკი, მთავარ პრინციპიალურ საკითხებში გადაეშვა სოციალ-დემოკრატიულ ჭაობში. ჩვენი სახელმწიფოს არა პროლეტარული ბუნების აღიარებით, და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობის უარისყოფით ოპოზიციონურმა ბლოკმა ეჭვები შეიტანა ოქტომბრის რევოლიუციის სოციალისტურ ბუნებაში და ამით გვერდში ამოუდგა სოციალ-დემოკრატიის მამამთავრებს, როგორიც არიან ოტტო ბაუერი და კაუცკი.

ახალი ოპოზიცია უარყოფს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში. ტროცკის ცნობილი დებულება: „უიმედოა იმაზე ფიქრი, თითქო რევოლიუციონური რუსეთი შესძლებს გაუძლოს კონსერვატიულ ევროპას", დღეს გახდა ახალი ოპოზიციის ხელმძღვანელო მცნებათ.

აქედან გამომდინარე პანიკამოცული ოპოზიციონური ბლოკი, სთესავდა პარტიაში უიმედობას, არევ-დარევა შეჰქონდა ჩვენს რიგებში და ამით აკეთებდა სოციალ-დემოკრატიულ საქმეს.

მოთხოვნილებათა მთელი რიგი, რომელსაც აყენებდა ოპოზიცია ჩვენს სამეურნეო პოლიტიკაში, მაგალითად: ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება სასოფლო-სამეურნეო გადასახადების გადიდებით, და საბითუმო ფასების აწევით, მრეწველობაში დიდი თანხების დაბანდება, სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის ხარჯზე, (რაც მეტი გაძლიერების საშუალებას მისცემდა კერძო კაპიტალს) ნათლად გვაჩვენებს იმას, რომ ჩვენს გამარჯვებაში იმედგაცრუებული ოპოზიციონური ბლოკი მიაქანებდა პარტიას მუშურ-გლეხური ბლოკის დარღვევისაკენ.

ოპოზიციონურმა ბლოკმა, რომელიც წარმოადგენდა პარტიის მიერ არა ერთხელ დაგმობილ, ანტიპარტიულ ჯგუფების კრებულს თავისი გამოსვლა დააგვირგვინა ფრაქციის ორგანიზაციულათ ჩამოყალიბების ცდით. როდესაც ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და პარტიამ მთლიანათ ლენინური პასუხი გასცა მას, მაშინ ოპოზიციონურ ბლოკმა აღიარა თავის დანაშაული ფრაქციის ჩამოყალიბებაში, მაგრამ იმ იდეურ შეხედულებებზე, რომელიც მე-15 კონფერენციამ დაახასიათა, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა, ისინი უარს არ ამბობენ.

თავის იდეურ „ბაგაჟზე" არ იღებს ხელს არც ადგილობრივი უკლონისტების ჯგუფი, რომელთაც ახასიათებს გარდა მათი საერთო სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკური თვისებებისა, კიდევ ნაციონალისტური გადახრა. კრება აუცილებლათ სცნობს სასტიკი ბრძოლის წარმოებას, როგორც საერთო სოციალ-დემოკრატიულ, ისე ადგილობრივ ნაციონალისტურ გადახრის წინაალმდეგ, მის სრულ გაქარწყლებამდე.

კრება ესალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ მისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩვენი ორგანიზაცია გასწევს წინ სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე".

პარტგანათლების საკითხი

დაიწყო 1926—27 სამოსწავლო წელი და პარტიული ორგანიზაციაც შეუდგა პარტგანათლების ქსელის გაშლას. თბილისში ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ამ დარგში, მაგრამ წარსული წლის ნაკლულევანებანი თავს იჩენენ წელსაც. ერთი თვალსაჩინო ნაკლია, მსმენელთა მცირე პროცენტის დასწრება მეცადინეობაზე; თუ ესა თუ ის მსმენელი გულგრილათ ეკიდება პარტსწავლებას ეს ხელს უშლის მთელი სკოლის ნაყოფიერ მუშაობას. ამიტომ არის ერთი უმთავრესი საკითხთაგანი მსმენელთა დასწრების საკითხის მოგვარება. როგორ ღონისძიებათა გატარებაა საჭირო ამ მხრივ იმისათვის, რომ წელს ჩვენი სკოლები იქნენ უზრუნველყოფილი მსმენელების სისტემატიურ დასწრებით? ვინ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი? ცხადია უჯრედებმა და რაიკომებმა. რა ზომებს უნდა მიმართონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა?

1. უპირველეს ყოვლისა უჯრედებმა უნდა გამოჰყონ ამხანაგები და მიამაგრონ ისინი პოლიტ-სკოლებზე. ამ ამხანაგებს დაევალებათ კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ შევლა სკოლაში და თვალყურის დევნება, თუ როგორ ესწრებიან მსმენელები მეცადინეობას, როგორ მიდის მეცადინეობა და ყოველივე ნაკლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ უჯრედების ბიუროებს.

2. სისტემატიურათ უნდა ისმებოდეს სკოლის „სტაროსტების" მოხსენებები, როგორც ბიუროს, ისე უჯრედის ღია სხდომებზე.

3. თვეში ერთხელ უნდა ისმებოდეს სკოლის ხელმძღვანელის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ.

4. უჯრედის მდივნები და აგიტპროპორგანიზატორები ხშირათ უნდა ნახულობდენ სკოლებს, და დაესწრონ მეცადინეობას, მაგრამ არა როგორც რევიზორები არამედ, როგორც მსმენელები, არავითარ ხელის შეშლას მეცადინეობაში მათ მხრივ ადგილი არ უნდა ექნეს.

5. ორ კვირაში ერთხელ უნდა ხდებოდეს სკოლის „სტაროსტების" თათბირები რაიონული მასშტაბით.

6. თვეში ერთხელ უნდა მოეწყოს სკოლებს ხელმძღვანელთა თათბირები, ამ თათბირებზე უნდა ისმებოდეს მოხსენებები თითო ხელმძღვანელისა თითო საფეხურიდან.

ყველა აღნიშნული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ პოლიტ-სკოლების ნორმალურ მეცადინეობის წარმოებას.

ამასთანავე ერთად, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ისეთ ამხანაგებს, რომელნიც განგებ, ყოველივე მიზეზის გარეშე, მიატოვებენ მეცადინეობას. არა ნაკლები სასჯელის ღირსია ის ხელმძღვანელიც, რომელიც უმიზეზოთ გამოსტოვებს მეცადინეობას და წინასწარვე არ აცნობებს ამის შესახებ ან უჯრედს, ან სკოლის „სტაროსტას" ან რაიკომს.

ს. ლიბერსონი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მეაბრეშუმეობის კურსები

ქუთაისი, 22 ნოემბერი. გაიხსნა მებრეშუმეობის კურსები. კურსებზე იმეცადინებს 50 კაცი. (ადს).

ახალი ხიდი

ქუთაისი, 22 ნოემბერი. შეუდგნენ ახალი დაკიდული ხიდის აგებას გელათის შარა-გზით მდინარე წყალწითელაზე. ხიდის ასაშენებლად გადადებულია 6.000 მანეთი, რომლიდანაც უკვე გაცემულია 5.000 მანეთი. (ადს).

სანავთსადგურო მილიცია

ფოთი, 22 ნოემბერი. ნავთსადგურის ტერიტორიაზე წესრიგის დასაცავად მოწყობილია სანავთსადგურო მილიცია 15 კაცის შემადგენლობით, ნავთსადგურის ხარჯზე. (ადს).

ქალაქის ხიდის შეკეთება

ფოთი, 22 ნოემბერი. შეუდგნენ მდინარე რიონის სამხრეთ შტოზე გადებულ საქალაქო ხიდის კაპიტალურ შეკეთებას. ხიდის შესაკეთებლად გადადებულია 11.000 მანეთი. (ადს).

წერილები

როგორ მუშაობენ ჩვენი ექიმები

(ლეჩხუმის მაზრა)

ლეჩხუმის მაზრა, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად ერთი ჩამორჩენილი კუთხეთაგანია საქართველოსი. ვინც მის გეოგრაფიულ მდებარეობას იცნობს, უნახავს მისი გაუვალი გზები, მაღალი საარწივე კლდე-ღრეები, დაქანებულ ფერდობებზე გამოკიდებულ ორი-სამი სალასტო მოსახლის ყანები, მისთვის ნათელი იქნება მაზრის ჩამორჩენილობის მიზეზები.

მაზრაში მუშაობა ხსენებულ მიზეზების გამო განსაკუთრებით სიძნელეს წარმოადგენს იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან ადგილობრივი და მასთან აქეთ ისეთი ხასიათის სამუშაო, რომელიც თხოულობს სხვადასხვა თემებში—რაიონებში სისტემატიურად სიარულს. ასეთი მუშაობა აწევს სხვებთან ერთად ექიმებს. უნდა ითქვას, რომ მაზრის ექიმები ამ დაბრკოლებას შეუპოვრად ებრძვიან. ექიმი დაუზარელად მიჰყვება ფეხით გლეხს ავადმყოფთან სამი-ოთხი ვერსის მანძილზე.

კერძოდ აღსანიშნავია ექიმ ქალ ოლიზარის სიფხიზლე და დაუზარებლობა საქმისადმი. ის არ არჩევს ღამეს და დღეს. ბევჯერ შუა ღამეზე რამოდენიმე ვერსის მანძილზე ის დაუზარებლად მიჰყვება ავადმყოფის პატრონს. სწორედ ასეთ თავდადებულობის მსხვერპლი კინაღამ გახდა ერთხელ თვით ოლიზარი, ავადმყოფიდან დაბრუნებული უნდა გამოსულიყო შუა ღამეს 12 საათზე, ცხენის წყალზე ბორანი დაკეტილი დახვდა, მარტოა, ბევრი არ უფიქრია, ჩამოხტა ცხენიდან, მოხსნა ბორანი და დიდის ვაის-ვაგლახით მიაღწია შუა წყალამდის. იქ ბორანი შეჩერდა და მთელი საათის ტანჯვა-წვალების შემდეგ ძლივს გაწევა ნაპირს. ჩვენი მაზრის გლეხობა ძლიერ კმაყოფილია ექიმებით. მაზრას, მართალია, არ აქვს საშუალება თვითეულ თემს მისცეს საკუთარი ექიმი, მაგრამ იმათი სიფხიზლით და დაუზარებლობით მაზრის არც ერთ თემს უექიმობა არ უგვრძნია.

მაზრის ხელისუფლებას არაერთხელ აღუნიშნავს სიამოვნებით ექიმების ენერგიული საქმიანობა.

ე. მაღრაძე.

მუშაობა მოიკოჭლებს

(ს. ხოტევი, რაჭა)

წინეთ სოფ. ხოტევში სდგებოდა სცენის-მოყვარეთა სერიოზული წრე, რომლის მიზანიც იყო: სისტემატიურათ რიგული პიესების დადგმა, მაგრამ ყოველივე ამას ხელს უშლიდა თეატრის შენობის უქონლობა. ეხლა-კი, როცა ხოტევში აუშენეთ ამხ. აბელ ენუქიძის სახელობის სახალხო სახლი, წარმოდგენების ჩატარებას მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა, მაგრამ, პირიქით, წინანდელსაც ცხედავთ.

მართალია, ხოტევში არსებობს ეგრეწოდებული სცენის მოყვარეთა ჯგუფი, მაგრამ ის სუსტად მუშაობს. წარმოდგენები მომეტებულ ნაწილათ მოუმზადებლათ და უშინაარსოთ იდგმება. სწორეთ ეს არის მიზეზი იმისა, რომ გლეხები გაურბის წარმოდგენებს. დროა მოუღოთ ბოლო ასეთ მდგომარეობას. საჭიროა შევადგინოთ ახალი ჯგუფი, ძველი წევრების მონაწილეობით, და ავირჩიოთ ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც ენერგიულათ იმუშავებს საკლუბო საქმეში, რათა საზოგადოებაში ავამაღლოთ შეგნება და სიყვარული საკლუბო მუშაობისადმი.

ცეცხლი.

თემი წინ მიდის

(ყანდაური, სიღნაღის მ.)

თემაღმასკომი ამოძრავდა. გზების ზეგარა დამთავრდა. გააკეთეს გზები, ხიდები. თავმჯდომარეს მეთაურობით ალაქანში და ტურის უბანში გამოიყვანეს სასმელი წყალი.

საუკეთესოთ მოეწყო მუშ. კლუბი, სახ. სახლი. გამართულია ხმამაღალი სამკითხველო, გლეხობას ეძლევა იურიდიული რჩევა-დახმარება. კოოპერატივში შეკრეფილია 85 ახალი წევრი. განზრახული გვაქვს ყანდაურის მინდორზე ივრის ხეობიდან გავიყვანოთ არხი. არხის გასაყვანათ მოწვეულია წყალთა სამმართველოს ინჟინერი და შედგენილია გეგმა. ამ მოკლე ხანში დაიწყება მუშაობა თვითონ არხის გაყვანაზე. იმედია მეზობელი თემები წაბაძავენ ყანდაურის მაგალითს.

მეზობელი გლეხკორი.

უნდა მოგვარდეს ფოსტის მუშაობა

(ცაიში, ზუგდ. მ.).

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება ერთადერთი ბაზაა, საიდანაც ვრცელდება სოფლად ჟურნალ-გაზეთები და სხვა სახის ლიტერატურა. მაგრამ ფოსტა ბევრჯერ ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. მაშ რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხშირად ცაიშის ფოსტაში ვღებულობთ ორის კორესპონდენციებს?.. ხშირი მოვლენაა აგრეთვე, რომ ხეთის (ზუგ. მ.) კორესპონდენციები ჟურნალ-გაზეთებისათვის ცაიშის ფოსტას ეცლინება და ცაიშისა კი „ალახმა" უწყის სადაა გადაზავნილი...

ეხლა ვიკითხოთ, რამდენი უნდა იხეტიალონ „გზაბნეულ" ჟურნალ-გაზეთებმა, სანამ ისინი მიაღწევდენ დანიშნულების ადგილამდე?.. ხშირად არა ნაკლებ ერთი კვირისა, რა ხნის განმავლობაშიაც გლეხი ჟურნალ-გაზეთებს ვერ მიიღებს.

მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, მოგვარებულ უნდა იქნეს ფოსტის მუშაობა. სოფლის ფოსტამ უნდა მიიღოს დროზე ჟურნალ-გაზეთები და მისი გავრცელების საქმე თავის თავად მოგვარდება.

მაგ.: ჩვენი თემის გლეხობას აქვს გამოწერილი 52 ცალამდე „ახალი სოფელი", რასაც ადგილობრივი 7-წლედის გამგე თავის ხელით ურიგებს გლეხობას. ქოხ-სამკითხველოებიც ხელის შემწყობნი არიან ამ საქმეში.

დიმი.

ქურდებს თავს გაუდით

(ხონი, ქუთ. მ.).

30 ოქტომბერს, ღამით ხონის მესამე უბანში გაქურდული იქნა რამოდენიმე ოჯახი. წაღებულია უმთავრესად სამზარეულო ნივთები (სპილენძის ჭურჭ. და სხვა). და ტანისამოსი. ეს შემთხვევა პირველი არ არის. ქურდობას მიეცა სისტემატიური, ყოველდღიური ხასიათი.

აქ აუცილებლად ქურდების ორგანიზაციული ხელია. ხონის მილიციას სძინავს, ის არ ფიქრობს გამოღვიძებას.

გარდა ამისა 31 ოქტომბერს ღამით ბაზარში, თავისუფლების მოედანზე, სახურავიდან (კრამიტის გადალაგებით) ჩასვლით, გასჭრეს მეტყავე წოწონავას დუქნის ჭერი და აშრიგათ გაიტაცეს 1.000 მ. საქონელი. ქურდები მიიმალენ. მილიცია ვერ ღებულობს სათანადო ზომებს.

„ი. ტ.".

მუშათა ცხოვრება

როგორ ვამზადებთ აბრეშუმს

(თელავის აბრეშუმის ამოხვევი ფაბრიკის ცხოვრებიდან)

თელავის მაზრის სხვადასხვა ადგილებიდან მიღებული ნედლი აბრეშუმის პარკი უპირველეს ყოვლისა აქ ხარისხდება ფერისა და სიმსხვის მიხედვით. ამის შემდეგ იგი მიდის გასაშრობად, ანუ როგორც ამბობენ, დასათუთქად საგანგებოდ მოწყობილ კამერაში, სადაც უშვებენ 70—75 გრადუს ორთქლს.

დაორთქლვა, ანუ დათუთქვა გრძელდება 30 წუთს. ამ ხნის განმავლობაში აბრეშუმის პარკში იხოცება ჭიები.

ამის შემდეგ იცდიან კიდევ 15 წ. და შემდეგ პარკებს იღებენ, შლიან თაროებზე ჰაერის გასავლელად და გასაშრობად. შემდეგ საჭიროების და მიხედვით გამშრალ პარკს წონით აბარებენ ფაბრიკას. აბრეშუმის პარკის დამუშავების პირველი სტადია მდგომარეობს „ბატეუხის" სისტემის პატარა სპილენძის თასებში (60—70°) ცხელ მდუღარე წყლით დამდუღრაში 8—10 წუთით. ამ თასებს ზემოდან აქვს ჩოთქი, რომელიც ტრიალებს ხან აქეთ, ხან იქით და იმავე დროს ეხება რა თასში პარკების გარსს, შლის გარეთა „ხაოიან" აბრეშუმის ფენას, საიდანაც ადვილად იპოვება ძაფის წვერები. აქედან პარკები გადადის სხვა თასებში, სადაც აგრეთვე მდუღარე წყალია (50—60°) და ხდება პარკისაგან პირველი აბრეშუმის ლენჩის გაცლა და ძაფის ამოხვევა მექანიკურად ძაფების ამრტყოცნის დახმარებით.

ძაფი, მიდის რა მექანიკურად სპეციალური გორგოლაჭების დახმარებით გადადის სახვევზე, რომელზედაც ძაფი ეხვევა ჯვარედინად, რომ ძაფს გასცილდეს ზედმეტი სინესტე.

სახვევზე ძაფი ეხვევა მწკრივად და თანაბრად ძაფის დამტარებლის საშუალებით და რომ ამავე დროს ძაფი კიდეც გაშრეს, სახვევი მოთავსებულია ხის შუშაბანდში, ან გარსში, რომელიც ხურდება ორთქლით.

ყველა აპარატები მექანიკურად მოდის მოძრაობაში. თვითეული ამომხვევი ქალი ერთ და იმავე დროს ახვევს რვა წვერ ძაფს, საიდანაც თითო სახვევი იხვევს ორ-ორ წვერ ძაფს. ამ სახით თვითეულ ამომხვევ ქალს აქვს ოთხი სახვევი თავ-თავის ცალკე ბერკეტით გასაჩერებლად. ძაფის გაწყვეტის დროს ამომხვევი ქალი აჩერებს სახვევს და უძახის გადამბმელს, რომელიც გადააბამს თუ არა ძაფის წვერებს, უშვებს ისევ მოქმედებაში სახვევს.

მუშაობის რაიმე უსწორობის, ან მანქანის გაფუჭების დროს, როგორც ამომხვევნი, ისე მხარშველი ქალები დაუყოვნებლივ აცნობებენ უფროს მომუშავე ქალს (ასისტენტკას).

თვითეული ამომხვევი ქალი რვა საათის სამუშაო დღეში ახვევს 600,0. თუ ამაზე მეტს ამოახვევს იგი იღებს ზედმეტ მუშაობის პრემიურს.

როცა საქმე თხოულობს, ამომხვევი მოხსნის სახვევს ამოხვეულ ძაფს, შეკრავს თავსა და ბოლოში შულოს და თავის ნომრით მიაქვს აბრეშუმის ოთახში (საკონტროლო ოთახია) თანაბრად ძაფის სიმსხვის გამოსარკვევად მთელ სიგრძეზე ძაფის (თანაბარი სიმსხვეს) გამოკვლევა მდგომარეობს შემდეგში:

თვითეული შულოდან გამოახვევენ რამდენიმე ცალკე ძაფის ნიმუშს სიგრძით 450 მეტრს, რომელიც იწონება სპეციალურ (დენიბის) სასწორზე. ყველა შულოები ისინჯება, იწონება, იგრიხება და ლაგდება შეკვრებში (ცალებში).

აბრეშუმის ძაფის ამოხვევის დროს, რჩება ნარჩენი „ფრიზონი" (ფრიზონეტი და ბასინეტი) ანუ ჰუპრი, რომელიც შემდეგ იგზავნება გადასამუშავებლად.

მუშაობა იწყება დილის 6 საათზე და თავდება ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე 1 ნახ. საათის შესვენებით.

ფაბრიკის მთელი რიცხვი მუშა-მოსამსახურეთა უდრის 126 კაცს, რომელთაგან 59 ამომხვევია, 26 მხარშავი, 12 შემკვანძნავი გაწყვეტილი ძაფისა, 9 მუშა-ქალი, დანარჩენი ჰუპრის დამუშავებაზე, 10 მუშა აბრეშუმის კამერაში, 4 დამხარისხებელი და ასისტენტი ქალი.

ამას გარდა, ფაბრიკას ემსახურება 11 მუშა-მოსამსახურე. უმეტესი ნაწილი მუშა-ქალებისა მახლობელ სოფლებიდან არის. უმცირესობა კი ქალ. თელავიდან არის.

აი, მოკლე სქემა აბრეშუმის პარკის დამუშავებისა, რომელიც სწარმოებს თელავის აბრეშუმის ამოხვევ ფაბრიკაში.

ძალიან მძიმეა შრომის პირობები აღნიშნულ ფაბრიკაში. საჭიროა ფაბრიკაში დაიდგას ვენტილიატორები და მოეწყოს ცალკე სასადილო, რადგან მუშებს ჭუჭყიან სახარშაოში უხდებათ სადილობა.

ექ. ანდრონიკაშვილი.

სალამო ტრამვაის მუშათა კლუბში

ამ დღეებში ტრამვაის მუშათა კლუბში გაიმართა უფასოდ (ოჯახური) სალამო ამხ. მ. რუხაძის ხელმძღვანელობით.

სალამოს დაესწრო აუარებელი ტრამვაის მუშა-მოსამსახურე თავის ოჯახების წევრებითურთ. გამართულ იქნა ქართულ ენაზე ადგილობრივი ძალების მიერ პატარა ინსცენიროვკები, რომელსაც საუცხოვოდ ასრულებდენ მოთამაშენი.

„ცოცხალმა გაზეთმა" რუსულ ენაზე შეასრულა რამოდენიმე ცოცხალი სურათები.

შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება ზოგიერთის სიმღერა-თამაშმა. ბზია შავ-სოფლელმა შეასრულა რამოდენიმე აზიური ცეკვა-თამაში. გულაზაშვილმა შეასრულა კინტოური და რამოდენიმე სომხური კუპლეტები. ცაგურიამ იმღერა არია „თავო ჩემო" და საზოგადოების თხოვნით დაბნელებულ სცენაზე შეასრულა „ურმული".

ცაგურიას ხელმძღვანელობით მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერები.

კლუბში ვერ იყო დაცული შესაფერისი წესრიგი, რაც გამგეობის გულგრილობას უნდა მიეწეროს.

მაინც დიდად ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა ღამის 1 საათზე.

მუშკორი ს. ხოჯაევი.

სტუდენტთა ალმასბიუროს კულტგანყოფილების მუშაობა

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტ. ალმასბიუროსთან არსებობს კულტგანყოფილება, რომელიც ემსახურება სტუდენტებს. აქვე მოწყობილია სამკითხველო, სადაც არის გამოწერილი როგორც ქართული, ისე რუსული გაზეთები, სადაც მკითხველთა რიცხვი ესწრება ბლომად.

დაარსდა სპეციალური კედლის გაზეთი „ხმა"-ს სახელწოდებით, რაც დღევანდლამდე არ იყო. აგრეთვე სწარმოებს თეატრის შეღავათიანი ბილეთების ტალონების დარიგება, რითაც კმაყოფილი არიან მოსწავლე-სტუდენტები.

მოეწყო რამოდენიმე ექსკურსია როგორც „ზაჰესში", აგრეთვე სხვა მხარეს. გამოიცა რამოდენიმე წიგნი და ზოგიც ამჟამად იბეჭდება. მოწყობილია სხვადასხვა წრეები და იკითხება მოხსენებები. სტ. ალმასბიუროს განზრახული აქვს მომავალში დააარსოს სასულე ორკესტრი.

ზემოაღნიშნული კულტგანყოფილების გამგედ ითვლება ს. გეგენავა, რომელიც მადლობის ღირსია, ვინაიდან მას ამ საქმეში მიუძღვის ღვაწლი.

მუშკორი შალი.

მუშათა ქრონიკა

— **წყლის საკითხი.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა: გადიდებულ იქნეს სადგურში წყლის მისაწოდებელი ონკანი ორთქლმავლებისთვის. დაევალოს ადმინისტრაციას დროზე მოაგვაროს ეს საკითხი.

— **ორთქლმავლის მომატება.** სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება სთხოვს „დნ/2"-ს, რათა მომატებულ იქნეს ერთი სამანევრო ორთქლმავალი.

— **გადატანა.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ საჭიროდ სცნო ზედმეტ რონოდების თბ. სადგურის ჩრდილოეთის ჩიხში გადატანა.

— **15 პროც.-ით აიწია მოძრაობა.** მიმდინარე წლის ბოლო ხანებში 15 პროცენტით აიწია სად. თბილისში მოძრაობა. სექტემბრის თვეში გაგზავნილია სულ 8.717 რონოდი.

— **სად. ბაკურიანის საკოჭავის** მუშა-მოსამსახურეებმა გაიღეს თავისი კუთვნილი ხელფასიდან 1 პროც. ინგლისის გაფიცულ მუშათა დასახმარებლად.

— **საგუშაგოს შესაკეთებლად.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მიმართა მეორე განყოფილების უფროსს შეაკეთოს მეისრეთა საგუშაგოები.

— **ბრძოლა სიმულიაციასთან.** სად. თბილისის მოძრაობის დარგში სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა მუშა-მოსამსახურეთა სიმულიაციას.

— **ფართედ ტარდება.** ინგლისის მუშათა დახმარების ერთი პროცენტის საკითხი როგორც თბილისის, ისე ხაშურის უბნებში ფართედ ტარდება. თვითეულ შეგნებულ მუშას შეაქვს თავისი წვლილი ინგლისელ მუშათა დასახმარებლად.

ყრილობები და კონფერენციები

პროფსაბჭოს პლენუმი

მეორე სხდომა

უმუშევრების საკითხი

(ამხ. მარიამიძის მოხსენება)

21 ნოემბრის დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. მარიამიძის მოხსენება უმუშევრობის შესახებ.

გასული წლის პირველ ოქტომბრისათვის უმუშევართა რიცხვი საქართველოში უდრიდა 30.044 კაცს; წელს უმუშევართა რიცხვი შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 35,7 პროც. უმუშევრობა იზრდება, უმთავრესად, ჭიათურაში, სოხუმში და სამტრედიაში, მცირდება ფოთში. კავშირების უმუშევარ წევრთა რიცხვი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე არაწევრების.

რაც შეეხება უმუშევართა ნაციონალურ შემადგენლობას, ქართველები შეადგენენ 53,7 პროც., სომხები—20,3 პროც., რუსები—19,2 პროც., სხვები—6,8 პროც.

უმუშევართა საერთო რიცხვიდან 6,1 პროც. მოდის სოფლის მეურნეობის მუშებზე, 34,5 პროც. მრეწველობაზე, 9,6 პროც. ტრანსპორტზე და ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაზე, 40,4 პროც. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულება-წარმოებებზე და 9,4 პროც. დანარჩენებზე.

ერთი წლის განმავლობაში საშუამავლო ორგანოების მიერ სამუშაოზე გაგზავნილი იქნა 13.202 კაცი, მოთხოვნილი კი იყო 15.263, ე. ი. მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია 86,5 პროც.

სამუშაოზე გაგზავნილთა საერთო რიცხვიდან კავშირების წევრებია—8.449 კაცი, ე. ი. 63,9 პროც. სამუშაოზე გაგზავნილიდან 37,7 პროც. ქართველებია, 34,2 პროც. სომხები, 20,6 პროც. რუსები და 8,5 პროც. დანარჩენები.

გასული წლის განმავლობაში კავშირებიდან დახმარება მიიღო 29.732 კაცმა. საშუალოდ თვითეული უმუშევარი თვეში იღებდა 5 მან. 51 კაპ.

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის საქართველოში იყო 37 შრომის კოლექტივი; აქედან თბილისში—8, ბათომში—16, ქუთაისში—5 და სოხუმში—8.

ყველა ამ კოლექტივებში ჩაბმული იყო 1.545 უმუშევარი, 1.312 მამაკაცი და 233 ქალი.

37 კოლექტივს თბილისში, ბათომში და ქუთაისში მიეცა დახმარება 192.847 მანეთი. ეს თანხა რომ დარიგებულიყო უმუშევრებზე თვითეულს შეხვდებოდა 46 კაპ. დღეში, კოლექტივებმა კი ამ თანხით დამუშავეს 960.702 მანეთის პროდუქცია და მათში ჩაბმულმა უმუშევრებმა მიიღეს 1 მან. 34 კაპ. დღეში.

1925—26 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ სამუშაოებზე დაიხარჯა 42.884 მანეთი.

ამხ. მარიამიძის მოხსენების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. მორჩილაძის მოხსენება სოციალურ დაზღვევაზე.

მესამე სხდომა

საბინაო-საამშენებლო კოოპერაცია

(ამხ. არჩილ მიქაძის მოხსენება)

საღამოს სხდომაზე მოხსენებით საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. არჩილ მიქაძე.

საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის მიერ თბილისში აშენებულია 66 ბინა, ხოლო პროვინციაში—9. კუბიკური საჟენი კოოპერაციის მიერ აგებულ შენობისა თბილისში დაჯდა 104 მანეთი, პროვინციაში კი—64 მანეთი.

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე საქართველოს საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის ფონდში შემოვიდა სულ 836.658 მანეთი; ამას გარდა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებულია კიდევ ანარიცხები, ასე რომ პირველი ოქტომბრისათვის საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის მთელი თანხა უდრიდა 1.050.833 მანეთს.

საბინაო კოოპერაციის მიერ აგებული ბინები ყველაფრით შეესაბამება სანიტარიის და ჰიგიენის მოთხოვნილებებს. ბინები მორთულია სამზარეულოთი, ფეხის ადგილით, წყალსადენით და კანალიზაციით. ამნაირად აგებული ორ ოთახიანი ბინა დაახლოებით ჯდება 5—6.000 მანეთი, ხოლო სამ ოთახიანი ბინა—7—8.000 მანეთი.

საბინაო-საამშენებლო კოოპერაციას გადაწყვეტილი აქვს მშენებლობის მაქსიმალურად გაიაფება, რათა მუშათათვის ადვილი გახდეს საბინაო კოოპერატიული მშენებლობის სიკეთით სარგებლობა.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ.ამხ. ყურულაშვილმა, ელბაქიანმა, ლაღიაიძემ და სხვებმა.

კამათის დასრულების შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები, რის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ექიმთა ყრილობა

პირველი დღე

ყრილობის გახსნა

21 ნოემბერს, გაიხსნა სრულიად საქართველოს ექიმთა მეოთხე ყრილობა. ყრილობაზე დაესწრო 200-მდე დელეგატი მაზრებიდან და ავტონომიური ერთეულებიდან.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი მთავარი საკითხები: 1. ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება საბჭ. კავ. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2. საექიმო სექციის რესპუბლიკანურ ბიუროს ანგარიში, 3. მოხსენებები ადგილებიდან. 4. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენება, 5. ხელფასი ექიმთათვის და მუშაობის პირობები, 6. ურთიერთ დამხმარე სალაროს ანგარიში, 7. არჩევნები რესპ. ბიუროში.

პრეზიდიუმი

ყრილობის პრეზიდიუმში ამორჩეულ იქნა ამხ. **გ. ქუჯაიძე, ახობიკოვა, კიკალეიშვილი, ჯოჯაძე, მამულია, ავეტაშვილი, ანჩაბაძე, ცომაია, იორიშვილი და ქუთათელაძე.**

სამდივნოსა და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ, ყრილობა გადავიდა მოხსენებების მოსმენაზე.

რესპუბლიკანურ ბიუროს მუშაობა

საექიმო სექციის რესპუბლიკანურ ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **კიკალეიშვილი.**

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წარსული პერიოდის განმავლობაში ბიუროს ბევრი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა, რომ ეწარმოებია და პირნათლად შეესრულებია დავალებული საქმე. ჩვენი ექიმები, ორატორის აზრით, წარმოადგენენ გათიშულ და შეუკავშირებელ მასას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბებულა ერთ მტკიცე კავშირში. ბიურომ უმთავრესი თავისი საქმიანობა მიმართა პროვინციებისაკენ, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო ადგილობრივი საექიმო სექციები. სექციების დაარსება წასულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხერხდა მხოლოდ ხუთ ადგილას: ქუთაისში, გორში, სოხუმში, ბათომში და ოზურგეთში. ოზურგეთის სექცია გაუქმებულ იქნა უკანასკნელ ხანებში, რადგანაც იქ სექციის დასაარსებლად არ აღმოჩნდა ექიმთა სათანადო კონტინგენტი.

რესპუბლიკანურ ბიუროს მიერ შეკრებილი მასალებით გამოირკვა, რომ მთელ საქართველოში ამჟამად ყოფილა 1.138 ექიმი, აქედან მარტო თბილისში 610, ხოლო პროვინციაში 528.

თავის მოხსენების შემდეგ ნაწილში ამხ. კიკალეიშვილი აღნიშნავს, რომ ბიურომ მოახდინა უმუშევარ ექიმთა გამოკვლევა. სულ აღმოჩნდა 110 უმუშევარი ექიმი, აქედან 90 მარტო თბილისშია, ხოლო 20 პროვინციაში.

დასასრულ მომხსენებელი ეხება მომავალი მუშაობის პერსპექტივებს და აღნიშნავს, რომ მომავალი ბიუროს პირველ მოვალეობად უნდა გახდეს სექციების მოწყობა ადგილებზე და უმუშევარ ექიმებზე მორალური ზეგავლენის მოხდენა, რომ ისინი დასთანხმდნენ პროვინციაში მუშაობას.

ამხ. კიკალეიშვილის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან. მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კიკალეიშვილის საბოლოო სიტყვა და ჯანსაღკომის ამხ. გ. ქუჯაიძის მოხსენება.

განათ. მუშაკთა კავშირის კონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 საათზე, განათლების სახლში გაიხსნა განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენცია.

კონფერენციას სიტყვით მიმართა ამხ. ფანცულაიამ, რომელმაც უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა.

პრეზიდიუმში აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: **გეგენავა, ფანცულაია, ტორჩინავა, აბგადასი, კოჩიევი, უსტიაშვილი, კარაულოვი, სურგულაძე და კობახიძე.**

აირჩიეს აგრეთვე სამდივნო და სამანდატო კომისია.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) განათლების კომისარიატის სასკოლო განყოფილების მუშაობა, 2) მოხსენება ინგლისის მემაღაროეთა შესახებ, 3) მოხსენება აჭარისტანის განყოფილების მუშაობის შესახებ, 4) განათლების კავშირის ფინანსიური მდგომარეობა, 5) განათლების კავშირის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, 6) განათლების კავშირის და მის ქვემდებარე უწყებების გეგმიანი მუშაობა და 7) დელეგატების არჩევა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ყრილობაზე.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ პირველ საკითხზე მოხსენება წაიკითხა ამხ. გ. გოგუაძემ.

განათლების კომისარიატის სასკოლო განყოფილების მუშაობა

(ამხ. გოგუაძის მოხსენება)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ორი წელია, რაც შრომის სკოლებში შემოღებულია კომპლექსიური მეთოდი. ამ მეთოდით სწავლებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ამჟამად განათლების კომისარიატის წინაშე სდგას საკითხი შრომის პირველ საფეხურის სკოლებში არსებულ პროგრამების გადახალისების შესახებ. პროგრამების დედა-აზრი, იდეოლოგიური მხარე—შეუცვლელი იქნება, საკითხი ეხება ტეხნიკურ დაბრკოლებათა დაძლევას.

განათლების კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს თემებსა და რაიონებში მოაწყოს პედაგოგიური კოლექტივები. მათ მიეცემათ სათანადო ლიტერატურა. თემებსა და რაიონებში მოეწყობა ბიბლიოთეკები და ცენტრალური სკოლები. ამგვარად მასწავლებლობას საშუალება მიეცემა ახალ პროგრამებს გაეცნონ მთელი წლის განმავლობაში. ამ მიზნით აგრეთვე მაზრებში მოეწყობა სანიმუშო-საცდელი მასიური სკოლები.

ამასთან დაკავშირებით სდგას საკითხი მასწავლებლების მეთოდიურად მომზადების შესახებ.

შემდეგ მომხსენებელი გადადის შრომის სკოლების სახელმძღვანელო წიგნებით მომარაგების შესახებ და ამბობს, რომ წელს შრომის სკოლები სახელმძღვანელოებით 80 პროც. არის დაკმაყოფილებული.

მიმდინარე წლის განმავლობაში მაზრებში ჩამოყალიბდება სახელმძღვანელო მეთოდიური ბიუროები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება 7 წლედის და 9 წლედის სკოლების რეორგანიზაციის საკითხს.

მიმდინარე წელს შემცირებული იქნა 9 წლედი სკოლები, მაგრამ ამ შემცირებით არც ერთი მოწაფე სკოლის გარეშე არ დარჩენილა. ამჟამად 9 წლედების რიცხვი უდრის 57.

ეხლა 9 წლედებთან კოოპერატიულ და პედაგოგიურ განხრების გარდა, გახსნილია ელექტრო-ტეხნიკური და მიწადმოწყობის განხრები.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

აღწერის ხელმძღვანელთა კონფერენცია

მეორე დღე

კონფერენციის მესამე და მეოთხე სხდომაზე გარჩეულ იქნა აღწერის ჩასატარებელი საპროგრამო საკითხები.

საპროგრამო საკითხების პირველ რიგში შეუდგნენ საპირადო ფურცელის გარჩევას. მომხსენებელი თ. ჯაფარიძე მუხლობრივ კითხულობს ფურცელზე აღნიშნულ ყოველ ცალკე კითხვას და იძლევა დაწვრილებით განმარტებებს.

კონფერენციაზე ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია სამმა საკითხმა: როგორ უნდა იქნან აღრიცხული რესპუბლიკიდან დროებით სხვაგან სამუშაოდ გასული მოქალაქენი, როგორ აღრიცხონ ახალ-ქალაქის, ახალ-ციხის და აჭარელ მუსლიმანები და მესამე საკითხი, როგორ უნდა აღრიცხონ ლტოლვილები, რომლებიც ბლომად გადმოსახლდენ საქართველოში ლენინაკანის მიწისძვრის შემდეგ.

სამუშაოდ გასულები

რესპუბლიკიდან დროებით სხვაგან სამუშაოდ გასულთა აღრიცხვის შესახებ, კონფერენციაზე წარდგენილ იქნა რამოდენიმე პროექტი. ზოგი ორატორი აღნიშნავდა, რომ მათი აღრიცხვა შესაძლებელი იქნება ოჯახის სხვა წევრთა მიერ მიცემული ცნობებით.

აღნიშნულ საკითხზე მომხსენებელმა განაცხადა, რომ თანახმად ცენტრიდან მიღებული ინსტრუქციებისა, აღრიცხვაზე არ იქნებიან აყვანილი ის მოქალაქენი, რომლებიც პირადად არ მისცემენ აღმწერლებს ცნობებს.

ამნაირად, რესპუბლიკის ზოგიერთი კუთხეებიდან, როგორიც მაგ. რაჭა, ლეჩხუმი და ზემო-იმერეთი, სხვაგან გასული მუშები არ იქნებიან აყვანილნი აღრიცხვაზე, თუ ისინი რესპუბლიკის ფარგლებს გაშორდენ.

ქართველი მუსლიმანები

ახალციხის, ახალქალაქის და აჭარელ მუსლიმანების შესახებ კონფერენციაზე გამოითქვა აზრი. რომ მათი აღრიცხვა სწარმოებდეს ადგილობრივ, როგორც მუსლიმანების, ხოლო ცალკე გრაფაში აღინიშნოს მათი ეროვნება.

აჭარელი მუსლიმანები კი საპირადო ფურცლებში ჩაიწერებიან, როგორც ქართველები.

ლტოლვილები

ვინაიდან აღწერის შესახებ დამუშავებულ ინსტრუქციების თანახმად უნდა აღირიცხოს ყველა ის მოქალაქე, ვისაც ადგილზე მოუსწრობს აღწერა, ამიტომ გადაწყდა მოხდეს დროებით საქართველოში გადმოსულ ლტოლვილთა აღრიცხვაც, ხოლო მათ შესახებ აღინიშნოს, რომ ისინი დროებით მოქალაქენი არიან საქართველოში.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე კონფერენცია შეუდგა საოჯახო ფურცლის გარჩევას. მომხსენებელი გ. ფერაძე კითხულობს საოჯახო ფურცლის ყოველ ცალკე მუხლს და იძლევა ამის შესახებ ვრცელ განმარტებებს, თანახმად სააღწერო კომიტეტის მიერ გამოცემული ინსტრუქციებისა.

თვითეული ცალკე მუხლის შესახებ კონფერენციის წევრები გამოსთქვამენ თავიანთ შეხედულებებს და იძლევიან პრაქტიკულ წინადადებებს, თუ როგორ ან რა სახით უნდა მოხდეს აღწერა, ან პასუხის მიცემა ამა თუ იმ მუხლზე.

მეხუთე სხდომა

საღამოს სხდომაზე დამთავრდა საოჯახო ბარათის მუხლობრივი კითხვა. ყოველი ცალკე მუხლების შესახებ დაწვრილებითი განმარტების შემდეგ კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული წინადადებანი.

მეორე საკითხად კონფერენციაზე დაისვა სახლ-კარის ბარათის განმარტება.

აღნიშნული საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ფერაძემ, რომელმაც აღნიშნა ყოველ ცალკე მუხლებზე მიცემულ სწორი პასუხების მნიშვნელობა. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ბარათის მუხლობრივ კითხვაზე.

აღნიშნულ ბარათების წაკითხვით და ცალკე მუხლებზე შესაფერი პრაქტიკული განმარტებების გამოტანის შემდეგ, სხდომა დაიხურა.

მშრომელი ებრაელის ქუჩის დღესასწაული

დღევანდელი 23 ნოემბერი უეჭველად უნდა ჩაითვალოს ისტორიულ დღედ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში. არასოდეს არ შეიძლება აღინიშნოს დუმილით უდიადესი მოვლენა, რომელიც ჰქმნის საზღვარს ძველსა და ახალს შორის. დღეს ჩვენს ქუჩაზე იხსნება ორი დაწესებულება **მთლიანი მუშათა კოოპერატივი და ბიბლიოთეკა-სამკითხველო.** ერთის შეხედვით აქ ჩვეულებრივი ამბავია: საბჭოთა ხელისუფლების კიდევ ერთი მიღწევა. მაგრამ ვინც ღრმად დაუკვირდება ამ ფაქტს ის დამეთანხმება, რომ აქ არის კიდევ რაღაც განსაკუთრებული.

არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას ის მძიმე კულტურულ-ეკონომიური პირობები, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში დამონებული ჰყავდა საქართველოს ებრაელობა. ცხოვრების საერთო დუღილი ძლიერ ზარმაცად მიიკლაკნებოდა ჩვენს ქუჩაზე, ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობდა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგაც საქართველოს ებრაელებს ძალაუნებურად შერჩა ძველი „ტიტულები". ჩარჩი, ფანატიკოსი და სხვა.

მხოლოდ მას, ვისაც ამ „ჩარჩების" ქუჩაზე უცხოვრია, შეუძლია ღრმად შეიტყოს და გაიგოს ის უდიდესი სიღატაკე, როგორც სულიერი, ისე მატერიალური—რომელსაც განიცდის საქართველოს ებრაელი. აღარავის სჯერა დღეს ობმოდებული და დახავსებული ლეგენდები საქ. ებრაელთა სიმდიდრის შესახებ. მაგრამ ასე თუ ისე, მდგომარეობა კრიტიკული იყო და საჭირო შეიქნა გამოსავალის ძებნა.

ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ებრაელთა საინიციატივო ჯგუფის დელეგაცია წარუდგა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს და აუხსნა თავის მწუხარება და გულს ტკივილი. მთავრობამ მიაქცია ამას ყურადღება და სასწრაფოდ დანიშნა კომისია (ვ. სტურუა, დ. კანდელაკი, გ. კუპაიძე, დ. ბააზოვი. დ. აჯიაშვილი) საქართველოს ებრაელთა კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების პირობების შესასწავლად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დასახული იქნა მთელი რიგი ღონისძიებათა და დაევალა სათანადო უწყებათა ორგანოებს მათი ცხოვრებაში გატარება.

დღეს, 23 ნოემბერს საქართველოს შეგნებული და მშრომელი ებრაელობა ზეიმობს თავის ნამდვილ დღესასწაულს. ერთის მხრივ კოოპერაციის იდეის გამარჯვება ჩვენს ქუჩაზე—ეს არის დიდი მოვლენა. ჩვენშიაც შეიჭრა შრომისა და კოლექტიური შემოქმედების პრინციპები, რასაც სამართლიანი აღტაცებით უნდა მივეგებოთ. ეს ახალი ხანაა ჩვენს ცხოვრებაში და ახალი სიტყვა.

კოოპერატივთან ერთად ჩვენ ვხსნით ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რომელიც მოსწყვეტს ახალგაზრდობას ქუჩებს და ტრაქტირებს, დაიახლოვებს მას თავისთან, უფრო მძლავრად გაავრცელებს თანამედროვეობის ელემენტარულ მოთხოვნილებებს და მრავალ ახალგაზრდას დაიხსნის აუცილებელ გადაგვარებისა და კატასტროფისაგან. ამის სტიმულები უკვე მოჩანს და ჩვენ სრული შეგნებით გვწამს, რომ სამკითხველო შეასრულებს თავის დანიშნულებას.

უახლოეს ხანაში ჩვენ ვიზეიმებთ მესამე დაწესებულების—ამბულატორიის გახსნით ჩვენს ქუჩაზე. მას მომავალში მოჰყვება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებანი. აქვე გამოვთქვამთ სრულ იმედს, რომ თბილისის მაგალითს მიჰბაძავენ პროვინციაშიც და მალე მოვისმენთ მათ ზეიმსაც.

ჩვენ მრავალი დაბრკოლება შეგვხვდა გზაზე, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გულწრფელი დახმარებით ჩვენ გადავლახეთ ყველა ეს დაბრკოლებანი და მოვაღწიეთ დღევანდლამდე.

ელექტრონის შუქურა, რომელიც გაანათებს ჩვენს ქუჩას კოოპერატივის მაღაზიიდან, არ უნდა იქნეს გაგებული მარტო თავის რეალურ მნიშვნელობით. ეს შუქი ძილს დაუფრთხობს ყველა იმათ, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უწყობს საქ. მშრომელ ებრაელთა ჩამორჩენას და ყველა იმას, ვინც კვლავ ოცნებობს წყვდიადით მოცულ ებრაელობაზე.

დღევანდელ დღეს თბილისის მშრომელი ებრაელობა უძღვნის უღრმეს მადლობას იმ ხელისუფლებას, რომელიც ხელს უწყობს მის კულტურულ ეკონომიურ აღორძინებას.

ზეიმის დღის სინათლეზე საქ. ებრაელი ატარებს უკვე ახალ ელფერს. გათვითცნობიერების და შრომის გზაზე შემდგართა დაბრუნებას წარსულისაკენ ველარ შესძლებენ ვერც შინაური და ვერც გარეული მტრები. ისტორიამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა.

მერცელ ბააზოვი.

დღესასწაულები 1927 წ.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ შეიმუშავა სია დღესასწაულებისა 1927 წელში.

ამ სიის მიხედვით დაწესებულია სულ 14 დღესასწაული: 8 რევოლიუციონური, 4 სარწმუნოებრივი და 2 დასასვენებელი დღე ზაფხულზე.

თვეების მიხედვით დღესასწაულები განაწილებულია შემდეგნაირად: 1 იანვარი (ახალი წელი), 6 იანვარი (ნათლისღება), 22 იანვარი (9 იანვარი ძველი სტილით), 25 თებერვალი (საქართველოს გასაბჭოების დღე), 12 მარტი (თვითმპყრობელობის დამხობის დღე), 18 მარტი (პარიზის კომუნის დღე), 24-25 მარტი (აღდგომა), 1 მაისი (საერთაშორისო მუშათა დღე), 25 ივლისი (ორშაბათი დასასვენებელი დღე) 15 აგვისტო (მარიობა ორშაბათი), 29 აგვისტო (ორშაბათი დასავენებელი დღე), 20 სექტემბერი (26 კომუნარის ხსოვნის დღე), 7 ნოემბერი (ოქტომბრის რევოლუციის დღე) და 25 დეკემბერი (შობა).

აჭარისტანში საქართველოს პროფსაბჭოს მიერ დაწესებულ სარწმუნოებრივ დღესასწაულების გარდა დაწესებული იქნება სხვა სარწმუნოებრივი დღესასწაულები იქაურ პირობებთან შეფარდებით. ამ უკანასკნელებს აწესებს აჭარისტანის შრომის სახალხო კომისარიატი.

მეტეხის ხიდი

მეტეხის ხიდის მუშაობა ენერგიული ტემპით მიმდინარეობს; როგორც ირკვევა, დეკემბრის ბოლო რიცხვებში იგი მთლიანად მოთავდება.

კვირას, ნოემბრის 21 ხიდის სამუშაოთა ადგილობრივად გასაცნობად მეტეხში ჩავიდა ამხ. **სიმონ ჟუღელი,** რომელსაც თან ახლდენ გზა-ტკეცილების სამმართველოს ხელმძღვანელი ინჟენერები **კორინთელი** და **გვარამაძე** და ხიდზე მომუშავე „ქართული სამშენებლო შრომის არტელის შენება"-ს თავმჯდომარე **დ. ჯაფარიძე.**

ამხ. ჟუღელმა ყურადღებით დაათვალიერა სამუშაოების ყველა კუთხეები და მოისმინა სამუშაოთა უფროსის ინჟ. **დავრიშევის** და ადგილ. კომიტეტის წარმომადგენლის **ვ. მაღალაშვილის** დაწვრილებითი განმარტებანი.

ამხ. ჟუღელი მეტად კმაყოფილი დარჩა სამუშაოებით და მადლობა გამოუცხადა, როგორც ტეხნიკურ ხელმძღვანელებს და კომიტეტის წევრებს, ისე „შენება"-ს გამგეობას და მის ადგილობრივ მომუშავე ტეხნიკოსებს — ამხ. ტ. არუთინოვს და კ. ჰუმბურიძეს.

მილიციელების გამოშვება

კვირას, 21 ნოემბერს, დღის 12 საათზე, საბურთალოზე გაიმართა საზეიმო მეხუთე გამოშვება და აღლუმი თბილისის მუშათა და გლეხთა მილიციის ამხ. **სუხიშვილის** სახელობის სკოლის კურსანტების.

აღლუმი მიიღო ამხ. **მესხმა.**

საზეიმო სხდომას დაესწრო მილიციის შემადგენლობა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

საქართველოს მთავრობის და აღმასკომის სახელით კურსანტებს სიტყვით მიმართა ამხ. **მესხმა.**

ორატორმა აღნიშნა მუშურ-გლეხური მილიციის როლი სოციალისტური მშენებლობის ხანაში და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მილიციელთა კულტურულად მოსამზადებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მილიციის სკოლების არსებობას. დღეს მუშურ-გლეხური მილიციის კადრს მიემატა 40 კაცს, რომლებმაც დაასრულეს მილიციის სკოლა. ეს მეხუთე გამოშვებაა. ეს სკოლა ჯერჯერობით დაასრულა 200 კაცმა, რომლებიც მტკიცედ სდგანან მშრომელი კლასის სადარაჯოზე.

შინაგან საქმეთა კომისარიატის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **საყვარელიძემ.**

მილიციის ადგილკომის სახელით ილაპარაკა ამხ. **თალაკვაძემ.**

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილების უფროსმა ამხ. **სიხარულიძემ** და მილიციის სკოლის უფროსმა ამხ. **კობიძემ.**

დასასრულ კურსდამთავრებულ მილიციელების მიერ გაიმართა ცხენების ჯირითი.

კატასტროფა სად. წიფასთან

დეპეშის გაგზავნა

წიფაში მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამომკვლევმა კომისიამ თავის მუშაობა ნაწილობრივ უკვე დაამთავრა და გაუგზავნა სათანადო დეპეშა გზათა-მიმოსვლის სახალხო კომისარიატს.

დეპეშაში პასუხი გაცემული ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც დაუსვა კომისარიატმა კომისიას გამოგზავნილი დეპეშით.

დახმარება დაზარალებულთ

ჩვენი თანამშრომელი შეეკითხა ამიერ-კავკასიის რკინისგზების დამზღვევ სალაროს იმის შესახებ, თუ რა დახმარებას მიიღებენ წიფაში მომხდარ კატასტროფის დროს დაზარალებული რკინის-გზელები.

სალაროს საპენსიო ნაწილის გამგემ ამხ. **ანანიაშვილმა** ამ შეკითხვაზე შემდეგი განაცხადა:

— იმ რკინისგზელების ოჯახებს, რომლებიც დაიღუპენ კატასტროფის დროს, გზათა სამმართველო აძლევს ჯერ-ჯერობით 2 თვის ხელფასს, ხოლო შემდეგ კი, მათ, სამმართველოს მიერ წარმოდგენილ ცნობების მიხედვით, დაენიშნებათ პენსია საერთო წესით.

დაჭრილებს ჯერ დახმარება ეძლევათ საერთო დაზღვევის წესით, ხოლო შემდეგ, თუ რომელიმე მათგანი შრომის უნარ/მოკლებული დარჩება, მათ დაენიშნებათ პენსია როგორც შრომის უნარ მოკლებულებს. მათ შრომის უნარ მოკლებულობას გამოარკვევს სპეციალური საექიმო ექსპერტიზა.

უნდა განვაცხადოთ დაზარალებულთა ოჯახის წევრების საყურადღებოდ, რომ პენსიებს სალარო დაუნიშნავს დაზარალებულთ იმ დღიდან, როდესაც ამის შესახებ შემოტანილი იქნება სათანადო განცხადება. ჯერ ასეთი განცხადებები სალაროში არ შემოსულა და ამისათვის ურჩევთ დაზარალებულთა ოჯახებს შეიტანონ განცხადებები მათი საცხოვრებელ რაიონის მიხედვით საუბნო დამზღვევ სალაროებში.

ქრონიკა

საბჭოს პლენუმი

გუშინ 22 ნოემბერს თბილისის საბჭოს პლენუმი არ შედგარა.

ახალი დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს პლენუმმა დაადგინა: ამ.-კავ. სოც. ფედ. საბჭოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წევრებად, ნაცვლად ამხ. ორჯონიკიძისა, სემკოვისა და ივანოვისა, დაინიშნოს ამხ. ბეჟზადიანი და იაკუბოვი.

პოლიგრაფტრესტში

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ მრეწველობის ტრესტში დაარსდა ახალი ნაწილი. ახალ ნაწილს ევალება უმთავრესად სავაჭრო ოპერაციების წარმოება ტრესტის სახელით.

ტრესტის სავაჭრო ნაწილის გამგედ დაინიშნა ამხ. ხერიხი, ხოლო ტრესტის მმართველის მოადგილედ ამხ. ილია კიკნაძე.

შეღავათები კოოპერაციას

ამიერ-კავკასიის ცაკმა აუცილებლად სცნო დარჩეს ამიერ-კავკასიაში 1926—27 წელში შეღავათიანი ტარიფი სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციების ანარიცხებისა სოციალურ დაზღვევაზე.

ამასთან ერთად, ამიერ-კავკასიის ცაკმა შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე, რათა გადასინჯული იქნეს კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ამ საკითხზე.

ღვინოების გამაგრება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს საკავშირო ორგანოებისა და რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა გაუქმებული იქნეს ის დადგენილება, რომლითაც ნებადართულია ღვინოების გამაგრება არა ყურძნის სპირტით. ეს შუამდგომლობა დასაბუთებულია იმით, რომ ღვინოების გამაგრება არა ყურძნის სპირტით ზარალს აყენებს კავშირის მევენახეობის რაიონებს.

თბ. აღმასკომში

◆ **საავადმყოფოები.** მაზრაში საავადმყოფოების შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 4.500 მან.

◆ **წყალსადენები.** წელს მაზრის 16 უწყლო სოფელში გაყვანილი იქნება წყალსადენები.

◆ **გზატკეცილი.** თბილის-თიანეთის შორის გზატკეცილის აღსადგენად გადაიდო 23.000 მ.

საკრედიტო ამხ-ბები

◆ **ამხ-ბათა რაოდენობა.** ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს 134 ძირითადი სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბა.

◆ **თანხა.** საქართველოში არსებულ ძირითად სას.-სამ. საკრედიტოების თანხები აღწევს 762.000 მან.

თბ. დამზღვევ სალაროში

◆ **დროებით შრომის** უნარდაკარგულებს გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად თბილისის დამზღვევ სალარომ გასულ თვეში დაურიგა 82.032 მ.

◆ **ხარჯთ დახმარების** სახით სალარომ გასცა 21.102 მ.

◆ **დასაზღვევი ანარიცხებიდან** ოქტომბერში სალაროს შემოუვიდა 315.849 მ.

სხვადასხვა

◆ **ფილოქსერის და მის გამძლე** ვენახების შესასწავლად ამიერ-კავკასიაში არსდება საგანგებო კომისია.

◆ **მერძეობის** საქმის გასავითარებლად საკრედიტო ამხ-ბებმა დღემდე გასცეს სესხად 20.344 მან.

◆ **სახელმწიფო დაზღვევა.** შენობების და საქონლის სავალდებულო დაზღვევა დღემდე გატარებულია ამ.-კავკასიის 47 ქალაქში.

◆ ა.-კ. ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს საკრედიტო განყოფ. უფროსს ინსპექტორად სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დარგში დაინიშნა ამხ. გრ. გიგინეიშვილი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ინვალიდების თავშესაფარი

ცაკმა დაამტკიცა სახკომსაბჭოს დადგენილება რესპუბლიკის ერთ-ერთ მაზრაში ომის ინვალიდების თავშესაფარის მოწყობის შესახებ. ცაკმა აღძრა შუამდგომლობა ა.-კ. ცაკის წინაშე სოც.-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისათვის 15.000 მან. გადაცემის შესახებ ომის ინვალიდთა თავშესაფარის მოსაწყობათ.

ვაზის სანერგეები

ცაკის დადგენილებით, მიწად-მოქ. სახ. კომისარიატს დაევალა გაუწიოს მეთვალყურეობა მთელ რესპუბლიკაში ნამყენი ვაზის სანერგეების მუშაობას და ვენახების გაშენებას უხელმძღვანელოს წინასწარის გეგმით.

საექიმო პუნქტი

წინადადება მიეცა საკურორტო სამმართველოს დაუთმოს წყალტუბოს თემს თავის ადგილობრივ ბინების ფონდიდან 2 ოთახი საექიმო პუნქტის მოსაწყობათ.

საბინაო - [illegible]

კოოპერატიულ ამხანაგობის წევრთა რიცხვი ცაკის დადგენილებით, განისაზღვრება თბილისში, ქუთაისში, ბათომში და სოხუმში არა ნაკლები 7 კაცისა, დანარჩენ ადგილებში არა ნაკლები 5 კაცისა.

საყოველთაო სწავლა

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი საპერსპექტივო გეგმა საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ.

დახვრეტა გაძარცვისათვის

საქართველოს ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმმა უშედეგოთ დასტოვა მსჯავრდადებულ ჯაბა ბახვას ძე ბერდეხელიას თხოვნა შეწყნარების შესახებ.

დასავლეთ საქართველოს ოლქის სამმართველოს მიერ ბერდეხელიას ზუგდიდის მაზრაში კოოპერატივის გაძარცვისათვის მისჯილი ჰქონდა სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

მევენახეობა ევროპაში

მოხსენება სასოფლ.-სამეურნ. საზოგადოებაში

კვირას, 21 ნოემბერს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში გაიმართა ევროპიდან ახლად დაბრუნებულ მევენახე სოლ. ჩოლოყაშვილის მოხსენება მევენახეობა-მეღვინეობის საქმის მდგომარეობაზე ევროპაში.

თავის მოხსენებაში ორატორი პირველ რიგში შეეხო გერმანიას. გერმანიაში მევენახეობა-მეღვინეობა გავრცელებული ყოფილა უმთავრესათ ორ რაიონში—რეინის და მოზელის ოლქებში. ომიანობის შემდეგ გერმანიის მევენახეობას ეტყობა დიდი დაქვეითება, რასაც დიდათ შეუწყო ხელი ფილოქსერამაც. ამაზედ დიდი წილი აქვს აგრეთვე საფრანგეთიდან შემოტანილ ღვინოებსაც.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა შექმნილა ავსტრიაშიაც. აქაც ავსტრიელი და განსაკუთრებით უნგრული ღვინოები უფრო მეტს ფასობენ ფრანგულ ღვინოებზე. თვით ქალაქ ვენაში მოწყობილია დიდი ამპელოგრაფიული ინსტიტუტი, სადაც სწარმოებს მეცნიერული მუშაობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში. სხვათაშორის, ეს ინსტიტუტი ყველაზე საუკეთესო ინსტიტუტათ ითვლება ევროპაში.

მეღვინეობა-მევენახეობას დიდი აღორძინება ეტყობა საფრანგეთში. აქ თითო დესეტინა ვენახზე მოდის 1.500—2.000 და ხშირათ 3.000 ვედრო ღვინო (ჩვენში კი თითო დესეტინაზე მოდის 300 ვედრომდე). ვედრო ღვინო საფრანგეთში ღირს 50-80 კაპეიკამდე და სწორეთ ამ სიიაფით აიხსნება, რომ ფრანგულმა ღვინოებმა დაიპყრეს ევროპის ბაზარი.

ზაჰესი

პირველი ელექტრო - ენერგია

გუშინ დაიწყო ზაჰესის მთავარი არხის ხელმეორედ გამოცდა. გუშინ წყალსაცავ აუზში წყლის დასაგროვებლად დაშვებულ იქნა განათხარის ფარები. წყლის შეგუბების გამო მტკვარმა თბილისთან გუშინ იმდენად დაიკლო, რომ შეიძლებოდა წყალში ფეხით გასვლა.

ამიერიდან წყალი ივლის არხის მთელ სიგრძეზე. არხიდან წყალი იდენს საგენერატორო სადგურიდან მოწყობილ ლარებში. ზაჰესის სათავეებთან მოწყობილია საბურღი ჭა, რომელიც ხელოვნურ ბურღის საშუალებით ამღვრევს არხში გაშვებულ წყალს. ამღვრეული წყლის დაწოლით შემოწმებულ იქნება არხის ნაგებობათა სიმტკიცე. არხის გამოცდა გაგრძელდება ბოლომდე ე. ი. საგენერატორო სადგურის ამუშავებამდე.

15 დეკემბერს წყალი მიშვებული იქნება ტურბინებზე. ამავე დღეს ქალაქი მიიღებს პირველ ელექტრო - ენერგიას ზაჰესიდან.

ხელოვნება

ხ. ხოფერიას დებიუტი

მთელი წარმოდგენის (დაისი) ინტერესი გამოიხატებოდა ახალგაზრდა ბარიტონის, ხოფერიის დებიუტში, რომელიც მომავალ გაზაფხულზე ათავებს სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის კურსს უფროსი მასწავლებელი ქალის მიხალსკის კლასით. მომღერლის პირველი გამოსვლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა დებიუტანტის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მუსიკალურ სიდიდესთან, რომელიც უნდა გამოიყოს საერთო დონიდან. მარტო ამ პირველი გამოსვლით დიდ სცენაზე საპასუხისმგებლო პარტიაში. არ შეიძლება ხოფერია შევაფასოთ, როგორც გაუბედავი დებიუტანტი. პირიქით—მომღერალს როგორც ეტყობა, მიზნად აქვს დასახული სცენიური საოპერო კარიერა და სამართლიანადაც შეიძლება ითქვას, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ის არა უკანასკნელ ადგილს დაიჭერს სერიოზულ საოპერო დასში. საამისო საწინდარს იძლევა მისი ყურადღება საქმისადმი. მას აქვს საკმაოდ ფართო დიაპაზონის ხმა, ყურისთვის სასიამოვნო ტემბრის ხმა და უდავო მუსიკალური ნიჭი—ხოფერიას სრულიად თავისუფლად უჭირავს თავი სცენაზე და დრამატიული მხრივაც არ სტოვებს სცენიური კარიერის დამწყებ ახალ დებიუტანტის შთაბეჭდილებას. მასში აქედანვე უკვე თავს იჩენს მუსიკალური ფრაზირებაც და დინამიური ელფერი. მან საკმაო მგრძნობიარობით და თანდათან გაძლიერებული ხმით შეასრულა „სულო ბოროტო" და შემდეგ მრავალჟამიერი დუეტში და ცანგალა. ამ ორმა ვოკალურმა ნომერმა, რომლებიც დიამეტრალურად ერთი მეორის საწინააღმდეგო არიან მუსიკალური შინაარსის მიხედვით, ხოფერიაში ჰპოვა კარგი შემსრულებელი, კარგი იყო შემდეგ სცენებიც.

ვ. გ.

◆ **„სინათლე".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სინათლე".

◆ **„ტოსკა".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ტოსკა".

◆ **„სიყვარულის ყვავილი".** კინო „არფისტში" დღეიდან დაიწყო ახალი სურათის „სიყვარულის ყვავილის" ჩვენება. დადგმა დავიდ გრიფფიტცის.

◆ **„დედა".** „სოლეისა", „მინიონსა" და „პალასში" დღეიდან მიდის ახალი სურათი „დედა". შინაარსი აღებულია მ. გორკის მოთხრობიდან.

შემთხვევები

8.700 მანეთის საქონლის მითვისება

დათიკო სანებლიძე და ბუდან ჯალალოვი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. უკანასკნელად მათ გადასწყვიტეს შეერთებული ძალით გაეკეთებინათ „კომბინაცია". ამ მიზნით სხვა მეგობრებთან ერთად სანებლიძე და ჯალალოვი მიდიან ბათომში.

ბათომში ვაჭარ გურგენოვს ეცნობიან, როგორც თბილისის მსხვილი ფირმის წარმომადგენლებს. შეუკვეთეს 700 მანეთის საქონელი, ბეთ მისცეს 100 მანეთი და სთხოვეს საქონელი გურგენოვს გაეგზავნა ქალაქში მათი ფირმის ვაგონების სახელზე. გურგენოვმა 700 მანეთის შალეულობა. მართლაც, გაუგზავნა „დანიშნულებისამებრ". აფერისტებმა ქალაქში ამ დროს მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები, რომლებმაც გახსნეს საქონელი და მის მაგიერ ყუთში ჩააწყვეს ჩალა და დაბეჭდილი ყუთი უკანვე გამოუგზავნეს გურგენოვს. ეს უკანასკნელი ფულს მოელოდა „კომერსანტებისაგან" და ფულის მაგიერ კი გაზეთის ქაღალდები მიიღო.

სანებლიძემ და ჯალალოვმა მათ გარშემო შემოკრიბეს მთელი ჯგუფი აფერისტებისა, როგორც მაგალითად: **ნადეჟდა და გიორგი ჯალალოვები, მიხეილ, მარიამ და ნინა ავეტისოვები, აშოტ არუთინოვი** და სხვა.

ამის შემდეგ ისინი ისევ ბათომშივე აწყობენ კარგს „კომბინაციას". ტყავეულობით მოვაჭრე კრუტიკს და ფაქტობის ეცნობიან, როგორც კომერსანტები და მცირედი ბეს დატოვებით გამოაქვთ 3.000 მანეთის ტყავეულობა. აფერისტებმა სთხოვეს კრუტიკს, რომ საქონელი მას გაეგზავნა ქ. მოსკოვში სანებლიძის და ჯალალოვის „ფირმის სახელზე", რის შემდეგ კრუტიკი მიიღებდა მთელ საფასურს. კრუტიკმა გასაგზავნი საქონელი ყუთებში დაბეჭდილი თვით მიიტანა ფოსტაში; ფოსტაში ყუთები შეამოწმეს, რომ კონტრაბანდი საქონელი არ ყოფილიყო. მაგრამ ტყავეულობის მაგიერ ყუთებში ხურმა აღმოჩნდა. კრუტიკი განცვიფრებული იყო. საქმის ვითარება ასეთია: სანებლიძე და ჯალალოვი ეხმარებოდენ კრუტიკს ტყავეულობის ყუთებში ჩაწყობის დროს. ტყავეულობით სავსე ყუთები ამ დროს აფერისტებმა გადამალეს. სამაგიეროთ მათ წინდაწინვე შეძენილი ჰქონდათ ისეთივე ფორმის ყუთები. მუშაობის დამთავრების შემდეგ იმ ადგილას, სადაც ტყავით სავსე ყუთები ეწყო, მოათავსეს მსგავსი ყუთები. ხოლო 3.000 მანეთის ტყავეულობა კი „მიითვისეს".

ამის შესახებ კრუტიკმა აცნობა ბათომის სისხლის სამართლის მილიციას. უკანასკნელმა კი—თბილისის ს. ს. მილიციას.

გუშინ, საღამოს, ყველა ბოროტმოქმედნი დააპატიმრა თბილისში სისხლის სამართლის მილიციამ.

სანებლიძე და ჯალალოვი გაიგზავნენ ბათომში, როგორც მთავარი აფერისტები.

ნადეჟდა და გიორგი ჯალალოვები, მიხეილ, მარიამ და ნინა ავეტისოვები, აშოტ არუთინოვი და სხ. ბრალდებათ სანებლიძის და გ. ჯალალოვის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

გატაცებული ტყავეულობა აღმოჩენილია.

თავდასხმა [illegible] გზაზე

გუშინ, ღამის 12 საათზე, [illegible] გზაზე გომბორიდან მიმავალი მეცხვარეების **ნიკოლოზ ხარკასივს** და **ნიკა სამადაშვილს** თავს დაესხა 7 ბოროტმოქმედი.

ბოროტმოქმედებმა გლეხების გაძარცვა ვერ შესძლეს, მხოლოდ გაიტაცეს ერთი მეცხვარე 12 ვერსის მანძილზე.

ადგილობრივმა მილიციამ ყველა ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. აღმოაჩინეს აგრეთვე გატაცებული გლეხიც.

◆ **ცეცხლი.** ეკატერინეს შესახ. № 3, 21 ნოემბერს ცეცხლი გაუჩნდა საბავშვო სახლის შეშის საწყობს. ცეცხლი ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ ამავე დღეს პლეხანოვის პრ., № 181, ცეცხლი გაუჩნდა აღმასკომის სახლს. ცეცხლი ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ **დაჭრა.** 21 ნოემბერს კაჩუბეევის ქ., № 9, ვასილ კირაკოზოვს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და სასიკვდილოთ დასჭრა თავისი დედა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 21 ნოემბ. სანაპიროს ქ., № 5, გაქურდეს ბაბილინა აბაშიძის ბინა.

◆ **კარების გატეხის** საშუალებით საბურთალოში ანა ებრალიძის ბინიდან მოიპარეს 198 მ. ნივთები.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** არსენალის ქ., № 39, გაქურდეს ხაჩატურიანის სავაჭრო.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

(თედო ჩანგიშვილის საქმე)

პროცესის მეორე დღე

კვირას, 21 ნოემბერს, სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

მოწმე ბაზიელევიჩი მოუთხრობს სასამართლოს: „როდესაც ამ უბედურების შემდეგ ვინახულე ბრალდებული ჩანგიშვილი, მან მითხრა: „მე მოვკალი საყვარელი ეკატერინა და მკვლელობა ჩავიდინე სრულიად შეგნებულად". ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ მოჰკლა ეკატერინა, მიპასუხა—მე ის გაგიჟებით მიყვარდა, მასაც ვუყვარდი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში იჭვები მახრჩობდა, თანდათან იჭვები გამიძლიერდა, ერთ საღამოს დაღლილ-დაქანცული სახლში მივედი და ვსთხოვე ცოლს ბაღში გასეირნება. ამ დროს სახლში დამიხვდა ერთი ნაცნობი ქალი; მე მას წინადადება მივეცი—გაგვესეირნებია ერთად ბაღში, რაზედაც ნაცნობმა ქალმა უარი სთქვა და ჩვენც დავრჩით სახლში. შემდეგ ცოლთან უსიამოვნება მომივიდა, ავღელდი და მოვკალი".

მოწმე ექიმ **პაპალოვის** ჩვენება მიმართულია ბრალდებულის საწინააღმდეგოთ.

მოწმე აჩვენებს: მკვლელობის შემდეგ ბრალდებულმა მითხრა: „ჩემი ცოლი ეკატერინა 10 წლის განმავლობაში მტანჯავდა. როდესაც ღალატი შევსწამე, ველარ მოვითმინე და მოვკალი".

როდესაც, ჯერ-კიდევ მძიმედ დაჭრილი ეკატერინა ცოცხალი იყო, ბრალდებულს შევეკითხე გაგიხარდება, თუ არა, რომ სიკვდილს გადარჩეს ეკატერინა? ბრალდებულმა მიპასუხა: „ძლიერ მეწყინება".

ამის შემდეგ მოწმე უპასუხებს ექსპერტებს მთელ რიგ კითხვებზე.

დიდ ინტერესს იწვევს მოწმე **იმნაიშვილის** დაკითხვა.

სხვათა შორის, სასამართლოში ბრალდებულმა განაცხადა, რომ მან იცოდა, რომ იმნაიშვილი (ბრალდებულის მეგობარი) მის სახლში დადიოდა—მისი შინ არ ყოფნის დროს. შემდეგ ბრალდებულს დაბეჯითებით გაუგია, რომ იმნაიშვილს უნდა მისი ნახვა ფრიად საჭირო საქმისათვის. ამის შემდეგ იმნაიშვილს და ჩანგიშვილს ერთად უმგზავრიათ კახეთიდან თბილისამდე. ბრალდებულის თქმით, იმნაიშვილს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს მისთვის იმის შესახებ, რომ იგი იყო ბრალდებულის სახლში რაღაც საქმისათვის. ამ გარემოებას ბრალდებულში დიდი იჭვები გამოუწვევია.

ამასთან დაკავშირებით, იმნაიშვილს სასამართლოს მიერ მიეცა მთელი რიგი კითხვები. მოწმე აჩვენებს:

— მე დიდი ხანია, რაც ბრალდებულს ვიცნობ. ბრალდებულის ცოლი სოფელში გამაცნო ჩემმა დამ. ბრალდებულის ცოლთან დაახლოვებული არ ვყოფილვარ. ჩანგიშვილის ოჯახში სულ ოთხჯერ ვიყავი და ისიც იმიტომ, რომ ან გარიგები გვქონდა ერთი-მეორეში გასასტუმრებელი. ბრალდებული რომ ჩემზე იჭვიანობდა, მე ეს მომხდარ უბედურების შემდეგ გავიგე.

მესამე დღე

გუშინ დაკითხულ იქნა მოწმე **ქობულაშვილი,** რომელიც დაწვრილებით ახასიათებს ბრალდებულს.

მოწმე ახასიათებს ბრალდებულს, როგორც დინჯ ადამიანს.

მოწმე აგრეთვე ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ბრალდებული ოჯახის მოყვარული კაცი იყო.

შეკითხვაზე იყო, თუ არა ჩანგიშვილი ქალებში სეირნობის მოყვარული კაცი, მოწმე უპასუხებს უარყოფითად.

ექსპერტ პროფ. **ახათიანის** შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს, რომ ჩანგიშვილი საერთოდ გულჩახვეილი ადამიანია და აქვს მტკიცე ხასიათი.

დაკითხულ იქნა აგრეთვე მოწმე **სარაჯიშვილი, მამულაშვილი, დუმბაძე, ჯაფარიძე, რუსიშვილი და სხ.**

საერთოდ ირკვევა, რომ ჩანგიშვილი დიდათ იჭვიანი ადამიანია.

საზოგადოება „საერო"-ს თანამშრომლები ჩანგიშვილს ახასიათებენ, როგორც ბეჯით და ენერგიულ მუშაკს.

მოწმეების დაკითხვის შემდეგ ექსპერტებს მიეცათ კითხვები იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ ჯანსაღი ადამიანია ფსიქიურად ბრალდებული.

დღეს, დღის 12 საათზე მოსმენილი იქნება ექსპერტების დასკვნა. შემდეგ გაიმართება კამათი.

ფეხბურთი

„დურუჯი"—„ადგილობ. ტრანსპორტი"

კვირას, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა პროფკავშირების ყველაზე უფრო ძლიერი გუნდების—„დურუჯი"-ს და „ადგილობრივი ტრანსპორტი"-ს კალენდარული შეჯიბრი „დურუჯი", რომელიც შარშან ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო თბილისში, წელს საგრძნობლად შესუსტდა. ეს გამოწვეულია, უმთავრესად, მოთამაშეების ხშირი შეცვლით.

კვირის შეჯიბრში „დურუჯს" საქმე ჰქონდა შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან.

თამაშის პირველ განყოფილებაში დურუჯელები თითქმის სულ მუდამ მოპირდაპირის „გოლში იჯდენ" ისინი მეტად ლამაზ კომბინაციებს ჰქმნიდენ „ადგილობრივი ტრანსპორტი"-ს კარებთან, მაგრამ ეს კომბინაციები მხოლოდ ორ შემთხვევაში დასრულდა მოწინააღმდეგის ბადის გარღვევით.

მეორე ტაიმში თამაში უფრო თანაბრად მიმდინარეობდა. ტრანსპორტელები, რომლებიც პირველ ტაიმში იშვითად თუ მიიტანდენ ბურთს „დურუჯი"-ს კარებთან, თამაშის მეორე განყოფილებაში გამოცოცხლდენ და ხშირად საკმაოდ მძლავრ შეტევასაც ანვითარებდენ.

მიუხედავად ამისა, მათ მაინც თავი ვერ დააღწიეს „მშრალ" ანგარიშს. მეორე ტაიმის ბოლოს დურუჯელის მიერ კორნერიდან გასროლილი ბურთი „ადგილობრივი ტრანსპორტი"-ს მცველმა თავით თავისავე ბადეში შეაგდო და ხელი შეუწყო „დურუჯი"-ს კიდევ უფრო მეტი ანგარიშით გამარჯვებას.

შეჯიბრი დამთავრდა 3:0 „დურუჯი"-ს სასარგებლოდ.

მეტად ლამაზად თამაშობდა „დურუჯი"-ს მეკარე — გ. მახათაძე. „დურუჯი-ს ახალი მოთამაშეების—შვარცბაჰის, ხოდერიას და ვახ. ამბოკაძის შესახებ უნდა ითქვას, რომ ხანგრძლივი ვარჯიშობის შემდეგ ისინი სასარგებლო მოთამაშეები იქნებიან გუნდისათვის.

„დინამო"—„პოლიტეხნიკუმი"

მეორე შეჯიბრმა, რომელიც გაიმართა „დინამო"-სა და „პოლიტეხნიკურ ინსტიტუტს" შორის, დაამტკიცა, რომ „დინამო"-ს სახით თბილისის გუნდებს ჰყავთ უძლიერესი მოწინააღმდეგე. უკანასკნელ ხანებში „დინამო" იმდენად გაძლიერდა, რომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მიმდინარე სეზონის პირველობას არავის არ დაუთმობს.

„პოლიტეხნიკუმი" შარშანდელთან შედარებით ძლიან შესუსტებულა. სუსტია ნახევარმცველთა და თავდამსხმელთა შემადგენლობა.

პირველი ტაიმი უშედეგოთ დამთავრდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „პოლიტეხნიკუმი"-ს კარები მთელი ტაიმის განმავლობაში დინამოელთა მუდმივი და სასტიკი იერიშების საგანი იყო.

თამაშის მეორე განყოფილებაში დინამოელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევა, რისი შედეგიც იყო ის, რომ ტაიმის ბოლომდე მათ „პოლიტეხნიკუმი"-ს კარებში გაატარეს 5 ბურთი, თავის ბადეში კი მიიღეს მხოლოდ ორი.

შეჯიბრის საერთო შედეგია 5:2 „დინამო"-ს სასარგებლოდ.

იურიდიული დახმარება

სასოფ.-სამეურნეო გადასახადის გადახდის შესახებ

კითხვა

მე ვმუშაობ თბილისში რკინის გზაზე მთავარ სახელოსნოში ვარ კავშირის წევრი 1917 წლიდან (წიგნაკის № 30616); ვარ კვალიფიკაციური მუშა. ჯამაგირს ვღებულობ მეცხრე თანრიგით 51 მანეთს თვეში.

სოფელში მაქვს პატარა ერთი თვალი სახლი და მიწის ნახევარი ნორმა. სასოფლო მეურნეობას სოფელში არ ვეწევი, ის მხოლოდ ზაფხულობით ვისვენებთ.

გთხოვთ მომცეთ ახსნა - განმარტება, აქვს თუ არა უფლება სოფელს შემაწეროს გადასახადი ჩემი ხელფასის მიხედვით. მივიღე საგადასახადო ფურცელი, რომლის ძალით უნდა გადავიხადო 19 მ. 96 კაპ. სხვათა შორის ჩემი ჯამაგირი ნავარაუდევია 120 მან. რაოდენობით და ვითომდა მე მომსელოდეს ერთი ფუთი აბრეშუმის პარკი მაშინ ,როდესაც სოფლად არავითარ მეურნეობას არ ვეწევი და მხოლოდ ზაფხულობით ჩავდივარ იქ.

ლითონის ჩამომსხმელი მუშა **გიორგი ნინუა.**

პასუხი

სასოფლო - სამეურნეო გადასახადით იბეგრება მიწა და შინაური საქონელი (მუშა-საქონელი, სხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.) საგადასახადო ერთეულად ითვლება ერთი დესეტინა დახნულ - დათესილი მიწისა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება ყოველ ცალკე მეურნეობისათვის—ა) მიწის, ბ) მუშა და სხვილფეხა საქონლის, გ) ან და ცხვარი და თხის რაოდენობათა მიხედვით. (იხ. სასოფ.-სამეურ. გადასახ. დებულების სტ.—5—პარაგ. 14;—სტატია—7-ის პარაგ. 17;—სტატ. 9-ის პარაგ. 19; სტატია—10-ის პარაგ. 20). ამ გვარად სასოფლო - სამეურნეო გადასახადი გადახდება ისეთ მეურნეობას, რომელსაც აქვს მიწა დახნული - დათესილი, ჰყავს მუშა—ან სხვილფეხა საქონელი. (ამ.-კავკასიის ფედერაციაში უნდა იქნეს დაცული ასეთი წესები.)

აღნიშნულ გადასახადის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება შრომის ხელფასი, რომელსაც მეურნე იღებს დაქირავების წესით.

თუ თქვენთვის გაწერილი გადასახადის გამოანგარიშება ან და თვით გაწერაში დაშვებულია შეცდომები წინააღმდეგ ზემომოყვანილ პარაგრაფებისა, თქვენ გაქვთ უფლება განასაჩივროთ იგი სარაიონო საგადასახადო, ან და სამაზრო საგადასახადო კომისიებში. (იხ. ხავშირო ცაკის მესამე სესიის დადგენილების მუხ. 45—47—აბზ. „ბ" მუხ. 48 და 49.)

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 29

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

„მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარში და მუშურ-გლეხურ წითელ ფლოტში მუშა-მოსამსახურეთა მორიგ გაწვევით განთავისუფლებულ ადგილების დაკავების შესახებ"

„მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარის და მუშურ-გლეხურ წითელ ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების შეღავათების და უპირატესობის შესახებ" მომქ. კან. კოდ. 81—89 მუხ. თანახმად და საქ. ს. ს. რ. შრომ. სახ. კომ. მიერ 1926 წ. სექტემბრის 25-ს თარიღით და 25-№-ით მ. გ. წითელ ლაშქარში და მ. გ. წითელ ფლოტში მუშა-მოსამსახურეთა გაწვევის გამო ცნობების წარდგენის შესახებ გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად, საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

1. ყველა წარმოება-დაწესებულება, მეურნეობა და კერძო პირი ვალდებულია მუშა-მოსამსახურის ჯარში გაწვევის გამო განთავისუფლებულ ადგილზე ახალი პირის მიღება აწარმოოს თანახმად არსებულ კანონმდებლობისა.

2. შრომის სახ. კომისარიატის ადგილობრივი ორგანო ვალდებულია აღრიცხვაზე იყოლიოს მუშა-მოსამსახურის ჯარში გაწვევის გამო ყველა განთავისუფლებული თანამდებობა და უკანასკნელზე გაგზავნოს მ. გ. წითელ ლაშქრიდან და მ. გ. წითელ ფლოტიდან მარაგში, უვადო შვებულებაში და სრულიად დათხოვნილი პირები მათი კვალიფიკაციისდა მიხედვით.

3. მ. გ. წითელ ლაშქარში და მ. გ. წითელ ფლოტში გაწვევის გამო განთავისუფლებული თანამდებობანი შეიძლება გაუქმებული იქნან მხოლოდ უკანასკნელ რიგში, ყოველ ცალკე შემთხვევაში შრომის სახკომისარიატის ადგილობრივ ორგანოდან განსაკუთრებულ ნებართვის მიღებით.

4. როგორც სახელმწიფო, ისე ,საზოგადოწარმოება-დაწესებულება, მეურნეობა და კერძო პირი ვალდებულია სამხედრო სამსახურში გაწვეულ მუშა-მოსამსახურეთა თანამდებობის გაუქმების შემთხვევაში, უკეთუ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში იქნება ხელახლა დაწესებული, ადგილებზე მიიღოს სათანადო კვალიფიკაციის და პროფესიონალური მომზადების დემობილიზაციით დათხოვნილი პირი.

5.დამქირავებელი ვერ მოსთხოვს წითელ ლაშქრიდან და წითელ ფლოტიდან დათხოვნილ პირს პროფესიონალურ მომზადებას და კვალიფიკაციის საგუშაგო და დაცვის სამსახურზე მიღებისას ან შავ მუშათა დაქირავების დროს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში დავის აღძრისას იმის შესახებ, თუ რამდენად გამოდგება მოწოდებულ სამუშაოსათვის წითელ ლაშქრიდან და წითელ ფლოტიდან დათხოვნილი პირი—საკითხი სწყდება შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების მიერ.

6. იმ თანამდებობაზე, რომელზედაც სავალდებულოა წითელ ლაშქრიდან და წითელ ფლოტიდან დათხოვნილების მიღება, სხვა პირების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დამქირავებელმა მოითხოვა შრომის ბირჟიდან განთავისუფლებულ თანამდებობაზე წითელ ლაშქრიდან და წითელ ფლოტიდან განთავისუფლებული პირი, მაგრამ ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული ვერ იქნება 7 დღის განმავლობაში იმის გამო, რომ შრომის ბირჟის აღრიცხვაზე სათანადო კატეგორიის პირები არ მოიპოვება.

.7 შრომის ბირჟებს და საორ. პუნქტებს მართებთ შეისწავლონ უვადო შვებულებაში დათხოვნილთა სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობა და ამასთანავე გამოარკვიონ თუ რა ადგილი უკავია უმუშევართა შემადგენლობაში სოფლის ზედმეტ მოსახლეობას, რათა საკითხის შესწავლისას სათანადო ორგანოების წინაშე დასმული იქნეს საკითხი დემობილიზაციით განთავისუფლებულთა ნაწილად სოფლად გადასახლების შესახებ,სოფლის მეურნეობაში ჩასაბმელად.

8. შრომის ბირჟებთან და კორპუნქტებთან უნდა მოეწყოს განსაკუთრებული კომისიები იმის გამოსარკვევად, თუ მუშა-მოსამსახურის ჯარში გაწვევით განთავისუფლებული ადგილები რამდენად სისწორით და მიზანშეწონილად ივსება წითელ ლაშქრიდან და წითელ ფლოტიდან დათხოვნილთაგან.

9. იმ პირთა მიმართ,რომელნიც განაცხადებენ უარს მიწოდებულ ადგილზე—უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) წარმოებულ იქნეს სწორი აღრიცხვა უარის თქმის შემთხვევებისა პირად პროფბარათების მეორე გვერდზე წარწერით.

ბ) უმუშევართა სამუშაოზე წასვლის უსაფუძვლო უარის თქმის შემთხვევებში, უკანასკნელნი უნდა იქნან გაფრთხილებულნი, რომ ასეთის განმეორებისათვის ისინი კარგავენ უმუშევართა დახმარების ფონდიდან დახმარების მიღების უფლებას.

გ) გაფრთხილების შემდეგ განმეორებითად უარის თქმის შემთხვევებში უნდა ეუწყოს დამზღვევ სალაროს ასეთ პირთა შესახებ.

10. დამქირავებლები, რომლებიც დაარღვევენ გვერდს აუხვევენ წითელ ლაშქრიდან და წითელ ფლოტიდან დათხოვნილთათვის სამუშაოს მიწოდების წესის შესახებ მომქმედ კანონმდებლობას, შრომის ინსპექციის მიერ მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით,როგორც შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის.

ამ დადგენილების სისწორით ცხოვრებაში გატარებლად მეთვალყურეობის გაწევა ევალებათ შრომის სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი—
ა. მიქაძე.
საერთო საორ. განყ. გამგე
ვ. კვირიკაშვილი.

1926 წ. ნოემბერი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, სამშაბათს 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. დასწრება წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ სამშაბათს, 23 ნოემბერს შესდგება ცალ-ცალკე უჯრედების მორიგი კრებები. დასწრება სავალდებულოა ყველა კომკავშირის წევრთა და კანდიდატებისათვის.

დღეს, 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საერთო-საქალაქო კრება.

დღის წესრიგში: ამხ. მ. კახიანის მოხსენება: „საკავ. კომ. პარტ. მე-XV-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ". შესასვლელი ბილეთები იძლევათ რაიკომებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ სამშაბათს 23 ნოემბერს, საღამოს 5½ საათზე ახალი მუშათა კლუბის შენობაში შესდგება **მე-IV-ე რაიონის ქალთა სადელეგატო კრება** ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით.

ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-8-ე რაიკომი** იუწყება რომ სამშაბათს, 23 ნოემბერს ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში (კახეთის მოედანი № 1) შესდგება შემდეგი უჯრედების ჯგუფური კრება:

ამშენებლები, მეტყავენი, ტყავეულის ქარხანა № 3, მტვირთავები, უჯრედი № 14 და სამხედრო ტრანსპორტის მტვირთავები.

დღის წესრიგშია: ამხ. ტერ-სიმონიანის მოხსენება: „მე-XV-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ". (სომხურ ენაზე).

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის **მე-8-ე რაიკომი** იუწყება, რომ სამშაბათს 23 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება **რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

მე-2-რე რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს (სამშაბათს), საღამოს 5 საათზე მოწვეულია პედაგ. ფაკ. კომპარტიის და ს. ა. ლ. კ. კ. უჯრედების გაერთიანებული კრება.

ვინაა წინააღმდეგი?

ს. კ. პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტში აქვთ შემოტანილი განცხადება ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებიც სურთ პარტიაში შემოსვლა. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ—გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერათ, ქუთაისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწ. ქვე-განყოფილებაში, ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამის გამოქვეყნებისა:

ხაჰაპურიძე გალაქტიონ მიხეილის ძე, გოგეშვილი იონა თედორეს ძე, პაპოვი სერგო არშაკის ძე, კვანტალიანი მექი გიორგის ძე, მესხი სტეფანე ოქროპირის ძე, ცხვარაძე ნესტორ სოლომონის ძე, ხურციძე ლავრენტი ელიზბარის ძე, ხარბიშვილი კალისტრატე პეტრეს ძე, ჩახუნაშვილი სილიბისტრო ათანასეს ძე, კობოძე ბიქტორ ლევარსაბის ძე, დვალიშვილი ნესტორ ივანეს ძე, გიორგაძე ეპენტი ერმალოს ძე, გიორგაძე სანდრო ქრისტეფორეს ძე, გიორგაძე სერგო თადეოზის ძე, ხურციძე ილია ალექსანდრეს ძე, ხურციძე გიორგი დიმიტრის ძე, სოხაძე ისიდორე იასონის ძე, ხურციძე ლავრენტი ოქროპირის ძე, ჰურაძე სერაფიონ მათეს ძე, ხარაბაძე დომენტი გიგოს ძე, ჰურაძე სერაფიონი მათეს ძე, ტყეშელაშვილი ვლადისლავ ნიკოლოზის ძე, ჯულაყიძე პარმენ დავითის ძე, თვალაბეიშვილი კირილე ბესარიონის ძე, ადეიშვილი არტემ გიგოს ძე, ქართველიშვილი სერაფიონ გლახუასის ძე, კილაძე იაკობ გიორგის ძე, კვიმსაძე პიმენ გიორგის ძე, სულამანიძე მელენტი იაკობის ძე, ლევიძე სოლომონ კოსტას ძე, ქეიშვილი შალვა იასონის ძე, ტრაპაიძე ილია ივანეს ძე, ხინვავა ონისიმე გარსევანის ძე, სვანაძე დანიელ მიხეილის ძე, დათიაშვილ იონისიმე იოსებს ძე, იაშვილი ვარდენ იოსების ძე, კილაძე კლემენტი ფილიპეს ძე, ფესტვენიძე იონა მიხეილის ძე, კაპანაძე შალვა მიხეილის ძე, წიქარიძე ალექსი ოქროპირის ძე, ხაჟომია სპირიდონ სოლომონის ძე, კიკნაძე სიმონ მათეს ძე, ამაშუკელი დავითი ბესარიონის ძე, კუჭავა მიხეილ იოსების ძე, ჩხიკვაძე პეტრე ალექსანდრეს ძე, მეავანაძე ვასილი იასონის ძე, კაპანაძე ალექსი გედევანის ძე, ურჩაძე სამუილ ზოსიმეს ძე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე გიორგის-ძე კიზირია აცნობებს თავის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 21 ნოემბერს, ხანმოკლე მწვავე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეუღლე

ელისაბედ ადოლფის ასული კიზირიასი

გამოსვენება ქალაქის მეორე საავადმყოფოდან (ალექსანდროვის) 23 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. 653

გერასიმე, ტასო, ლიზა, ხატაშა, გერონტი და ვატიკო ქიქოძეები, ანეტა და კონსტანტინე ანდრონიკაშვილები და ფ ოდოსია [illegible] ბრეგაძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა [illegible] უძვირფასესი

ნესტორ ირაკლის-ძე აბაშიძის

გარდაცვალებას. ნ. 250

გულდათუთქული და ნუგეშ მოკლებული მეუღლე ნინა კონსტანტინეს ასული, შვილები: ვალია, კოკო, ილიუშა და ლევანი, სიდედრი თებრონე ლავრენტის ასული, ცოლისძმები გაბრიელ და დიმიტრი გოგოლიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 20 ამა ნოემბ., ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ნესტორ ირაკლის-ძე აბაშიძე

დაკრძალვა მოხდება ბათომში ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, გამოსვენება საკუთარი ბინიდან, ქუთაისის ქუჩა № 19, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 252

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი: ქვრივი თებრონე ანდრიას ასული, ქალიშვილები: ფაჩუ, პაშა გიგიბერიასი, და ნუცა, შვილები: ნიკოლოზ და ბაკურ გუსარის-ძე დგებუაძეები და შვილიშვილები გია და ეთერი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა წლის 20 ნოემბერს დილის ექვს საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, დანარჩენების უძვირფასესი და უტკბილესი მამა და შვილიშვილების დაუვიწყარი ბაბუა

გუსარ მანუჩარის-ძე დგებუაძე

გამოსვენება ბინიდან მლეთის შესახვევი 5, დღეს, სამშაბათს, 23 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 667

ღრმად დამწუხრებული შვილები—ივანე, ანთიკო, სტეფანე, ქსენეფონტე, ონიფანტე, ანდრო და აკაკი; რძლები—ანუსია, მარუსა, ცუცა და მარიამი; შვილიშვილები—ტერენტი, მიშა, ნინა, ანდრო, მარუსა, ჟურა, მილიცა, შურა, ვახტანგი და ქორა: შვილიშვილიშვილი ვალოდია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფასს

პელაგია ალექსის ასულ ზარაიძის

გარდაცვალებას ა. წ. 20 ნოემბერს. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, სოფ. პირევისის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. 654

სახელმწიფო დრამა

სამშაბათს, 23 ნოემბერს ი. გედევანიშვილის
სინათლე 1-ლი ნაწილი
დადგმა კ. მირჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ირ. გამრეკელის მუსიკა თ. ვახვახიშვილის

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს
ულ. შექსპირის **ჰამლეტ**
თარგმანი ივ. მაჩაბლის. მუსიკა პ. ჩაიკოვსკის
ჰამლეტ—უშანგი ჩხეიძე
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ირ. გამრეკელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
2—1 ნ. 251

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 23 ნოემბერს **ტოსკა**
ბოგოლეპოვას, კანსბურგის, გორელოვის და სხვ. მონაწილეობით.
ოთხშაბათს, 24 ნოემბ. პრემიერა
ქ-ნი ბატერფლაი
ზოკოვას, ვიტ ნგის, ვენაძის მონაწილეობით.
ნ. 249

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)

პოლა ნეგრი და გარრი ლიტკე სურათში
ცხოვრების საქანელა
(КАРУСЕЛЬ)
ანონსი: ამ დღეებში „რობინ გუდ"

შესანიშნავი სურათი
სიცოცხლის ყვავილი
მთავარ როლში—რიჩარდ ბართელმესი
მსოფლიო რეჟისორის დ. გრიფიტცის დადგმა
ანონსი: ამ დღეებში—„სიყვარულის სიმღერა"

საუკეთესო სურათი **„დედა"** რეჟ. ვ. პუდოვკინი
„მეჟრაბპომრუს"-ის გამოშვება
ცნობილი ფრანგული კინო-რომანი
გრაფი მონტე-კრისტო
1 და 2 სერია ერთად
ნ. 157 0—18

საქართველოს სახკინმრეწვის
უახლოესი გამოცემა
სამანიშვილის დედინაცვალი
რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი
და ზ. ბერიშვილი
მთავარ როლებში: კ. ჯავახიშვილი, ც. წუწუნავა, ა. ვასაძე, დამბაშიძე, ლორთქიფანიძე, ჟორჟოლიანი.
ნ. 27

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 26—21

ამ.-კავკ. კავშირ-გაბმულობის სამმართველოს ესაჭიროება ტელეგრაფის და ტელეფონის ბოძები

მუხის, ფიჭვის და ეკლის ხის ამიერ-კავკასიის შემდეგ პუნქტებში:

ზუგდიდი, ხობი, ხაშური, წალენჯიხა, აბაშა, ხეთა, სამტრედია, ჩოხატაური, ბირძნის წყარო, ოზურგეთი, ბახვი, აკეთი, ფოთი, ქედი, ბათომი, ლანჩხუთი, ქუთაისი, ალპანა, ორბელი, ღები, სად. რიონი, ჩქარი, ზესტაფონი, ძირულა, ჰრებალო, ხარისთავი, ცხემი, შქმერი, ახალციხე, ბორჯომი, გორი, ქსანკა, ახალ-სენაკი, სად. მეტეხი, კარანი, ანანური, პასანაური, ჩოხელი, ქვიშეთი, მლეთი, გუდაური, თბილისი, ჩინთი, ვარდზლო, ილდოგანი, ახმეტა, კისტაური, ხოდაშენი, თელავი, ენისელი, ახალსოფელი, ნაპარეული, წნორი, ლაგოდეხი, კატეხი, ზაქათალა, ზარნა, კახი, გენიუკი, ველისციხე, მატანი, წინანდალი, მუხრავანი, სართაჭალა, პატარძეული, ნავთლუღი, თეთრი წყარო, სტეპანოვანი, შაუმიანი, ბეშტაშენი, გურჯაანი, ბარმაკსიზი, კოჯორი, „კრივოი მოსტი", კარავანსარაი, ერივანი, კამარლიუ, შუშა, ლისოგორსკი, აბდალიარი, გერიუსი, კარანლუგი, კეშიშკენდი, კიურდამირი, შემახა, საგირი, პეტროპაველოვკა, კარადონლი, ტერტერი, სად. ევლახი, ნუხა, ვართაშენი, ნიდჟი, კუტკაშენი, აგდამი, ანდრეევკა, პრიშიბი, ლენკორანი, ველი, სალიანი, „პროლეტარის პრომისლა", ბაქო, ხა მასი, სურახანი. სულ 9619 ბოძი.

იმ დაწესებულებებს და პირებს, რომელთაც სურთ აიღონ დამზადება ბოძების შეუძლიათ პირობებს და კონდიციას ვრცლად გაეცნონ ახლო მდებარე ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში, თბილისში კი ა.-კ. კავშირ-გაბმულობის სამმართველოს ტეხნიკურ განყოფილებაში, რუსთაველის ქუჩა № 43-

დამზადება ბოძების შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. პირობის წესიერად შესრულება ბოძების თავის დროზე დამზადების და დანიშნულ ადგილზე მიტანის შესახებ უნდა უზრუნველყოფილ იქნას გირაოთი 10 პროც. რაოდენობით მთელი იმ თანხიდან რა ფასშიაც სურს მან აიღოს ბოძების დამზადება. ეს გირაო უნდა შემოტანილ იქნას საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე.

საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 30 ნოემბერს 12 საათზე თბილისში კავშირ-გაბმულობის სამმართველოს შენობაში რუსთაველის პროსპექტი 43 განმეორებით შეჯიბრება 4 დეკემბერს ნაჩვენებ საათებში. ნ. 232

ყველა უწყებათა და მოქალაქეთა საყურადღებოთ

საქ. ს.მ.ფ.ს.-თან არსებული შრომითი ნადთა სარეგისტრაციო კომისია აცხადებს, რომ 1926 წლ. 15 ნოემბრიდან საქართველოს თამბაქოს ტრესტის შრომის არტელს ერქმევა

თამბაქოს ნაწარმოების გამყიდველთა შრომითი ნადი „გლარჯა"

ყველა უფლებანი და მოვალეობანი თამბაქოს ტრესტის არტელისა გადადის „გლარჯა"-ზე. ქვ. 652

იყიდება საჯარო ვაჭრობით

ფინანსთა სახალხო კომისარიატის არაპირდაპირ გადასახადთა მე-4 უბნის ინსპექტორი ა.წ. 23 ნოემბერს დღის 12 საათზე გაყიდის საჯარო ვაჭრობით მნაცაკან ომაროვის სპირტის ნაწარმოების ქარხნიდან (კალინინის მოედანი № 13 მე-8 სამილიციო უბანში) სპირტის ნაწარმოებს (ლიკიორებს 125 ვედროს და პურის სპირტს 4.700 გრადუსს) აქციზის ვალის 2.887 მან. და 44 კაპ. ასანაზღაურებლად

ნ. 238 ინსპექტორის თანაშემწე კვეჟინიძე

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის **ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ.** 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა ნწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ფლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის საკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25-5

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა სექსოლ. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის აბანო და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამის (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთ სართულში დღისით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღით 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
პრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექ. კ. ტყეშელაშვილი
აბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 11

ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურად საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

დავკარგე „ზაკტპო"-ს წიგნაკი № 23143, გაცემული ნადია გუნიას სახელზე, ჩ. გ. 665

დავკარგე პირადობის მოწმობა ბესარიონ დანელიას სახელზე, ჩ. გ. 664

დავკარგე ახალგაზრდათა კომკავშირის საწევრო წიგნაკი № 11384—ანდრო ლევანისძე დარცმელიძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 663

დავკარგე სამხედრო სარეგისტრაციო ბარათი № 1429 ლევან იასეზისძე უსურგუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 657

დავკარგე განათლ. მუშ. კავშირის წიგნაკი № 19939, ვლადიმერ მალაქიასძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 100 ვახტანგ იასებისძე უსურგუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 658

დავკარგე პირადობის მოწმობა ერმილე ასალოსძე სურგულაძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 659

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი კაპიტონ სალამარესძე თავბერიძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 660

დავკარგე პირადობის მოწმობა ქრისტინე იასეს ასული ავალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 661

დავკარგე სამთომადნო კავშირის წიგნაკი № 85251 გედეონ ერასტისძე მიქელაძეს სახელზე, ჩ. გ. 655

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული კლდეეთის თემ-აღმასკომისაგან, სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, მოცემული შორაპნის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან დავით არტემისძე კვანტრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 662

დავკარგე საწევრო წიგნაკები: №№ 2696—2925, 4214—4220, საანგარიშო წიგნაკები № 5, 30—35 ბეჭედი და შტემპელი ნატახტარის საალმშენებლო კომიტეტის, ნუსხა ნატახტარის თემის და ბავშვების ფულის მისაღები ექიმის მოწმობები. ჩ. გ. მპოვნელს ჯილდოთ მიეცემა ერთი თუმანი. 656

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო სამეურნეო ბანკის ბალანსი

192[illegible] წლ. 1-ლ ოქტომბრისათვის და 1-ლ ნოემბრისათვის.

აქტივი.

	1-ლ ოქტომბრ.	1-ლ ნოემბრ.
1. კასა და სახელდ. ანგ.	680.835—38	464.320—78
2. საფასენი	40.552—00	40.552—00
3. საქონელი	100.940—83	101.316—16
4. განაღდება და სპეც. სახელდ. ანგ. თამას.	776 164—72	810.638—72
5. სესხები საქონლის დაგირავებით	920.486—92	860.732—78
6. სამიზნო სესხები	4.278.800—83	4.553.946—75
7. კორესპონდენტები	—	—
8. კლიენტები და კომიტენტ. საქონლ. ოპერაც. და სხვადასხვა პირნი	141.949—37	130.899—80
9. მონაწილეობა წარმოებაში	496.296—70	498.363—05
10. ანგარიში განყოფილებებთან	2.076.276—29	2.078.085—26
11. ანგ. ცენტრ. სას. სამ. ბანკთან	—	—
12. გაპროტესტებული თამ. და საეჭვო ვალ.	87.342—41	85.309—81
13. პროცენტები და კომისია დარიცხული და გადახდილი	—	595—48
14. მიმდინარე ხარჯები	—	11.836—13
15. სხვადასხვა აქტივი	140—05	—
ბალანსი	9.599.785—50	9.636.596—72

პასივი.

	1-ლ ოქტომბრ.	1-ლ ნოემბრ.
1. ძირითადი კაპიტალი	1.619.611—70	1.619.611—70
2. სხვა კაპიტალი	75.673—34	75.673—34
3. სპეც. თანხ. სამიზნო კრედ.	1.978.886—59	1.975.886—59
4. სესხები	2.970.970—00	2.976.470—00
5. განაღდება და დაგირავება	254.375—00	161.250—00
6. ანაბარები და სახელდ. ანგ.	235.196—81	277.401—89
7. კორესპონდენტები	90.032—45	59.762—53
8. კლიენტები და კომიტენტები საქონლ. ოპერაც. და სხვადასხვა პირნი	254 932—91	280.132—71
9. ანგარიში გამგეობასთან	2.076.276—29	2.106.166—27
10. ანგარიში ცენტრალურ სას. სამ. ბანკთ.	4.312—05	40.970—45
11. სარგებელი და კომისია მიღებული და დარიცხული და სხვა შემოსავალი	39.518—36	63.271—24
12. სხვადასხვა პასივი	—	—
ბალანსი	9.599.785—50	9.636.596—72

ნ. 254. ს.ს.ს.რ. სასოფლო-სამეურნ. ბანკის გამგეობა ი. ლორთქიფანიძე, ი. მინაძე.

მთავარი ბუხჰალტერი მ. ტოგონიძე.

ამიერკომის სტამბა, კამოს ქ. 68.